ჩხეიძე თინა კალისტრატეს ასული, დ. 1928 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990). დაამთავრა: თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1950); ქუთაისის სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის სუბტროპიკული მეურნეობის ფაკ-ტი (1961). იგი იყო ქ. სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის დოცენტი (1960-71), თსუ სოხუმის ფილიალის პროფესორი (1992 წლიდან), საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტის წამყვანი მეცნ. თანამშრომელი, სწავლული მდივანი (1995 წლიდან), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (2002 წლიდან). ძირითადი შრომები: „საქართველოს ნეშომპალა კარბონატული ნიადაგები და მათი გამოყენების ეფექტიანობა“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1987 წ.; სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“, თბ., „მეცნიერება“, 2000 წ.

ცირამუა ედუარდ გრიგოლის ძე, დ. 1933 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1998). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1962). თსუ მასწავლებელი (1972-90), დოცენტი (1991-98), პროფესორი (1998 წლიდან). ფინანსების ს/კ ინ-ტის განყ-ბის გამგე (1992 წლიდან). საქ. სსრ ცსს-ს (1966-75), შემდგე ფინანსთა სამ. (1975-80) სამსახურების უფროსი. 1980-91 წწ. მუშაობდა საქ. სსრ სოც. უზრუნველყოფის სამ. სამმართველოს უფროსად. ძირითადი შრომები: „სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი“, თბ., თსუ, 1992 წ.; ავღიტორული საქმიანობის ორგანიზაცია და მეთოდისა“, თბ., „ფინანსები“, 1997 წ.; სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი“, თბ., თსუ გამომც., 1999 წ.

ციხკარიშვილი დიმიტრი აბრამის ძე, დ. 1924 წ. ახმეტის რ-ნის სოფ. ზემო ალვანში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1950). იყო საქ. ზოგვეტერინალური სასწავლო-კვლევითი ინ-ტის დოცენტი (1954); თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი (1955-59); საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის დოცენტი (1959-61). თსუ დოცენტი (1961-92), ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორი (1993 წლიდან). ძირითადი შრომები:

„შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვები საბჭოთა მეურნეობებში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1978 წ. ; „სპეციალიზაცია და დარგთა შეთანაწყოება მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1987 წ. ; „იღია ჭავჭავაძე საგლეხო რეფორმის შესახებ და თანამედროვეობა“, თბ., „ცისნამი“ 1977 წ.

ძნელადე დავით პლატონის ძე (1921-2002), დ. ჩოხატაურის რ-ნის სოფ. ბურნათში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი. დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის (სსი) ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1951). იგი იყო სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ასისტენტი (1953-58), თსუ დოცენტი (1961-71), ეკ. ფაკ-ტის დეკანის მოადგილე (1957-58), დაუსწრებელი, ეკონომიკის ფაკ-ტის დეკანი (1958-60), 1972-2002 წწ. – თსუ მეურნეობის ხელმძღვ. მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკ-ტის დეკანი, კათედრის გამგე, პროფესორი. 1979-2002 წწ. – შრომის ს/კ ინ-ტის დირექტორი. ძირითადი შრომები: „დასაქმება, შრომა და მოსახლეობის სოციალური დაცვა“, თბ., 2000 წ. ; „სამრეწველო პროდუქციის ხარისხი და წარმოების კულტურა“, თბ., 1974 წ. ; „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები“, თბ., 1991 წ.

წერეთელი გიორგი შაქროს ძე, დ. 1952 წ. ქ. ღანჩხუთში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი. დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკის ფაკ-ტი (1975). იგი იყო საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტის უმცრ., უფრ. და წამყვანი მეცნ. მუშაკი (1980-81, 1981-88, 1988-91), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1991-94), დირექტორის პირველი მოადგილე (1994-96), 1996 წლიდან არის დირექტორი. ძირითადი შრომები: „რეგიონული ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის პრობლემები საქართველოს მაგალითზე“, თბ., „მეცნიერება“, 1990 წ. (რუსულ ენაზე); „ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების საფუძვლები და მათი ეკონომიკაში გამოყენების ზოგიერთი ასპექტი“, თბ., „მეცნიერება“, 1999 წ. ; „ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების მეთოდოლოგიური საფუძვლები და მათი რეალიზაციის პრაქტიკული მაგალითები“, თბ., „მეცნიერება“, 2000 წ.

წიკლაური ქეთევან მიხეილის ას, დ. 1940 წ. თიანეთის რ-ნის სოფ. ბაღებისხევში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1995). დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკ-ტი (1965). იგი იყო საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტის უმცროსი (1974-79), უფროსი (1979-96), მთავარი მეცნ. თანამშრომელი (1996-2002). 2002 წლიდან არის წამყვანი მეცნ. თანამშრომელი. ძირითადი შრომები: „ოჯახური იჯარა საქართველოს მაღალმთიანეთში“, თბ., „მეცნიერება“, 1990 წ. ; „იჯარა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება საბაზრო ეკონომიკის პირობებში“, თბ., „მეცნიერება“, 1992 წ. ; „მეცხოველეობა და ბიზნესი საქართველოს მაღალმთიანეთში“, თბ., „მეცნიერება“, 2002 წ.

ჭაია ვლადიმერ ტიგრანის ძე, დ. 1948 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი. დაამთავრა თსუ ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკ-ტი (1979). იგი იყო თსუ აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის გამგე (1987-92), ულიანოვსკის (რუსეთის ფედერაცია) სახ. უნ-ტის აღრიცხვისა და ანალიზის კათედრის გამგე (1993-2000), 2000 წლიდან არის მოსკოვის სახ. უნ-ტის აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის გამგე. ულიანოვსკის ოლქის ვიცე-გუბერნატორი ეკონომიკის დარგში (1993-2000); ძირითადი შრომები: „კომპლექსური ეკონომიკური ანალიზი ვაჭრობაში – გარდაქმნის პირობებში“, თბ., თსუ გამომც., 1989 წ. (რუს. ენაზე); „ინვესტიციური ანალიზი“, ულიანოვსკი, გამომც., „ეკონომიკა“, 1995 წ. (რუს. ენაზე); „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები“, მოსკოვი, 2001 წ. (რუს. ენაზე).



ჭანუყვაძე გივი დავითის ძე (1924-1984), დ. ოზურგეთის რ-ნის სოფ. ცხემლისხიდიში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი. დაამთავრა: თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1950); თბილისის სახ. პედაგოგიკური ინსტიტუტთან არსებული უცხო ენების შესწავლელი ორწლიანი კურსი – გერმანული ენის სპეც-ით (1964). იგი იყო თსუ ასისტენტი (1952), უფრ. მასწავლებელი (1954), დოცენტი (1957-67), პროფესორი (1967-84), ეკონომიკისა (1967-73) და სააღრიცხვო ეკონომიკური (1973-79) ფაკულტეტების დეკანი, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1970-84), პრორექტორი ეკონ. ფაკულტეტების სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის დარგში (სახოგადოებრივ საწყისებზე), (1979-84). თსუ კომკავშირის (1949-53), პარტკომის მდივანი (1957-61). საქ. აღკვ. თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი (1952). საბჭოთა ვაჭრობის საქეშირო დაუსწრებელი ინ-ტის (ქ. თბილისი) ფილიალის დირექტორი (1955-57), საქ. კვ. ც-ის ინსტრუქტორი (1956). ძირითადი შრომები: „ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკა“, თბ., თსუ გამომც., ნაწ. I (1962); ნაწ. II (1967); ნაწ. III (1964); ნაწ. IV (1969); „ქართული ეკონომიკური აზრის რეტროსპექტივა (1918-1970), თბ., სს. „პირველი სტამბა“, 2001 წ. (გარდაცვალების შემდეგ).

ჭითანავა ნოდარ ამბროსის ძე, დ. 1936 წ. ზუგდიდის რ-ნის სოფ. ჭკადუშში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი. დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1963), შემდეგ უმაღლესი პარტიული სკოლა (ქ. მოსკოვში, 1968). 1959-90 წწ. იგი იყო ზუგდიდის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი, ცხაკაიას პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, აჭარის პარტიის საოლქო კომიტეტის მეთრე მდივანი, პარტიის ცკ-ის მდივანი, საქ. სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი; საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რის პირველი მოადგილე, თავ-რე; 1991-92 წწ. საქ. სოფლის მეურნეობის მინისტრი. 1993 წლიდან იგი არის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ს/კ ინ-ტის დირექტორი. ძირითადი შრომები: „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, ნაწ. I, თბ., „ესპსკი“, 1997 წ.; ნაწ. II, თბ., „ესპსკი“, 1999 წ.; ნაწ. III, თბ., „ესპსკი“, 2001 წ.

ჭიბბრიშვილი თენგიზ ანდრიაის ძე, დ. 1929 წ. საგარეჯოს რ-ნის სოფ. ხაშში. პროფესორი (1986). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1949). 1954 წლიდან დღემდე იგი არის თსუ დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე (1986 წლიდან). ძირითადი შრომები: „გზა პატიოსანი ბიზნესისაკენ“, თბ., თსუ, 2000 წ.; „ეკონომიკა ხატოვან აზროვნებაში“, თბ., თსუ, 2001 წ.

ჭინჭარაული ნიკოლოზ ბიძინას ძე, დ. 1939 წ. დუშეთის რ-ნის სოფ. მუცოში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1993). დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკ-ტი (1966). მუშაობდა: საქ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ს/კ ინ-ტში (1966-76); საქ. მიწათმოქმედების საპროექტო ინ-ტში (1976-82); სოფლის მეურნეობის საკონსტრუქტორ-ტექნოლოგიური დაპროექტებისა და ეკონომიკის პროგნოზირების ინ-ტში (1982-85); თსუ-ში (1974-78); საქ. აგრარულ უნ-ტში (1978-94). 1985 წლიდან სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა საქ. აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის ს/კ ინ-ტში. ძირითადი შრომები: „მიწის ფონდების რაოდენობრივი აღრიცხვა და შეფასება“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1974 წ.; „სატრაქტორო პარკის გამოყენება საქართველოს სოფლის მეურნეობაში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1980 წ.

ჭკუასელი გრიგოლ ვეგენის ძე (1934-1992), დ. ჩოხატაურის რ-ნის სოფ. საჯამიასერში. დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის აგრონომიული ფაკ-ტი (1962). ეკონ. მეცნ. დოქტორი (1988). იგი იყო საქ. სასოფლო-სამეურნეო

ინ-ტის დოცენტი (1974-89), პროფესორი (1988-92), დაუსწრებელი სწავლების დეკანი (1972-79), ეკონომიკის ფაკ-ტის დეკანი (1979-82). უფრ. „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ რედაქტორი (1970-73). ძირითადი შრომა: „მცენარეთა დაცვის ეკონომიკა და ორგანიზაცია“, თბ., „განათლება“, 1987 წ.

ხაბურხანია ლეო იასონის ძე (1930-1994), დ. ქ. ვალში. ეკონ. მეც. დოქტორი (1982). დაამთავრა მოსკოვის საფინანსო ინ-ტი (1956). იგი იყო ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინ-ტის განყ-ბის გამგე (1963-68). სპი დოცენტი (1968-71). 1991-92 წწ. თსუ დოცენტი, სოხუმის ფილიალის პროფესორი. მუშაობდა ფინანსებისა და სტატისტიკის ინ-ტის დირექტორის მოადგილედ (1993-94), საქ. კმ ცკ-ის ინსტრუქტორად, განყ-ბის გამგის მოადგილედ, განყ-ბის გამგედ, იყო გალის რაიკომის I მდივანი (1980-81); აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი (1989-91). ძირითადი შრომები: „შრომითი კოლექტივის სოციალური განვითარების დაგეგმვა“, თბ., თსუ გამომც., 1978 წ.; „საზოგადოების პროპორციონალური განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1978 წ. (რუსულ ენაზე); „საბანკო სისტემა და ფასიანი ქაღალდები საბაზრო ეკონომიკის პირობებში“, ნაწ. I, თბ., „საფ-ეკ. აკად“, 1993 წ. (თანაავტ.).

ხარაზი ლევან ახმედის ძე (1923-1991), დ. ქ. ქობულეთში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1951). 1955-91 წწ. იგი იყო თსუ პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტი, პროფესორი. ძირითადი შრომები: „სოციალისტური გაფართოებული კვლევწარმოება აჭარის ასსრ მრეწველობაში“, ბათუმი, 1970 წ.; „განვითარებული სოციალიზმის ზოგიერთი ეკონომიკური პრობლემა“, ბათუმი, 1978 წ.; „განაწილებითი ურთიერთობანი და მათი სრულყოფა განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში“, ბათუმი, 1980 წ.

ხარაიშვილი ეთერ დიმიტრის ას, დ. 1953 წ. ქ. ჭიათურაში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1998). 1975 წ. დაამთავრა თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკ-ტი. 1978 წლიდან იგი არის თსუ მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, 1996 წლიდან ეკონომიკის ფაკ-ტის დეკანის მოადგილე. იგი შრომებში განიხილავს საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ასპექტებს.

ხარბეღია რაფიელ ფარნაოზის ძე (1913-1978). დ. ქ. სენაკში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1970). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1938). მუშაობდა: საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში (1946-52 წწ. და 1966 წლიდან); საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტში. იყო თსუ-ში პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი, შემდეგ – პროფესორი. ძირითადი შრომები: „სოციალიზმის ეკონომიკური კანონების გამოყენება“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1966 წ.; „სოციალიზმისა და კომუნისმის ეკონომიკური კანონების სისტემა და მისი გამოყენება“, თბ., „მეცნიერება“, 1974 წ. (რუსულ ენაზე); „ეკონომიკური კანონების აღმოჩენის ისტორია“, თბ., „მეცნიერება“, 1979 წ. (რუს. ენაზე).

ხარებავა რევაზ პარმენის ძე, დ. 1938 წ. გალის რ-ნის სოფ. განახლებასში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1983). დაამთავრა გ. ვ. პლეხანოვის სახ. ქ. მოსკოვის სახალხო მეურნეობის ინ-ტი (1965). იგი იყო 1966-78 წწ. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის (ქ. სოხუმი) პოლიტეკონომიის კათედრის მასწავლებელი, დოცენტი, 1978-83 წწ. – სსრკ მეცნ. აკად. ეკ. კვლევების ინ-ტის შორეული აღმოსავლეთის სამეცნიერო ცენტრის უფრ. მეცნ. მუშაკი; 1983-89 წწ.; სოხუმის სახ. უნ-ტის სახ. მეურნეობის დაგეგმვის კათედრის გამგე; 1989-93 წწ. თსუ სოხუმის ფილიალის პრორექტორი სასწავლო მუშაობის დარგში. 1993-95 წწ. – სრულიად რუსეთის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ს/კ ინ-ტის უფრ. მეცნ. მუშაკი. 1995-2001 წწ. – ვოლგოგრადის სახ. უნ-ტის ვოლგის

პუმიანტარული ინ-ტის დირექტორის მოადგილე. 2002 წლიდან არის ვოლგის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ინ-ტის პრორექტორი. ძირითადი შრომები: „შესასყიდი ფასები და კოლმეურნეობათა ეკონომიკა“, სოხუმი, 1975 წ. (რუს. ენაზე); „საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება აგრარულ სექტორში, ვოლგოგრადი, 1999 წ. (რუს. ენაზე); „წარმოების დივერსიფიკაციის მართვის თეორიის განვითარება“, ვოლგოგრადი, 2001 წ. (რუს. ენაზე).

ხასია ბექიბი არჩილის ძე (1925-1998), დ. სუგდიდის რ-ნის სოფ. ყულისკარში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1949). იგი იყო საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტის უმცროსი (1952-56), უფროსი (1956-63) მეცნ. თანამშრომელი, განყოფილების გამგე (1963-86), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1992-98). ძირითადი შრომები: „გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების ხასიათი“, თბ., „მეცნიერებათა აკად. გამომც“, 1956 წ.; „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები“, თბ., „მეცნიერება“, 1972 წ.; „სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოს პირობებში“, 4 ტომად. თბ., „მეცნიერება“, 1962-87 წწ.

ხელაია გედევან გიორგის ძე, დ. 1927 წ. ქ. ფოთში. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1949). ეკონ. მეცნ. დოქტორი (1984), პროფესორი. მუშაობდა თსუ-ში (1955-88), 1989 წლიდან არის გორის სახ. უნ-ტის (ადრე ეკონ. ინ-ტის) პროფესორი, რექტორი. ძირითადი შრომები: „სოფლის მეურნეობრივი კრედიტი და მისი განვითარების ძირითადი ეტაპები“ თბ., 1964 წ. (რუს. ენაზე); „ყულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი“, თბ., 1993 წ.; „ყული, ბანკები და ბირჟები“, თბ., 1996 წ.

ხმალაძე მერაბ ნიკოს ძე, დ. 1952 წ. თელავის რ-ნის სოფ. ქვემო ხოლაშენში. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1974). ეკონ. მეცნ. დოქტორი (1995). იგი იყო თსუ-ში სტატისტიკის კათედრის მასწავლებელი (1977-80), დოცენტი (1980-89), ქ. გორის ეკონომიკური ინ-ტის დოცენტი (1989-90). 1990 წლიდან არის საქ. მეცნ. აკადემიის დემოგრაფიისა და სოც. კვლევის ინ-ტის განყ. გამგე. ძირითადი შრომები: „მოსახლეობის სტატისტიკა დემოგრაფიის საფუძვლებით“, ნაკვ. 1, თბ., თსუ გამომც., 1986 წ.; „საქართველოს სსრ ახალგაზრდობის სოციალ-დემოგრაფიული პორტრეტი“, თბ., „კომკავშ. ქალაქი“, 1982 წ. (თანაავტ.).

ხურციძე ნიჭა ყარამანის ძე (1912-1998), დ. ოზურგეთის რ-ნის სოფ. თხინვალში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1936). სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა: თსუ-ში (1947-49; 1953-98); საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტში (1947-49); სოხუმის პედინსტიტუტში (რექტორი, 1949-53); სპი-ში (1947-49; 1954-57); თბილისის პედინსტიტუტში (1954-98); სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინ-ტში (განყ. გამგე, 1963-98). ძირითადი შრომები: „თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების ციკლური განვითარების თავისებურებანი“, თბ., საქ. ცკ-ის გამომც., 1973 წ.; „წმინდა პროდუქტის მაჩვენებელი და მისი როლი სამეურნეო მექანიზმის განვითარებაში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1986 წ.; „შრომის ნაყოფიერება და მისი მწარმოებლური ძალა“ თეორიისა და პრაქტიკის ასპექტში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1989 წ.

ჯაფარიძე გივი გალაქტიონის ძე, დ. 1944 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1995). დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის სატეკო მეურნეობის ფაკ-ტი (1968). 1978 წლიდან იგი იყო საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის – შემდგომში აგრარული უნ-ტის მასწ., უფრ. მასწ., დოცენტი, პროფესორი, პრორექტორი (სამეცნ.მუშაობის დარგში – 1985-94; სასწ. მუშაობის დარგში –

1994-95). 1996-2002 წწ. საქ. სატყეო მეურნეობის სახ. დეპარტამენტის თავ-რე-ძირითადი შრომა: „შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმები ტყის მეურნეობაში“, თბ., „საყ“-ის გამომც., 1991 წ.

ჯაში ივანე ლეონტის ძე (1901-1984), დ. სამტრედიის რ-ნის სოფ. ჭოგნარში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი. დაამთავრა თსუ აგრონომიული ფაკულტეტი (1925). იგი მუშაობდა თსუ-ში (1926-28), საკავშირო სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (1928-30), საქ. სას-სამეურნეო ინსტიტუტში (1932-84). ძირითადი შრომები: „სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაცია“, ნაწ. I, თბ., „განათლება“ 1957 წ.; ნაწ. II, თბ., 1963 წ.; „მემინდვრობის ორგანიზაცია“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1954 წ.; „სუბტროპიკული მეურნეობის ორგანიზაცია“, თბ., „საბჭოთა საქართველო“ 1955 წ.

ჯიბუტი ამირან სარდლიანის ძე, დ. 1928 წ. ჩოხატაურის რ-ნის სოფ. ამაღლებაში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1949). 1983-89 წწ. იგი იყო საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინსტ-ის უმცროსი, უფროსი მეცნ. თანამშრომელი, განყ. გამგე. საქ. სას-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი (1983-89). 1989 წლიდან თსუ პროფესორია. ძირითადი შრომები: „საქართველოს სოფლის მეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და ინტეგრაციის საკითხები“, თბ., „მეცნიერება“, 1982 წ.; „სამეურნეობათა შორის კოოპერაცია და აგროსამრეწველო ინტეგრაცია“, თბ., „მეცნიერება“, 1984 წ.; „საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვაღი“, თბ. თსუ გამომც., 2003 წ. (თანაავტ.)

ჯიბუტი მიხეილ ჭიჭიკოს ძე, დ. 1954 წ. ჩოხატაურის რ-ნის სოფ. შუა განახლებაში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი. დაამთავრა ქ. მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1977). იგი იყო საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტის უმცროსი, უფროსი და წამყვანი მეცნ. თანამშრომელი (1981-88), განყ-ბის გამგე (1988-92), თსუ დოცენტი (1980-90), პროფესორი (1990 წლიდან). საქ. ეკონომიკის მინისტრი – მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1992-93), საქ. ეკონომიკის მინისტრი (1993 წლიდან) – საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1995-99), საქ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე (1999-2000), საქ. ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს ფასების სახელმწიფო ინსპექციის უფროსი (2000-01), მინისტრის მოადგილე (2001-02), 2002 წლიდან არის საქ. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავ-რე-ძირითადი შრომები: „ღირებულების კანონის გამოყენების დიალექტიკა სოციალიზმის დროს“, თბ., „მეცნიერება“, 1995 წ.; „სამეურნეო მექანიზმი: არსი, სტრუქტურა, განვითარების პერსპექტივები“, თბ., „მეცნიერება“, 1985 წ.; „მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორია“, ტ. I, მოსკოვი, „მისლი“, 1997 წ. (რუს. ენაზე, თანაავტ.).

ჯულაყიძე გიორგი ნოეს ძე, დ. 1933 წ. ვანის რ-ნის სოფ. ყუმურში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1993). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1956). იგი იყო თსუ მასწავლებელი (1962-66), დოცენტი (1975-77), „ენიიკს“-ის საკავშირო ინ-ტის საქ. ფილიალის დირექტორის მოადგილე (1966-73), დირექტორი (1973-75). ქ. მოსკოვის კოოპერაციული ინ-ტის თბილისის ფილიალის დეკანი (1977-78), სსრკ ვაჭრობის სამ. არსებული მოსახლ. მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის სკი „ენიიკა“-ის საქ. ფილიალის დირექტორი (1978-90), საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილე (1990-92). 1996 წლიდან არის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ს/კ ინ-ტის მთ. მეცნ. მუშაკი. ძირითადი შრომები: „სავაჭრო საწარმოს ეკონომიკა და მართვა“, თბ., თსუ გამომც., 1991 წ;



„მარკეტინგის საკითხები“, თბ., „კოლპ. სინათლე“, 1992 წ.; „ფინანსური რესურსები და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების პრობლემები“, თბ., „ფინ. სამ-ს გამომც.“, 2000 წ.

A. Silagadze, T. Atanelishvili.
Доктора экономических наук в Грузии

Публикация содержит информацию о жизни и научной деятельности грузинских учёных - докторов экономических наук. Материал был собран на основе следующего опросника:

1. Полное имя, дата и место рождения;
2. Год защиты докторской диссертации;
3. Университет (факультет), в котором учился и год его окончания;
4. Научная и педагогическая деятельность (университет, научно-исследовательский институт, годы работы);
5. Деятельность в общественном учреждении (положение не ниже чем заместитель управляющего независимого ведомства, годы работы);
6. Три главные изданные работы (монография, год издания).

T. Atanelishvili, A. Silagadze.
Doctors of Economic Science in Georgia

The publication contains information about lives and scientific activities of the Georgian Doctors of Economic Sciences. The material was collected on the basis of the following questionnaire:

1. Full name, the date and the place of birth;
2. The year of defendance of doctoral dissertation;
3. The University (Faculty) and the year of graduation;
4. Scientific and pedagogic activities (University, scientific-research institute, years of work);
5. Activities at public institution (position of (or higher than) the deputy governor of an independent body, years of work);
6. Three major published works (monography, the year of publication).



ზ. თეთრაშვილი, მ. თეთრაშვილი

**ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების
 თეორიული წინამძღვრების შესახებ**

ქვეყნის, მისი რეგიონების, სხვა ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკურ უსაფრთხოებას განვიხილავთ, როგორც მოცემულ ეკონომიკურ სისტემაში, მოცემულ გეოგრაფიულ სივრცეში მცხოვრები ადამიანების ცხოველუნარიანობის შენარჩუნებისა და განვითარების, მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ნორმალური, მყარი პირობების უზრუნველყოფის უნარს. იგი კონკრეტული ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის, მისი მოსახლეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესების თანმიმდევრულად რეალიზაციის გარანტია.

ეკონომიკის უსაფრთხო განვითარება ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბებისა და მასთან დაკავშირებული სახელმწიფოს წარმოშობის თანმდევი პრობლემაა. მას კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ყოველთვის სისხლხორცეული მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანებისათვის და სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ფორმას, მარეწეველს და დატვირთვას ღებულობდა. ზოგჯერ, თუ იგი დაკავშირებული იყო ქვეყნის სამხედრო ძლიერებასთან ან ეკოლოგიასთან და ა.შ., მისი მთავარი ამოცანა ყოველთვის იყო და მომავალშიც დარჩება როგორც ადამიანის ცხოველყოფილობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემა. მაგრამ მისი მნიშვნელობა, აქტუალურობა განსაკუთრებით იზრდება დღეს მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში. ამიტომ, რომ ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების შესწავლა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ პრობლემად არის ქცეული.

მსოფლიო მეცნიერული აზროვნების გააქტიურების კვლეობაზე, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების შესასწავლად საინტერესო კვლევებს აწარმოებენ ქართველი მეცნიერები (თბასილია, გ. თოდუა, თ. კანდელაკი, ჯ. კახნიაშვილი, ა. კუჭუხიძე, თ. მადლაკელიძე, ი. მესხია, შ. მირიანაშვილი, თ. ოთინაშვილი, ვლ. პაპავა, ო. საღარეიშვილი, ა. სილაგაძე, ასულაბერიძე, რ. ფაჩულია, თ. ჩიკვაძე, ნ. ჭოთანავა და სხვები), წამყვანი სამეცნიერო ცენტრები (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვლ. მელქაძის სახელობის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და დარგობრივი აკადემიები, გორის

სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო და სხვები).

მიუხედავად აღნიშნულისა, მეცნიერული თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი საკითხია შესასწავლი. მათ შორის უურადღებებს იმსახურებს ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული წანამძღვრების ძიება.

ჩვენი აზრით, ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების შესწავლა შორეული წარსულიდან იღებს სათავეებს და უკავშირდება ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური სამყაროს და ფეოდალური საუკუნეების გამოჩენილი ადამიანების ნააზრევს. ისინი უსაფრთხო ეკონომიკას თავიანთი ქვეყნების საზოგადოებრივ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ყოფის საფუძვლად მიიჩნევდნენ. მერკანტილისტები, ფიზიოკრატები, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლები, გერმანული ისტორიული სკოლის თეორეტიკოსები, ქენზი და ქენზიანელები, ნეომერკანტილისტები და სხვები, არსებითად უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის თეორიას ქადაგებდნენ. მართალია, მათ წარმოდგენებში, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის შრომებში პირდაპირ არ არის მითითებული უსაფრთხო განვითარების შესახებ, მაგრამ, ვინაიდან მათ მთავარ მიზანს ყოველთვის წარმოადგენდა ადამიანების ცხოველმყოფელობის გაძლიერება, მეურნეობრივი საქმიანობის მოწყობის სრულყოფა და განვითარება, მიგვაჩნია, რომ ყოველივე ეს პირდაპირ უკავშირდება და ასახავს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების შინაარსს. უფრო მეტიც, როდესაც ისინი კვლევის მიზნად ისახავენ ქვეყნის ბარაქის მომატებას, მისი სიმდიდრის ზრდის წყაროების და საშუალებების გამოკვლენას, ერის აყვავებას და ა. შ. ჩვენი შეფასებით, ყველაფერი ეს ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების, მისი რისკ-ფაქტორების (ინდიკატორების) პრობლემების დაყენება და მათი გადაწყვეტის გზების ძიებაა.

დღემდე შემორჩენილ წერილობით წყაროებში ნათლად არის გამოკვეთილი, რომ თვით პირველყოფილ ადამიანებში შეინიშნება სამეურნეო ცხოვრების რაღაც ჩანასახები. თანდათანობით წარმოიშობოდა გარკვეული წარმოდგენები იმ ურთიერთობათა შესახებ, რომლებიც ყალიბდებოდა მათ შორის მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების შესახებ და რომლებიც უზრუნველყოფდა მათ სიცოცხლისუნარიანობას.

მართალია, პირველსაწყისი ეკონომიკური შეხედულებები ცოდნის სპეციალური სფეროს სახით არ იყო გამოყოფილი და უსაფრთხო ეკონომიკის თეორიების სახით არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ მათში ჩანს იმის მცდელობა, რომ აღეწერათ სამეურნეო გამოცდილება, მიეცათ რჩევები ან რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ ეწარმოებინათ აღრიცხვა, როგორ მოეწყოთ შრომის ორგანიზაცია და სხვა. წერილობითი წყაროები გვიჩვენებენ, რომ მთელი ისტორიის მანძილზე ეკონომიკური აზროვნების ცენტრში იდგა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო სახელმწიფო მეურნეობის ორგანიზაციასა და მის მართვასთან. ისინი თავის თავში მოიცავდნენ არა მარტო საკუთრივ სახელმწიფო (სამეფო-სატაძრო) ნატურალური მეურნეობის ორგანიზაციას, არამედ სასაქონლო მეურნეობის სახელმწიფო რეგლამენტაციასაც, რომელიც წარმოიშვა ამ საზოგადოების შრეებში. ნატურალური მეურნეობის ორგანიზაცია გულისხმობდა წარმოების პირობების აღრიცხვას (მუშაკების, მიწის, ხორბლის), დარგებს შორის, უწინარესად, სოფლის მეურნეობას, ხელოსნობას და ვაჭრობას შორის პროპორციების დაცვას, სადაზღვევო ფონდის შექმნას, აგრეთვე ზრუნვას გაფართოებულ კვლავწარმოებაზე (საირიგაციო მოწყობილობების მშენებლობა). სასაქონლო მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგლამენტაცია ხორციელდებოდა

როგორც უშუალოდ (ფასების ფიქსაციის, ცალკეული დარგების მონოპოლიზაციის და სხვათა გზით), ისე არაპირდაპირი ღონისძიებების მეშვეობით (დაბეგრის ღონის ცვლილებები, სახელმწიფო მარაგების ნაწილის გაყიდვა და სხვა).

ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკური აზროვნების ნაყოფს წარმოადგენს დამოუკიდებელი, სპეციალური ნაწარმოების შექმნა, რომლებიც მიძღვნილი იყო სახელმწიფოს მართვისა და სახელმწიფო მეურნეობის საკითხებისადმი („პერაკლე-ეპოლისის მეფის დარგები თავისი შვილის მერიკარასადმი“, „არტხაშასტრა“, „გუნ-ძი“), აგრეთვე ისეთი ნაწარმოების გამოჩენა, რომლებიც მიმართული იყო სახელმწიფოსა და საზოგადოებაში სტაბილურობისაკენ („საუბრები და მსჯელობები“, „მენძი“, „ფუგო“ და სხვ.)

ანტიკურ ხანაში წარმოშობილი ანტიკური პოლისების, თავისებური ქალაქ-სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენდა საქალაქო მიწათმოქმედი (სამოქალაქო) თემი. ძველადმოსავლური კულტურისაგან განსხვავებით, ანტიკური კულტურის თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ იგი უფრო რაციონალური და დემოკრატიული ხასიათისაა, ქალაქ-სახელმწიფო შექმნილი იყო თავისუფალი მოქალაქეების მიერ. ამ საზოგადოებაში მოქალაქის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ხასიათი იქცა წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი, ხოლო პიროვნება გამოდიოდა როგორც სიმდიდრის მთავარი ფორმა.

ანტიკური ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების დამადასტურებელ სხვადასხვა წყაროში, კერძოდ, ქალაქ-სახელმწიფოს კანონებში (სოლონის კანონები, ანუ ე.წ. ლიკურგის კანონები და სხვა), ფილოსოფოსების, ისტორიკოსების, სხვა გამოჩენილი ადამიანების საჯარო გამოსვლებში და ტრაქტატებში, პოლიტიკურ ნაწარმოებებში, რომლებშიც არის მსჯელობა ეკონომიკურ საკითხებზე (ქსენოფონტეს „დომოსტროი“ და „შემოსავლების შესახებ“; პლატონის „სახელმწიფო და კანონები“; არისტოტელეს „ათენის პოლიტიკა“) და სხვა, იმაზე, რომ ანტიკური პოლისების არსებობის წინამძღვარს წარმოადგენს მის მოქალაქეებს შორის - როგორც ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ კერძო მიწის მესაკუთრეებს შორის - თანასწორობის შენარჩუნება. მათი დამოუკიდებელი ნატურალური მეურნეობის (ქსენოფონტეს „დომოსტროი“) და ნაწილობრივ სასაქონლო მეურნეობის (არისტოტელეს „ნიკომახის ეთიკა“) საფუძველები. ნატურალური და სასაქონლო მეურნეობის თანმიმდევრულმა განცალკევებამ არისტოტელე მიიყვანა ეკონომიკისა და ქსემატიკის შესახებ მოძღვრების შექმნამდე. ვინაიდან ბერძნული საზოგადოების საფუძველს იმ დროისათვის წარმოადგენდა ნატურალური მეურნეობა, არისტოტელე ეკონომიკას მიაკუთვნებს საცალო ვაჭრობასაც, რადგან მასში გადაშვევტ როლს ასრულებდა სახმარი ღირებულება. იგი კრიტიკულად უდგებოდა ქსემატიკას და თვლიდა, რომ „ფულის კეთების ხელოვნებას“, სავაჭრო (საბითუმო ვაჭრობა) და სავაზშო კაპიტალის ფუნქციონირებას სიმდიდრის წყაროდ აქვს მიმოქცევა“.

რომის ეკონომიკური აზროვნების ყურადღების ცენტრში იდგა კერძო მონათმფლობელური მეურნეობის და კერძო საკუთრების ორგანიზაციისა და მათი მართვის საკითხები (კატონის „მიწათმოქმედება“, პლინიუსის „ბუნებრივი ისტორია“, ვარონის „სოფლის მეურნეობა“). უდიდესი ყურადღება იყო გამახვილებული კერძო საკუთრების იურიდიულ მხარეზე (კერძო საკუთრების სამართალი, აბსტრაქტული სამართალი, კერძო სამართალი, აბსტრაქტული პიროვნების სამართალი).

ფეოდალურ საზოგადოებაში ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების საფუძველს, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, წარმოადგენდა მატერიალური ღოფლათის

თავისუფალი მწარმოებლებისა და მონების ფეოდალებზე დამოკიდებულ გლეხებად (ყმებად) გადაქცეული ადამიანების შრომა მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის პირობებში. ფეოდალური ეკონომიკის აგრარული ხასიათი, ნატურალური მეურნეობის ბატონობა, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებლობა ადრეული შუასაუკუნეების ეპოქაში (V-XI სს.) ფეოდალების წინაშე მწვევედ აყენებდა ადმინისტრაციულიდან შემოსული ფუფუნების ეგზოტიკური საგნების შესასყიდად და უზრუნველი და უსაქმური ცხოვრებისათვის ფულის ქონის პრობლემას.

ფეოდალიზმის ეპოქაში დამკვიდრებული ამქრული წესებით ხორციელდება წარმოების დეტალური რეგლამენტაცია, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის და რაოდენობის, ქვეოსტატებისა და მოსწავლეების რიცხვის, წარმოების ტექნოლოგიის და ა.შ რეგულირება. ყველა ამ ღონისძიების მიზანი იყო კონკურენციის შეზღუდვა როგორც თვით საამქროს შიგნით, ისე გარედან – სოფლისა და სხვა არაამქრული სახელოსნოების მხრიდან.

ეკონომიკური თეორიის პირველი სკოლის – მერკანტილიზმის წარმომადგენლები ყოველი ერის სიმდიდრის მყარ საფუძველს ხედავდნენ ფულის დაგროვებაში (ოქროს და ვერცხლის მონეტები). ასეთი დაგროვების წყაროს, მათი აზრით, წარმოადგენს მოგება (შემოსავალი), რომელიც წარმოიქმნება ვაჭრობაში. მაგრამ, თუ საქონლის გაცვლა ფულზე ხდება ქვეყნის შიგნით, მაშინ ადამიანთა ერთი წყება შეიძლება გამდიდრდეს ადამიანთა მეორე წყების ხარჯზე. თუმცა ამ შემთხვევაში, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, ეროვნული სიმდიდრის საერთო ჯამი არ იზრდება. იგი იზრდება მხოლოდ საგარეო ვაჭრობის წყალობით. აქ სიმდიდრის ზრდა თვალსაჩინოა, ვინაიდან საქონელი ერთ ქვეყანაში შეისყიდებოდა დაბალი ფასებით და მეორეში გაიყიდებოდა მაღალი ფასებით. მაგალითად, ინგლისში შექმნილი „მოსკოვის კომპანია რუსეთთან ვაჭრობისათვის“ ერთ ცალ საანძე ხეს 25-30 კაპიკად შეისყიდდა და 4-5 მანეთად ჰყიდდა (თ. მენი „ინგლისის სიმდიდრე საგარეო ვაჭრობაში“) [1, 8]. ეს პრინციპი ერთნაირად მისაღებია როგორც ადრეული მერკანტილიზმისათვის (XV ს-ის უკანასკნელი მესამედი – XVI ს-ის შუახანები), ისე გვიანი მერკანტილიზმისათვის (XVII ს-ის მეორე ნახევარი – XVII ს.), იმ განსხვავებით, რომ ადრეული მერკანტილიზმისათვის დამახასიათებელია აქტიური ფულადი ბალანსი (ქვეყანაში შემოტანილი ფულის რაოდენობის გადამეტება ქვეყნიდან გატანილი ფულის რაოდენობაზე), ხოლო გვიანი მერკანტილიზმისათვის – აქტიური სავაჭრო ბალანსი (ქვეყნიდან გატანილი საქონლის ღირებულების გადამეტება ქვეყანაში შემოტანილი საქონლის ღირებულებაზე). ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ქვეყნიდან ფულის გატანის აკრძალვას, რაც ხელს უშლიდა საგარეო ვაჭრობის განვითარებას. მერკანტილისტების აზრით, ეკონომიკური თეორიის ამოცანაა: დაამუშაოს პრაქტიკული რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკისათვის, ხელსაყრელი სავაჭრო ბალანსის მისაღწევად სახელმწიფო უნდა ერეოდეს ეკონომიკაში; გაატაროს პროტექციონიზმის პოლიტიკა (მფარველობა გაუწიოს სამამულო მრეწველობას და ვაჭრობას), რაც იმას ნიშნავს, რომ დაწესდეს მაღალი საბაჟო გადასახადები იმ საქონელზე, რომლებიც შემოგვაქვს საზღვარგარეთიდან, ხოლო წამახალისებელი პრემიები – სამამულო საქონელზე, რომლებიც გავვაქვს სხვა ქვეყანაში; ამასთან, ხელი შეუწყოს მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომელთა პროდუქცია დანიშნულია საგარეო ვაჭრობისათვის.

გვიანი მერკანტილიზმის მთავარ თეორეტიკოსს ინგლისში თომას მენს (1571-1641) წიგნში „ინგლისის სიმდიდრე საგარეო ვაჭრობაში, ანუ ჩვენი

საგარეო ვაჭრობის ბალანსი, როგორც ჩვენი სიმდიდრის რეკულტორი“ სპეციალური თავი აქვს გამოყოფილი (თავი III), სადაც უჩვენებს ქვეყნიდან საქონლის გატანისა და ქვეყანაში მოხმარებული უცხოური საქონლის შემცირების გზებს და საშუალებებს (12 პუნქტად) (თ. მენი „ინგლისის სიმდიდრე საგარეო ვაჭრობაში“) (1, 10-12). იგი შესასურს დეტალურობით და მალაქკალიფიციური სიღრმით იხილავს ქვეყნის სიმდიდრის გადიდების გზებსა და საშუალებებს. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ეს გზები და საშუალებები დღესაც არ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის და, მაშასადამე, მოსალოდნელი ეკონომიკური საშიშროების თავიდან აცილებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ მერკანტილისტების ნააზრვეი დასრულებულ თეორიულ სახეს ვერ ღებულობს და ეს შემდგომმა მეცნიერულმა მიმდინარეობებმაც (სკოლებმაც) თვალნათლივ წარმოაჩინეს, მაინც მიგვაჩნია, რომ მთავარი, რაც მერკანტილისტებმა გააკეთეს ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში იყო ის, რომ მათ პირველებმა ჩამოაყალიბეს ქვეყნის ეკონომიკური სიმდიდრის გაზრდის მწკობრი თეორიული და პრაქტიკული განსახორციელებელი სისტემა. მათ შეიმუშავეს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც ატარებდნენ ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების მქონე ქვეყნები და რომლის მთავარი მიზანი იყო ეროვნული ეკონომიკის დაცვა, მისი მდგრადობის მიღწევა სიმდიდრის დაგროვების გზით და მოსალოდნელი საშინაო და საგარეო უსაფრთხოების თავიდან აცილება კონკრეტული რეკომენდაციების გატარებით. უფრო მეტიც, მერკანტილისტების მოძღვრებაში ჩვენ ვხვდებით ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების ფაქტორების ძიებასაც. მათთვის არა უბრალოდ სიმდიდრის წყაროს ჩვენებაა მთავარი, არამედ სიმდიდრე – სპეციფიკური ფორმის სახით, რომელიც უპასუხებდა პირვანდელი დაგროვების პერიოდის მოთხოვნებს. ისინი, ასახავდნენ რა მსხვილი სეაპრო კაპიტალის ინტერესებს, ამით იცავდნენ ეროვნულ ეკონომიკას. სეაპრო კაპიტალისათვის სიმდიდრის წყაროდ გვევლინება არა უბრალოდ ფული – განძის სახით, არამედ ფული – კაპიტალის სახით. ფული მათთვის შემოსავლების წყაროა, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს ვაჭრობაც და მანუფაქტურული წარმოებაც. მერკანტილისტები მომხრე არიან, რომ ქვეყანას ჰყავდეს ძლიერი ხელისუფლება და რომ ეს ხელისუფლება მხარს უჭერდეს ვაჭრობას, ხელოსნობას. მაგრამ, ამავე დროს, ისინი წინააღმდეგნი იყვნენ სამეურნეო საქმიანობაში წვრილმანი რეგლამენტაციის. ეროვნული ეკონომიკის ზრდასა და შესაბამისად, სიმდიდრის გადიდებას, მათი აზრით, ემსახურება არა მარტო სარგებელი, რომელსაც ღებულობს მოცემული ქვეყანა სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით, შორეულ ქვეყნებთან (ინდოეთი, ჩინეთი) საგარეო სეაპრო კავშირუროთიერთობებით, არამედ საკუთარი მრეწველობის, ხელოსნური და მანუფაქტურული წარმოების, ნაოსნობის განვითარებით, თავისუფალი მიწების დამუშავებით, მოსახლეობის მწარმოებლურ შრომაში ჩაბმით. ისინი ქადაგებენ, რომ დაფართოვების სამამულო საქონლის წარმოება უცხოეთიდან შემოტანილი ნედლეულით. ასეთი სახის წარმოება ბევრ დარბ ხალხს მისცემს სამუშაოს და გაზრდის საქონლის საზღვარგარეთ ყოველწლიურად გატანას. „ჩვენ უნდა ვეცადოთ დავამზადოთ რაც შეიძლება ბევრი საკუთარი საქონელი“. „იქ, სადაც მოსახლეობა მრავალრიცხოვანია და ხელოსნობა ჰყავის, ვაჭრობა უნდა იყოს ფართო და ქვეყანა მდიდარი“.

ნიშნდობლივია, რომ მერკანტილისტები მომხრენი არიან რა სამამულო ვაჭრობის მხარდაჭერისა, ამასთან ცალკეული ქვეყნების წარმომადგენელთა შეხედულებები ერთგვაროვანი არ არის. მაგალითად, ესპანეთში მოღვაწე

მერკანტილისტები გამოდიოდნენ ესპანეთიდან ოქროს გატანის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ მის აკრძალვას, ხოლო უცხოური საქონლის შემოტანის მიმართ სურდათ დაეწესებინათ შეზღუდვები (ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ თვითონ ესპანეთს იმ დროისათვის ოქრო გამოჰქონდა ამერიკული კოლონიებიდან); ფრანგი მერკანტილისტები, სამაგიეროდ, ყურადღების ცენტრში აყენებდნენ დადებითი სავაჭრო ბალანსის უზრუნველყოფის პრობლემას.

ფიზიოკრატებმა, მერკანტილისტებისაგან განსხვავებით, ქვეყნის სიმდიდრის წყაროს ხედავდნენ მიწათმოქმედებაში. ისინი მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოს ყურადღება მიქცეული უნდა იქნეს არა ვაჭრობის განვითარებაზე და ფულის დაგროვებაზე, არამედ „მიწის ნაწარმოების“ სიუხვის შექმნაზე. მათი აზრით, სოფლის მეურნეობა ქმნის ერის ნამდვილ სიმდიდრეს. ეს არის წარმოების ერთადერთი დარგი, სადაც ბუნებრივი გზით წარმოიშობა ერის ბარაქა, დამატებითი „წმინდა პროდუქტი“ (ხალხის სიმდიდრის ნამატი).

მათი ასეთი მოძღვრება გამომდინარეობს საზოგადოებაში მოქმედი პრინციპით ბუნებრივი წესრიგის შესახებ (2,6). ბუნებრივი წესრიგი იმართება ბუნების კანონებით, რომლებიც არსებობს ბუნებაში, ცოცხალ ორგანიზმში, ცხოველთა სამყაროში. თუ ამ კანონებს გადმოვიტანთ საზოგადოებაში, აღნიშნავენ ფიზიოკრატები, მაშინ საზოგადოების ბუნებრივი წესრიგის საფუძველს წარმოადგენს საკუთრებისა და ხელისუფლების (ძალაუფლების) მიმართ პატივისცემა.

ბუნებრივი წესრიგის პირობებში, ცხადია, განსაკუთრებულ როლს ასრულებს მიწა. აქ მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მიწას შეუძლია მოგვიტანოს შემოსავალი, რომელიც გაწვეულ ხარჯებზე უფრო მეტია. მიწათმოქმედი უფრო მეტ ხორბალს იღებს, ვიდრე მან დათესა თესლი. ამიტომ, მიწათმოქმედებაში და მხოლოდ ამ სპეციფიკურ დარგში არსებობს „წმინდა პროდუქტი“. სხვა დარგებში წმინდა პროდუქტი არ იქმნება. ხელოსანი, მიწათმოქმედისაგან განსხვავებით, მხოლოდ ფორმას უცვლის პროდუქტს, რომელიც წარმოებულია სოფლის მეურნეობაში.

ფიზიოკრატული სკოლის დამაარსებელი და მეთაური საფრანგეთში ფრანსუა კენე (1694-1774) სტატიაში „ხორბალი“ (1757) აღნიშნავს: შრომა სოფლის მეურნეობაში ქმნის უფრო მეტ პროდუქტს, ვიდრე საჭიროა თვით მისი და მისი პირობების კვლავწარმოებისათვის. მიწაზე შრომის ასეთი ამაღლებული მწარმოებლურობა განპირობებულია თვით ბუნების მიერ. სწორედ მუდმივად კვლავწარმოებული სოფლის მეურნეობის სიმდიდრე წარმოადგენს სიმდიდრის ყველა სხვა ფორმის საფუძველს, უზრუნველყოფს ყველა პროფესიის დასაქმებას, ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას, მოსახლეობის კეთილდღეობას, მოქმედებაში მოჰყავს მრეწველობა და ეხმარება ერის აყვავებას (1, 14).

ფრანსუა კენე დასახელებულ ნაშრომში არ მიუთითებს იმ გზებსა და საშუალებებს, თუ როგორ შეიძლება მიღწეულ იქნეს „ერის აყვავება“. მაგრამ აქ ხაზი მაინც უნდა გაესვას შემდეგ ორ გარემოებას: პირველი, როდესაც იგი სიმდიდრეს ორ ნაწილად – ფულად სიმდიდრედ და რეალურ სიმდიდრედ პყოფს, მიუთითებს, რომ სახელმწიფოს დაცულობისათვის აუცილებელია რეალური სიმდიდრე, ანუ სიმდიდრე, რომელიც მუდმივად განახლდება, რომელიც ყოველთვის არის მოთხოვნა და რომელიც შეიძლება ყოველთვის გაიყიდოს იმისათვის, რომ შეიძლებოდეს მისი გამოყენება გარკვეული სიკეთის მოწყობის მისაღებად და თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (1, 17-18).

ფკენეს განმარტებით, მიწათმოქმედი, რომელიც მიჰყიდის თავის ხორბალს ვაჭარს, სანაცვლოდ მიიღებს ფულს, თანაც ამ ფულს იგი გამოიყენებს გადასახადების გადასახდელად, მსახურებისა და მუშების ხელფასის ასანახადს და საქონლისა და მოსამსახურეების შესაძენად, თავისი საკუთარი საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ვაჭარი, რომელიც ყიდის ხორბლის პურს საზღვარგარეთ და იქ ყიდულობს სხვა საქონელს, ან ახდენს სხვისი საქონლის სხვა საქონელზე გაცვლას, დაბრუნების შემდეგ ჩამოტანილ საქონელს ხელახლა ჰყიდის და ამ გაყიდვისაგან მიღებული ფულით ისევ ყიდულობს ხორბალს. სხვანაირად თუ ვიტყვით, ხორბლის პური, განხილული როგორც საქონელი, წარმოადგენს გამყიდველებისათვის ფულად სიმდიდრეს, ხოლო მყიდველისათვის – რეალურ სიმდიდრეს.

ამრიგად, დაასკვნის იგი, პროდუქტები, რომლებიც შეიძლება გაყიდული იყოს, ყოველთვის უნდა განიხილებოდეს სახელმწიფოში როგორც ფულადი სიმდიდრე და ამავე დროს როგორც რეალური სიმდიდრე, რომელიც ქვეშევრდომებს შეუძლიათ განაგებდნენ ისე, როგორც მათ წარმოუდგენიათ საჭიროდ.

მეორე მის ამ ნაშრომში ჩანს ფრანსუა კენეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ერის სიმდიდრესა და საქონლის ბრუნვის სიჩქარეს შორის კავშირურთიერთობის შესახებ. იგი მიუთითებს, რომ ერის სიმდიდრე არ განისაზღვრება ფულადი სიმდიდრის მოცულობით. ფულადი სიმდიდრე შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ერის სიმდიდრის საერთო მოცულობის გაზრდის ცვლილების გარეშე, ვინაიდან ეს სიმდიდრე ყოველთვის არსებობს სახელმწიფოში ან უშუალოდ ნაღდი სახით, ან საქონლის სახით, რომელიც მიმოქცევაშია, თანაც მათი ბრუნვის სიჩქარე დამოკიდებულია ამ საქონლის სიუხვეზე და მათ ფასზე.

ინგლისური კლასიკური პოლიტიკონომიის (XVII-XVIII სს.) მამამთავრები უილიამ პეტი, ადამ სმიტი და დავიდ რიკარდო თვლიდნენ, რომ ხალხთა სიმდიდრე იქმნება არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ მატერიალური წარმოების ყველა სხვა დარგშიც. ისინი მიუთითებდნენ, რომ სიმდიდრის საყოველთაო ფორმას წარმოადგენს ღირებულება, რომელიც განიეთებულია საქონელსა და ფულში. თვით ღირებულებას კი ჰქმნის საქონლის მწარმოებელ მუშაკთა შრომა.

ჩვენი ამოცანებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით გვირდა აღვნიშნოთ უ.პეტის (1623-1687) ერთ-ერთი ნაშრომის პირველი თავი „პოლიტიკური არითმეტიკა“, სადაც ქვეყნის სიმდიდრის გაზრდის შესახებ საუბრობს პატარა ქვეყნის მაგალითზე, რომელსაც თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის წყალობით ხელსაყრელი პირობები გააჩნია ვაჭრობის, ნაოსნობის, სამდინარო ტრანსპორტის განვითარებისათვის: პატარა ქვეყანას, აღნიშნავს იგი, მცირერიცხოვანი მოსახლეობით, თავისი მდებარეობის, თავისი ვაჭრობისა და პოლიტიკის წყალობით, სიმდიდრითა და ძლიერებით შეუძლია ეკვივალენტური იყოს იმ ქვეყნის, რომელსაც მნიშვნელოვნად დიდი რაოდენობის მოსახლეობა ჰყავს და დიდი ტერიტორია უკავია. ნაოსნობისათვის და საწყალოსნო ტრანსპორტისათვის ხელსაყრელი პირობები საუკეთესოდ და გადამწყვეტად უწყობენ ამას ხელს (3, 157).

შრომაში „ტრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ“ უ.პეტის მოჰყავს „სახელმწიფო ხარჯების სხვადასხვა სტატიის ჩამონათვალი და აღწერა“, „ფულის გაფუჭების საწინააღმდეგო დასკვნები“, „ბაჟის აკრების გზით ფულის გადახდევინების უხერხულობანი“, „საქონელზე ფასების

განგარიშებებისა და შედარების ხერხები“ (3, 7) და სხვა, რომლებსაც ჩვენი აზრით, ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორებთან უშუალო კავშირი აქვთ.

იგი ციფრების, წონისა და საზომის ერთ ხსნის: მოსახლეობის, მიწის, კაპიტალის, ვაჭრობის ჭეშმარიტ მდგომარეობას; ეკონომიკური პროცესების არა გარეგან გამოვლინებას, არამედ მათ არსს, შინაარსს; გადასახადების და მათი შედეგების, ფულადი რენტის, მიწის რენტის, ფულის და სიმდიდრის წყაროების იდუმალ ბუნებას (3, 8).

დასახელებულ შრომაში უკეთი ასკვნის, რომ „არსებობს განსაზღვრული საზომი ანუ ფულის გარკვეული პროპორცია, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ვაჭრობის წარმართვისათვის. ფულის ნამეტობა ან დანაკლისი, ამ საზომის იქით, ზიანს მოგვიტანს (3, 9).

როდესაც ადამ სმითის (1723-1790) შრომებში ვეძებთ ქვეყნის ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების შესახებ წინამძღვრებს, უწინარესად, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: თუ მანამდე მოღვაწეთა ძირითადი აქცენტი გადატანის იყო ხარჯების გაწვევის, გადასახადების დაწესების, ვაჭრობის ორგანიზაციის და სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის სხვა სფეროების წარმართვის კონკრეტულ რჩევებზე, რეკომენდაციებზე, ა.სმითი მათგან განსხვავდება თეორიული ძიებებით და მეცნიერული კატეგორიების სისტემატიზაციით. მისი ძირითადი შრომა „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1773-1776წ.წ.) რეკომენდაციების კრებული არ არის. მასში სისტემატიზებული სახით გადმოცემულია ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და წესების შესახებ განსაზღვრული კონცეფცია.

ა.სმითის აზრით, საბაზრო ეკონომიკა არ იმართება ერთიანი ცენტრიდან და არ ემორჩილება ერთ საერთო ჩანაფიქრს, ვითარდება ობიექტური კანონებით და ამიტომ არ საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას. მიუხედავად ამისა, იგი ფუნქციონირებს და ვითარდება განსაზღვრული წესებით, მისდევს განსაზღვრულ წესრიგს, სამეურნეო საქმიანობის ყველა ცალკეული მონაწილე ეძებს მხოლოდ საკუთარ სარგებელს. ცალკეული ადამიანის გავლენა საზოგადოების საჭიროების რეალიზაციაზე პრაქტიკულად უმნიშვნელოა. მაგრამ, ისახავს რა მიზნად საკუთარ სარგებელს, ადამიანი საბოლოო ანგარიშით ხელს უწყობს საზოგადოებრივი პროდუქტის გაზრდას, საზოგადოებრივი სიკეთის გამრავლებას. როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი მიზნები, ა.სმითის აზრით, მიიღწევა საბაზრო კანონების „უხილავი ხელის“ მეშვეობით. პირადი სარგებლობისათვის სწრაფვას მიუხედავად საერთო სარგებლობისაკენ, წარმოების განვითარებისაკენ, პროგრესისაკენ. ყოველი ცალ-ცალკე ზრუნავს თავის თავზე და იგებს საზოგადოება. იღწვის რა თავისი საკუთარი ინტერესებისათვის, „ეკონომიკური ადამიანი“ ხშირად უფრო მეტად ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, ვიდრე მაშინ, როდესაც შეგნებულად ისწრაფვის გააკეთოს ეს.

ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების პოზიციიდან გამომდინარე, ასევე უზრადლებას იმახურებს ა.სმითის დასკვნა შრომის დანაწილების როლის შესახებ მწარმოებლური ძალების განვითარებაში. სამუშაოს რაოდენობის მნიშვნელოვანი გაზრდა, რომელიც შეიძლება შეასრულოს მუშების ერთმა და იმავე რაოდენობამ, დამოკიდებულია სხვადასხვა პირობაზე: ჯერ ერთი, ყოველი ცალკეული მუშის მოხერხებულობის, სიმარჯვის ამაღლებით, მეორე, დროის ეკონომიით, რომელიც, ჩვეულებრივ, იკარგება შრომის ერთი სახეობიდან მეორეზე გადასვლით; დაბოლოს, დიდი რაოდენობა მანქანების გამოგონებით, რომლებიც ამსუბუქებენ და ამცირებენ შრომას და საშუალებას აძლევენ ერთ ადამიანს შეასრულოს რამდენიმე ადამიანის შრომა (1, 20).

შრომის დანაწილების შედეგად მიღებული ყველანაირი სახის საგნების წარმოების მნიშვნელოვან გაზრდას, განაგრძობს იგი, — მივეყვართ საზოგადოებაში საყოველთაო კეთილდღეობისაკენ, რომელიც ვრცელდება ხალხის ყველაზე დაბალ ფენებზეც. ყოველ მუშაკს შეუძლია პქონდეს თავისი შრომის პროდუქტი იმაზე მეტი რაოდენობით, რაც საჭიროა მისი საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ვინაიდან ყველა სხვა დანარჩენი მუშაკი იმყოფება ზუსტად იმავე მდგომარეობაში, მას შეუძლია გაცვალოს თავისი პროდუქტი მათ მიერ დამზადებულ პროდუქტზე, ან, რაც ერთი და იგივეა, ამ პროდუქტების ფასზე. იგი ჭარბად მიაწვდის მათ იმას, რაც მათ სჭირდებათ, ხოლო ისინი ასეთნაირადვე ამარაგებენ მას იმით, რაც მას სჭირდება და ამრიგად მიიღწევა საერთო კეთილდღეობა საზოგადოების ყველა ფენაში (1, 20).

ჩვენი გაგებით, ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების თავისებურ თეორიას ავითარებდნენ ისტორიული სკოლის წარმომადგენლები. მისი დამფუძნებელი ფრიდრიხ ლისტი (1789-1846) ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის ნაციონალური სისტემა“ (1841) ეთანხმება რა ა.სმითისა და დ.რიკარდოს „ეკონომიკური“ თეორიას, მოუწოდებს ქვეყნის (გერმანიის — ავტ.) ეკონომიკური განვითარებისაკენ, რომელიც იმ პერიოდისათვის უამრავ წერილ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იყო დაქუცმაცებული. მისი აზრით, კლასიკოსების ფინიჯურსაღღური და სქოლასტიკური კონცეფცია გამოსაყენებლად გამოუსადეგარია. საქმიანი ეკონომიკური სისტემა, აღნიშნავს ფ. ლისტი, უნდა ემყარებოდეს უტყუარ ისტორიულ ფაქტებს. იგი მოწოდებულია განმარტოს ნამდვილი ჯეშმარტი ეროვნული ინტერესები და თავი არ უნდა გამოუტენოს პრაქტიკოსებს სხვადასხვა დოქტრინალური მოსაზრებით. ვაჭრობის თავისუფლების იდეის ქადაგება, რომელიც მოცემულია კლასიკოსების ნაშრომებში, აღნიშნავს იგი, პასუხობს ინგლისის ინტერესებს. ინგლისელი ვაჭრები ყიდულობენ ნედლეულს და ჰყიდიან მანუფაქტურული წარმოების საგნებს; ამკრძალავი ბაჟის არარსებობის პირობებში ეს ანგრევს გერმანიის ჯერ კიდევ მოუძმდაერებელ მრეწველობას. პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ XIX-ის დასაწყისში გერმანული სამთავროები განცალკევებული იყვნენ საბაჟო საგუშაგოებით, ხოლო მეზობელი ქვეყნებისათვის საბაჟო გადასახადები არ არსებობდა. სხვათა შორის, თვითონ ინგლისელებმა გერმანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის გადააკეტეს თავიანთი შინაური ბაზარი ე.წ. პურის კანონების მეშვეობით.

ფ. ლისტის მიერ წამოყენებული ძირითადი დებულებების დაყვანა შეიძლება შემდეგ სამ ურთიერთდაკავშირებულ დებულებამდე: მწარმოებლური ძალების თეორია; სტადიური ეკონომიკური განვითარების კონცეფცია; სახელმწიფოს აქტიური როლის შესახებ დებულება.

მისი მწარმოებლური ძალების თეორია გამსჭვალულია იდეით, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი სიმდიდრის შექმნა მიიღწევა არა მხოლოდ ადამიანების დაქუცმაცებული, დაცალკევებული ინდივიდუალური საქმიანობით, რომლებიც ერთიმეორესთან დაკავშირებული არიან მხოლოდ შრომის დანაწილებით და გაცვლით. ეს ერთი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა, იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სრულყოფილი შედეგები, აუცილებელია, რათა სხვადასხვა ინდივიდები იყვნენ გაერთიანებული გონებრივად და მატერიალურად და რომ ისინი იმყოფებოდნენ ურთიერთკავშირში. მწარმოებლური ძალების გაზრდა იწყება ცალკეული ფაბრიკიდან და შემდეგ ვრცელდება ნაციონალური ასოციაციის მასშტაბით. ნაცია, რომელიც აერთიანებს ადამიანებს, წარმოადგენს ერთიანს, მთლიანს. იგი ადრინდელი განვითარების, აღმოჩენების,

გაუმჯობესებების, ტრადიციების, გამოცდილების, ცოდნის შედეგია. ყოველი ცალკეული ნაცია მწარმოებელია იმდენად, რამდენადაც მან შესძლო აუთვისებინა წინა თაობების ეს მემკვიდრეობა და გაზარდა იგი საკუთარი შენაძენებით, რამდენადაც ბუნებრივი წყაროები, მისი ტერიტორიის სივრცე და გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი პოლიტიკური სიძლიერე საშუალებას აძლევს მას განავითაროს შრომის ყველა დარგი მაღალი ხარისხით და პარმონიულად, გაავრცელოს თავისი ზნობრივი, გონებრივი, სამკეფელო, სავაჭრო და პოლიტიკური გავლენა სხვა ჩამორჩენილ ნაციებზე და, საერთოდ, მთელ მსოფლიოზე. ეკამათება რა ასმითის „გაცვლით სისტემას“, ფლისტი ამტკიცებს, რომ ნაციის ჭეშმარიტი სიმდიდრე და კეთილდღეობა განპირობებულია არა გაცვლითი ფასეულობების რაოდენობით, არამედ მწარმოებელი ძალების განვითარების ხარისხით. ამასთან, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური სიძლიერე. პოლიტიკოსების ამოცანაა – გაავრთიანონ, ცივილიზებული გახადონ ერები, უზრუნველყონ მათი არსებობა. ერის ეკონომიკური აღზრდა მატერიალური ფასეულობების უშუალო წარმოებაზე უფრო მნიშვნელოვანია (2, 32-33).

ალფრედ მარშალი (1842-1924) ის მეცნიერ-ეკონომისტი, ვინც პირველმა მიაქცია ყურადღება სახელმწიფოს, როგორც მრავალ ადამიანთა უსაფრთხოებისა და დახმარების უზრუნველყოფელი ინსტიტუტის როლს.

როდესაც ამარშალი ცალ-ცალკე ახასიათებს წარმოების ფაქტორებს, კაპიტალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად ასახელებს ცოდნას და ორგანიზაციას. მისი ერთი ნაწილი იმყოფება კერძო საკუთრებაში, ხოლო მეორე – არა. ცოდნა წარმოების ყველაზე მძლავრი მამოძრავებელია. იგი საშუალებას გვაძლევს დაემოთხოვოთ ბუნება და ვაიძულოთ მისი ძალები, დააკმაყოფილო ჩვენი მოთხოვნები. ორგანიზაცია ხელს უწყობს ცოდნას: მას აქვს მრავალი ფორმა, ე.ი. ცალკეული საწარმოს, ერთი და იგივე დარგის სხვადასხვა საწარმოს, ერთიმეორისაგან განსხვავებული დარგები და ბოლოს, „სახელმწიფოს“ ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას ყველასათვის და დახმარებას ბევრისათვის (4, 208).

ცოდნისა და ორგანიზაციის სფეროში სახელმწიფო და კერძო საკუთრებას შორის განსხვავებას დიდი და სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა აქვს. გარკვეული გაგებით, იგი უფრო მნიშვნელოვანიც კი არის, ვიდრე მატერიალურ ობიექტებზე სახელმწიფო და კერძო საკუთრებას შორის განსხვავება და ამის საფუძველზე რაღაცა ზომით ზოგჯერ ყველაზე მიზანშეწონილიც კია, რომ „ორგანიზაცია“ გამოეყოთ როგორც წარმოების განსაკუთრებული ფაქტორი.

ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების გზებს და მექანიზმებს კლასიკოსებისა და ნეოკლასიკოსებისაგან განსხვავებით ჯ.ქეინზი და ქეინზიანელები, ჩვენი აზრით, ხედავდნენ სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაზრდაში. როგორც ცნობილია, ჯ. ქეინზის თეორია ჩამოყალიბდა 1929-1933წ.წ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად განვითარებული მოვლენების ზეგავლენით. ჯ. ქეინზმა (1883-1946) დამანგრეველი კრიზისებიდან გამოსვლისა და მასობრივი უმუშევრობის პრობლემების გადაწყვეტის რადიკალური ხერხები წამოაყენა ნაშრომში „დასაქმების, პროცენტის და ფულის ზოგადი თეორია“ (1936წ.), სადაც ჩამოყალიბებულია ეროვნული მეურნეობის რეგულირების სრულიად ახალი პრინციპები. მათი ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში (1, 164-178):



- კრიზისების და უმუშევრობის აღსაკვეთად გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფომ. იგი ერევა საზოგადოების მთელი შემოსავლების განაწილებაში და თავის ხელში მოაქცევს ფულადი და სხვა რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს, იმ მიზნით, რომ აქტიური ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკაზე;
- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მუშაკთა სრული დასაქმება, ორიენტაცია უნდა აღებულ იქნეს არა საქონლის მიწოდებაზე, არამედ, პირიქით, ყოველნაირად განვითარდეს მოთხოვნა – გაფართოდეს მოსახლეობის მყიდველობითი უნარიანობა და მეწარმეობის მიერ ახალი წარმოების საშუალებების ყიდვა. ამისათვის სახელმწიფომ უნდა გაზარდოს წარმოებაში ახალი კაპიტალური დანახარჯები და ასევე გაზარდოს ხარჯები სხვა სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისათვის, გამოიყენებს რა ამისათვის გადასახადების გაზრდას და დიდი რაოდენობით ფულის გამოშვებას;
- ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისათვის საჭიროა დამუშავებულ იქნეს ისეთი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები, რომლებიც ახსნიან ეროვნული ეკონომიკის ძირითად მანქვენებლებს შორის რაოდენობრივ დამოკიდებულებას.
- ცენტრალიზებული კონტროლის დაწესება, რაც ასე აუცილებელია სრული დასაქმების უზრუნველსაყოფად, ამასთან ერთად არ გამორიცხავს პირადი ინიციატივისა და პასუხისმგებლობის გამოვლინებისათვის ფართო შესაძლებლობებს. ამ შესაძლებლობების ფარგლებში ინდივიდუალიზმის ტრადიციული უპირატესობები შემდგომშიც შენარჩუნებული იქნება. ინდივიდუალიზმი, თუ იგი განთავისუფლებული იქნება დეფექტებისაგან და ბოროტად გამოყენებისაგან, საუკეთესო გარანტიაა პირადი თავისუფლებისა იმ გაგებით, რომ ყველა სხვა პირობასთან შედარებით იგი საგანგებოდ აფართოებს პირადი არჩევანის განხორციელების შესაძლებლობას, იგი წარმოადგენს ყველაზე მძლავრ საშუალებას საუკეთესო მომავლის მისაღწევად. აღარ გაავარძლებთ ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებზე ეკონომიკური სკოლებისა და მათი წარმომადგენლების ნაზრევის ჩვეულები ხედვის გადმოცემას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მოცემული პრობლემის შესახებ საქართველოშიც ფართოდ დაიწიეს ლაპარაკი და წერა. კვლევები კიდევ უფრო გაძლიერდება მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების გაღრმავების კვალობაზე და დაკავშირებული იქნება მრავალი თეორიული და პრაქტიკული შინაარსის ამოცანის წამოყენებასა და მათ გადაწყვეტასთან. ამის კონკრეტულ მაგალითად დავასახელებთ ვლ.მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავებულ „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციას“ (2003წ.).

ლიტერატურა

1. Хрестоматия по экономической теории. Составитель Е. Ф. Борисов, М., 1997
2. Бартенев С.А. Экономические теории и школы, М., 1996
3. Петти У. Экономические и стратегические работы, М., 1940
4. Маршалл А. Принципы экономической науки, т. 1, М., 1993

3. Тетруашвили, М. Тетруашвили.

О теоретических предпосылках безопасного развития экономики

Авторы полагают, что экономическая безопасность страны, ее областей и территориальных единиц зависит от способности людей, живущих в пределах определенной экономической системы и определенной географической области, сохранять жизнеспособность и обеспечить удовлетворение духовных потребностей.

Безопасному развитию экономики сопутствуют проблемы формирующегося общества и страны. Его значение безопасности особо актуально сегодня, в условиях глобализации. Исследование проблем безопасности начинается с отдаленного прошлого и связано с известными мыслителями древнего Востока, античным миром и феодальным периодом.

Хотя теоретические и практические идеи меркантилистов, представителей немецкой исторической школы, Кейнса и кейнсианцев и др. не касаются безопасного развития, но постольку, поскольку их главной целью является улучшение экономической ситуации, авторы полагают, что все они отражают содержание безопасного развития страны.

Z. Tetrushvili, M. Tetrushvili.

On Theoretical Premises of Secure Economic Development

The authors consider economic security of a country, its regions and territorial units the ability of people living within a certain economic system and geographical area to keep vitality and development and ensure their emotional needs.

Its importance and urgency has increased today under conditions of globalization.

Study of economic security problems starts from remote past and is related to famous thinkers of ancient East, Antique world and feudal stages.

Although the theoretical and practical ideas of Mercantilists, representatives of German historical school, Keynes and Keynesians, etc. do not refer to secure development, but since their main object has always been improving economic performance, the authors believe that their works reflect the contents of secure development of a country.



შ. ნათენაძე

**შასაბაძისა და ინფლაციის შორის
პრტიკრტიდამოკიდებულება**

ეკონომიკურ ლიტერატურაში ინფლაციური პროცესების კვლევა მიმდინარეობს მისი არა იმდენად თავიდან აცილების, რამდენადაც უშუალო ზემოქმედებით გამოწვეული ტკივილების შერბილების მიზნით. ამჟამად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ საკითხის დადებითად მოგვარება იძენს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინფლაციის პირობებში მოსახლეობის ადაპტირება და შესაბამისი დონით ცხოვრება. აღნიშნული პრობლემის ამ თვალსაზრისით ანალიზის აუცილებლობა მიუთითებს, რომ ეკონომიკურმა მეცნიერებამ დღემდე ჯეროვნად ვერ აღიქვა და შესაბამისი დონით ვერ დაასაბუთა ინფლაციის წარმოშობის მიზეზები. ყოველივე ეს იმითაა განპირობებული, რომ ინფლაცია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, საქონელწარმოების ისეთი სახის წარმონაშობია, რომელშიც მისი შინაგანი ბუნებით გამოწვეული წინააღმდეგობები და ბარიერები თავისუფლად თავსდება და მასთან ერთად შედარებით მწვავედ და მტკივნეულად ვლინდება.

ინფლაციის თუნდაც ზედაპირული ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი თავისი რაობითა და არსით ადამიანთა საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ისეთი სახით თანმდევი ხვედრია, რომლის უკუღმებელყოფაც უარყოფითად მოქმედებს არა მარტო ეკონომიკაზე, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე. სწორედ იმის გამო, რომ ეკონომიკურმა მეცნიერებამ ინფლაცია მთელი სიგრძე-სიგანით დღემდე ვერ დაასაბუთა, ფართო გაქანება მიეცა მის შესახებ მრავალი დებულებისა და კონცეფციის გავრცელებას, რომელთა შორის განსაკუთრებულად ორი ძირითადი მიმდინარეობა გამოიკვეთა. ერთი ინფლაციის წარმოშობის მიზეზად სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ნიადაგზე დაშვებული შეცდომების შედეგებს მიიჩნევს [1], მეორე კი – მიმოქცევაში ფულის განუსაზღვრელ და ამიტომ დაურეგულირებელ რაოდენობას [2]. XX საუკუნის სამეურნეო პრაქტიკამ მრავალჯერ დაამტკიცა, რომ სახელმწიფო და ფული ისეთი მნიშვნელობისა და ძალის ბერკეტებია, რომლებიც ბაზრის ფუნქციონირებაზე ჩანაცვლებითი მორიგეობით ზემოქმედებენ. მაგ., „დიდი დეპრესიის“ შემდეგ ეკონომიკური საღავეები სახელმწიფომ წარმართა (კეინის თეორიის შესაბამისად), მეორე მსოფლიო ომის შემდეგ - ფულის ტრიალმა (ფრიდმენის დებულების შესაბამისად). 80-იანი წლების შუახანებიდან კი, როდესაც ეკონომიკურმა კრიზისებმა ორივე (კაპიტალისტური და სოციალისტური) სამყარო საფუძვლიანად შეარყია და

ერთიმეორეში უსისტემოდ აურია, წინა პლანზე კენისური და მონეტარული კონცეფციების სინთეზი წამოვიდა, რომელმაც ეკონომიკური ცხოვრების თანამედროვე სისტემა შერეული ეკონომიკის სახით დააფიქსირა.

როგორც ჩვენ მიგვაჩნია, ეკონომიკურ ლიტერატურაში ინფლაციის არსის (რაობის) გააზრებისა და შესაბამისი დონით დასაბუთების ისედაც მწირი დებულებები მკვლევართა მრავალმხრივი დასკვნებითაა გართულებული და საკმაოდ გაბუნდოვანებული. ამას ისიც ადასტურებს, რომ თვით ინფლაციით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის წინააღმდეგობები და ბარიერები, რომლებიც თითქმის ყოველდღე ღრმავდება და მწვავედება, ისეთ ცვალებადობაშია, რომელთა დაფიქსირება და დადებითად გადაწყვეტის შესაძლებლობაც თანდათან სუსტდება და ხშირ შემთხვევაში იკარგება.

იმასთან დაკავშირებით, რომ ინფლაციის არსებობა და ყოველმხრივი ცვალებადობა უშუალოდ ფასებში ელინდება, იგი გვეკლინება როგორც ფასობრივ-ფულადი მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. ინფლაციის სწორად ეს დამახასიათებელი თვისება მკვლევართა უმრავლესობას იმის უფლებას აძლევს, რომ მისი წარმოშობის მიზეზად ფასობრივ-ფულადი ურთიერთკავშირი აღიარონ. მიუხედავად ამისა, როგორც ფაქტები მოწმობენ, ინფლაციური პროცესების აღმოცენება ყოველთვის ფასებით არ არის გამოწვეული, ვინაიდან ფასი თავისი ბუნებით საქონლის ღირებულების ფულადი ფორმაა (გამოხატულება). ამიტომ, როდესაც ინფლაციაზე საუბარი, პირველი საკითხი, რომელიც მკვლევარმა უნდა გაიაზროს და სათანადო დონით შეაფასოს, არის ის, თუ თავისთავად ინფლაცია რას წარმოადგენს, რა შინაარსისა და მნიშვნელობის მატარებელია, რა მოვალეობასა და ფუნქციას ასრულებს, რა მიზნითა და მიმართულებით მოძრაობს და როგორი სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით ვლინდება.

მეცნიერ-მკვლევართა მოსაზრებების ანალიზი მიგვანიშნებს, რომ ინფლაციის არსის გააზრებაში მკვლევართა შორის, შედარებით მცირე განსხვავების მიუხედავად, ერთი საერთო მინიშნება მაინც მოჩანს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ინფლაცია პირდაპირ და უშუალოდ მართლაც ფასების ცვალებადობასთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ეს აზრია გატარებული ჯ. კახნიაშვილის [3, 388], მაკკონელისა და ბრიუს [4, 375], შ. ქისტაურის [5, 9] და სხვების მიერ. მართალია, საკითხის ამ კუთხით გააზრება ინფლაციის მხოლოდ დაფიქსირებაზე მიუთითებს, მაგრამ მისი წარმოშობის მიზეზი დაკარგულია (ან მიჩქმალულია). სწორედ იმიტომ, რომ ინფლაციური პროცესები მხოლოდ ფასებთანაა დაკავშირებული, მისი შერბილების ან დარეგულირების მიზნით სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულში დეფლაციის, დეველუაციის, რეველუაციის, დენომინაციის, ნულიფიკაციის ან ტეზავრაციის გზით ცვლილებები სასურველ შედეგებს ვერ იძლევა, ვინაიდან, როგორც ჩვენ გვესმის, აქ აუცილებელ პირობად რაოდენობასთან (ფასებთან) ერთად ინფლაციის თვისებრიობის გააზრება და მათ შესაბამისად თვით ინფლაციაზე დადებითი ზემოქმედებისათვის საჭირო გზებისა და მეთოდების შერჩევა და გამოყენება რჩება.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მხოლოდ ქაღალდის ფულის გაუფასურებით ინფლაციის დასაბუთება საგრძნობლად აუკულმართებს როგორც მის რაობაზე (შინაგან ბუნებაზე) წარმოდგენას, ისე საერთოდ საქონელწარმოებას, რომელიც ორმაგი ბუნებით მოძრაობს: ნატურალურ-ნივთობრივი სახითა და ღირებულებით-ფულადი ფორმით. რამდენადაც ქაღალდის ფული ფუნქციონირებს და გამოიყენება ნატურალურ-ნივთობრივი სახით საქონლის მიმოქცევისათვის, იმდენად იგი თვისებრივი მნიშვნელობის

შინაარსითაა დატვირთული, რომელიც საქონლის ღირებულების საზომის ფუნქციაში ვლინდება. თუ საკითხს ამ კუთხით განვიხილავთ, შევნიშნავთ, რომ ინფლაციაში ერთდროულად ისეთი მნიშვნელობის კატეგორიებია თავმოყრილი, როგორებიცაა საქონელი, ღირებულება, ფული და ფასი, რომელთა შორის სისტემური (სუბორდინირებული) ურთიერთდაპოკიდებულებაა ჩადებული. ინფლაციის მხოლოდ ფულის გაუფასურებით დასაბუთება აღნიშნულ კავშირურთიერთობაში საქონლის ღირებულების როლის უგულვებელყოფას გულისხმობს, რომელიც ზედაპირულად, სავალალოდ, მრავალჯერადი გაყიდვებითაც დასტურდება.

მოცემული გაუგებრობა რომ დაველით, ინფლაცია საქონელწარმოების ერთიან მთლიანობაში უნდა წარმოვსახოთ, რომლის შინაგანი ბუნებაც გვეკარნახოს, რომ კონკრეტულად მოცემული ქვეყნის სახელმწიფოებრივმა სტრუქტურამ აუცილებლად უნდა დაიცვას მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობის კანონების მოთხოვნები, რათა მისი (ფულის) მოძრაობის არხები ზედმეტად არ გადაიტვირთოს (გაეხსენოთ ინფლაციის მარქსისტული განმარტება). სავალალოდ პრაქტიკაში ხშირად ვაწყდებით ისეთ მოვლენებს, რომლებიც თეორიულად დასაბუთებულ დებულებებს სრულყოფილად არ პასუხობენ. მაგალითად, ამჟამად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში დოლარის თავისუფალმა მოძრაობამ მასთან მიმართული ეროვნული ვალუტები (მათ შორის ლარიც) ინფლაციამდგრეკელ ფულის ნიშნად აქცია, რომლებიც თვით დოლარის ინფლაციურობითაცაა გართულებული. ცხადია, ასეთ ვითარებაში ინფლაციური პროცესების მოგვარების (დარეგულირების, მოთოკვის) მიზნით მართლ შიდასახელმწიფოებრივი ქმედებანი არ კმარა, თუმცა აქ მნიშვნელოვან პირობად ეროვნული ეკონომიკის განვითარება რჩება, რომელიც გარე ფაქტორების ზემოქმედებით დროსა და სივრცეში ჭიანჭურდება. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში მოსახლეობის დიდი ნაწილი ინფლაციური წნეხის ზემოქმედებით გამოწვეულ ტკივილებს განიცდის (გაეხსენოთ 50-60-იანი წლების ინდოეთის ეკონომიკა, რომელსაც საბჭოთა რუბლი შეეწირა, ან დღევანდელი საქართველო, რომელსაც აშშ-ს იმედი აქვს). ჩვენი გაგებით, ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისათვის ლარის იმ დანიშნულებითა და მიმართულებით ამოქმედებაა საჭირო, რომელმაც მისი, როგორც ფულის, რაოდენობრივი (ნომინალური) და თვისებრივი (რეალური, მყიდველობითი) ნიშან-თვისებები უნდა განამტკიცოს. ყოველივე ეს კი სახელმწიფოს მართლაც მკაცრულად დასაბუთებული ეკონომიკური როლითაა განპირობებული.

თანამედროვე პირობებში ინფლაციური პროცესები იმდენად შეინიღბა, რომ შეუიარაღებელი თვალთ მათი შემჩნევა და სააშკარაოზე გამოტანა საგრძნობლად გართულდა. კერძოდ, ინფლაციური პროცესების აჩქარებულ მოქმედებაზე მეტად მნიშვნელოვანი როლი სამეურნეო პრაქტიკასა და პოლიტიკაში ისეთი სახის არცთუ ისე მიზანშეუწონლად ფუნქციონირებდამა ფაქტორებმა შეასრულეს, როგორებიცაა: ფულის ერთეულის ოქროს შემცველობის მოხსნა, რომელიც მანამდე ქალაქის ფულის აიძულებდა მტკიცედ განსაზღვრულ ნარჩოებში ემოძრავა; თითქმის ყველა ქვეყანაში საკუთარი ეროვნული ვალუტის საბანკო ყუებით (ჩეკებით) შეცვლა, რომელმაც მიმოქცევაში ნაღდ ფულზე მოთხოვნა შეამცირა; თითქმის ყველა სახელმწიფომ თავისებურად დაამუშავა და დაასაბუთა საკუთარი ეროვნული ფულის ნაღდი სახით ვმისის მექანიზმი (მასთან ერთად დეპოზიტურ-საჩეკო და ცენტრალური ბანკის ბანკნოტების ემისიის მექანიზმი); სამომხმარებლო საქონელბრუნვაში ისეთი სახის საკრედიტო ინსტრუმენტები ამოქმედდა, როგორებიცაა: სადეპოზიტო ბარათები, ელექტრონული ფული და სხვ. გარდა ამისა, ინფლაციური

პროცესების გავრცელება-გამწვავებას ხელი ინვესტიციების გაფართოებისა და მის ნიადაგზე ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარების მიზნით ფულის არაპერიოდულმა ემისიამ შეუწყო. ცხადია, ყოველივე ეს ფულის მიმოქცევის კანონების მოთხოვნათა უგულვებელყოფის შედეგია, რომლის ზედაპირული ანალიზიც გვიჩვენებს, რომ მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა ფასის ფუნქციაში (საქონლის ღირებულების ასახვაში) ნაკლებად ან სრულად არ თავსდება.

გარდა ამისა, ინფლაციური პროცესების სათანადო დონეზე დასაბუთება შეუძლებელია, როდესაც მისი წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები აღრუელდა. ეკონომიკურ ლიტერატურაში ობიექტურიდან უფრო მეტად ინფლაციის წარმოშობის მიზეზად სამეწარმეო (შრომითი) ხარჯების ზრდაა მიჩნეული, რაც სამეწარმეო და სამოსამსახურეო ფორმირებათა თითქმის ყოველწლიური გადაიარაღებითა და პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვითაა გამოწვეული. საკითხის ამ კუთხით გააზრება მიგვანიშნებს, რომ საქონლის ღირებულებასა და ფასს შორის ურთიერთდამოკიდებულება სწორად არაა წარმოდგენილი, ვინაიდან რამდენადაც ფასების ეკონომიკური საფუძველი შრომითი (სამეწარმეო) ხარჯებია (საქონლის ღირებულებაა), იმდენად ამ უკანასკნელთა ანაზღაურება მხოლოდ ფასებითაა შესაძლებელი, რაც საქონელწარმოების სისტემაში კანონზომიერ მოვლენად ითვლება, ვინაიდან ეფექტი თითქმის ყველა სახის შემოსავალში უკვე სრულფასოვნად აისახა (მათ შორის ხელფასშიც). როგორც ჩვენ მიგვაჩნია, სწორედ ეს ეფექტი ადასტურებს ცხოვრების ღირებულების ერთი საფეხურიდან მეორეზე თანმიმდევრულ გადასვლას, ცხადია, თავისი შედეგებით.

ამასთან ერთად ხშირია შემთხვევები, როდესაც სამეწარმეო (შრომითი) ხარჯები მართლაც ინფლაციას იწვევს, რასაც უფრო მეტად ადგილი აქვს მაშინ, როდესაც წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მის წარმადობაზე შეუმჩნეველად მოქმედებს, ან წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი შედარებით მაღალია, ვიდრე უკვე დამზადებული პროდუქციის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მხარე, ან უკვე წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებელი ერთეულზე გაანგარიშებით შედარებით დაბალია, ვიდრე მისი ღირებულება. ინფლაცია წარმოიქმნება მაშინაც კი, როდესაც მეწარმენი წარმოების მოცულობის შემცირებისას ბაზარზე ფასების დონეს ხელოვნურად ინარჩუნებენ და დეფიციტს ქმნიან, ან არამატერიალური სფეროების განვითარების ნიადაგზე საბაზრო მოთხოვნა შედარებით მაღალია, ვიდრე მიწოდება.

აღნიშნული მიგვანიშნებს, რომ სამეწარმეო (შრომითი) ხარჯებით ინფლაციის დასაბუთება მართებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე დამზადებული პროდუქციის ღირებულება და ფასი ერთმეორისაგან იმდენადაა დაშორებული, რომ მათი ურთიერთგანპირობებადობისა და ურთიერთქმედების სპეციფიკისა და თავისებურებების თუნდაც ზედაპირული დასურათხატება შესაძლებელია, რაც საქონელწარმოების კანონზომიერ მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგება. პირიქით, თუ საქონლის ღირებულებასა და ფასს შორის კანონზომიერად დასაშვები პროპორციული კავშირითიერთობა დარღვეულია, მასში ფასი საქონლის ღირებულების მიხედვით კი არ ფორმირდება, არამედ ბაზარზე ზედაპირულად მოძრავი ფაქტორების ზემოქმედებით. სწორედ ასეთ პირობებში იქმნება ისეთი სიტუაცია, როდესაც ინფლაცია ფუნქციონირებს როგორც სოციალური უბედურება, რომელსაც თითქმის ყოველი სახელმწიფოს ეკონომიკის დანგრევა შეუძლია [6].

აქვე უნდა ითქვას, რომ მკვლევართა ერთმა ნაწილმა ინფლაცია შრომისუნარიანი მოსახლეობის სრულ დასაქმებას აკიდა, რომლითაც ამ უკანასკნელის პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობა უკვე დააყენა. კერძოდ, ფილიპის მრუდის მიხედვით, რამდენადაც მაღალია უმუშევრობა, იმდენად დაბალია ინფლაცია. მართალია, 60-იანი წლების დასაწყისში ეს მრუდი აშშ-ში არცთუ ისე წარუმატებლად გამოიყენა, მაგრამ 70-იან წლებში მან თავისი დანიშნულება უკვე დაკარგა, ვინაიდან სათბობ-ენერგეტიკული კრიზისის შემოქმედებით უმუშევრობა და ინფლაცია ერთი მიმართულებით ამოძრავდა. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფილიპსმა საფუძვლად მრუდის მხოლოდ ერთი მხარე აირჩია (დასქმებულთა შემოსავლები), მეორე კი (შექმნილი მატერიალური ფასეულობანი) მისი აზროვნების მიღმა დარჩა.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ინფლაციური პროცესების გამწვავება-გამამაფრებაში განსაკუთრებულ როლს პოლიტიკური ძალებიც ასრულებენ. ვინ არ მოაჯადოვა 1999 წელს მოქალაქეთა კავშირის დაპირებამ – სტაბილურობიდან სამშაგ კეთილდღეობამდე, ან ამჟამად დემოკრატების მცდელობამ მინიმალური ხელფასის 5,5-ჯერ მომატებისა და ლიბორისტების გამარჯვებამ სინათლეზე ტარიფების შემცირების შესახებ? ყოველივე ეს მოსახლეობაზე ოპოზიციით მოქმედებს, იგი მას ასტიმულირებს საარჩევნო პერიოდში იმ ურნასთან მივიდეს, რომლისგანაც გამორჩენას ვლის მოსახლეობის „გაცურების“ ეს პოლიტიკა დიდი ხანია დასავლეთის ქვეყნებში აპრობირებულია, რომელიც ქართულმა პოლიტიკურმა ძალამ აიტაცა და სამოქმედო დებულებად გაიხადა. ქართველი მოსახლეობა კი ათეულ წელზე მეტია შოკურ მდგომარეობაშია, რომლის თვრამაც ინფლაციური მარწმუნებითაა შებოჭილი.

მაშ, რა არის ინფლაცია, როგორ განვსაზღვროთ იგი? მართალია, მისი მრავალსიტყვიანობით დასაბუთება უმართებულოა, მაგრამ არც ერთი სიტყვითაა მართებული. ხეშოთ ჩვენ შევეცადეთ, შედარებით სრულად წარმოგვედგინა მისი ფუნქციონირების არე თავისი სოციალური შედეგებით, მაგრამ მისი შინაგანი ბუნების სრულფასოვანი გააზრება და შესაბამისი დონით გადმოცემა მოცემული სტატიის ჩარჩოებში ნამდვილად შეუძლებელია. ერთი კი ცნობილია, რომ ინფლაცია ყოველთვის და ყველგან ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე უარყოფითად მოქმედებს. ამიტომ ინფლაციის მოთოკვა და მისი სამოძრაო დევეების მართვა სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის შემადგენელი ნაწილია, თუმცა ინფლაციის წარმოშობის უპირველესი მიზეზი კერძო საკუთრებაა, რომლის სამეურნეო პროცესების კრიზისულ მდგომარეობას საკუთარი ბუნებით ატარებს. ე.ი. ინფლაციის სრული მოთოკვა და საერთოდ უარყოფა პირველ რიგში მისი მატარებლის (კერძო საკუთრების) უარყოფაა შესაძლებელი.

გამოვივიართ რა ეკონომიკური კრიზისებით გამოწვეული არასტაბილურობიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინფლაცია იწყება იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ქვეყნის მეპ-ის ღირებულებითი მარევენებელი და საბაზრო ფასი ბალანსურად ერთიმეორეს უკვე აღარ ემთხვევა, რის გამოც ფულსა (ღირებულების საზომსა) და ფულს (ფასის მასშტაბს) შორის პროპორციული თანაფარდობა დარღვეულია მეორის სასარგებლოდ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მეორე ფული ნატურალურ-ნივთობრივი სახით დაუსაქონლებელია, რის საუკეთესო მაგალითსაც ღარი წარმოადგენს.

ხეშოთქმულადან ნათლად ჩანს, რომ ინფლაცია არის საქონლის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის ისეთი დონის ფულადი შეუთავსებლობა, როდესაც ეს უკანასკნელი დაუსაქონლებლობის გამო მოძრაობს და გამოიყენება

როგორც მხოლოდ ფასების მასშტაბი. აღნიშნული მიგვანიშნებს, რომ ფასს და ინფლაციას შორის არცთუ ისე დიდი ზღვარია, ვინაიდან ფასის ირაციონალური შინაარსი, რომელიც ყოველთვის მას თან სდევს, ინფლაციაში ვლინდება.

ლიტერატურა

1. Фридмен М. Инфляция: причины и последствия. М., 1993
2. კეინზი მ.ჯ. დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია, ქუთაისი, 1997.
3. კახნიაშვილი ჯ. მაკროეკონომიკა. თბ., 1997
4. კემპბელ რ. მაკრონული, სტუნლი ლ. ბრიუ. ეკონომიკისი. ნაწ. I. თბ., 1997
5. ქისტაური შ. ინფლაცია, თბ., 2000
6. Фридмен М. Если бы деньги заговорили... М., 1998; Рэуф Ж. Век инфляции. М., 1994

III. Натенадзе

Взаимозависимость между ценами и инфляцией

В статье рассмотрены вопросы, вытекающие из сопоставления рыночных цен и инфляции и, исходя из этого, сделана попытка обоснования причины и возможности ее возникновения в качестве одной из форм проявления экономических кризисов.

Критически анализируя кривую Филлипса и соответствующие ей мнения учёных, статья констатирует, что они односторонне объясняют возникновение инфляции, так как выводят ее из взаимозависимости между безработицей и занятостью. Руководствуясь этим, определенная часть стран (в т.ч. и Грузия) искусственно снижает уровень занятости и тем самым тормозит дальнейшее развитие своей национальной экономики.

Кроме того, в статье говорится о возможности и необходимости управления (регулирования) инфляцией через научно обоснованную экономическую политику государства, в т.ч. и механизма эмиссии бумажных денег, количество которых должно соответствовать требованиям законов обращения.

В конце статьи дано определение самой инфляции, которая возникает при практической несбалансированности между суммами стоимости товарного мира и рыночных цен в масштабе государства.

Sh. Natenadze

Interrelationship between Prices and Inflation

The article discusses the questions related to interrelationship between market prices and inflation and from this viewpoint it provides the effort to reveal its causes and likelihood in terms of one of the forms of economic crisis.

The article gives critical analysis of the Philips curve and constitutes that interpretations of this curve provide only one-sided explanation of inflation, or refer to it in conjunction with unemployment and employment. Pursuing the approach, certain states

(including Georgia) reduce the employment level artificially and thus impede further development of the national economy.

In addition, the article concerns with the opportunities and need for inflation regulation through scientific back-up for the state economic policy, including the mechanism of issue of money, the amount of which must be in conformity with money circulation laws.

Finally, the article gives the definition of inflation, which is related to imbalance between total value of mass of commodity and market prices on a country's scale.



რ. ოთიანაშვილი

**სამოქალაქო საზოგადოება – ეკონომიკური
 უსაფრთხოების გარანტი**

რა არის სამოქალაქო საზოგადოება? რა იგულისხმება მის ცნებაში? კოლექტივი, ოჯახი, ეზო, სამეზობლო, სამეგობრო თუ სახელმწიფო? ისტორიულად, საზოგადოებრივი ერთობის პირველი სახეებია – ოჯახი, გვარი, ნათესაური კავშირები. ასეთ სოციალურ ერთობაში: სახელმწიფო, ჩინოვნიკი, გადასახადი არ არსებობს. მას შეიძლება ვუწოდოთ ლოკალური საზოგადოება. მოგვიანებით, საზოგადოების ფენებზე დაყოფასთან ერთად, როდესაც ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს საკუთარი ინტერესები გაუჩნდათ, ჩაისახა ფართო საზოგადოება, რომელიც არ გულისხმობს ლოკალურის მექანიკურ შეერთებას. ცივილიზაციის განვითარებისა და საბაზრო ინსტიტუტების ჩასახვასთან ერთად ჩნდება სამოქალაქო საზოგადოება.

ისტორიულად ტერმინი „მოქალაქეობა“ მომდინარეობს ლათინურიდან „ცივის“, რაც ნიშნავს ქალაქის მაცხოვრებელს. ეს მიუთითებდა იმაზე, რომ აღნიშნული საზოგადოების ყველა წევრი არ ფლობდა მოქალაქეობის უფლებას. ძველ დროში „მოწევი“ ითვლებოდნენ არათავისუფალ მაცხოვრებლებად. ისინი არ ფლობდნენ მოქალაქეობის უფლებას, არ იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების წევრები. ძირითადად ორი მახასიათებელი განასხავავენ მონას მოქალაქისაგან: 1. ეკონომიკური თავისუფლება. თუ ადამიანი არ ფლობს ცენტრალურ ეკონომიკურ უფლებას – საკუთრების უფლებას, არაა სამეურნეო მოღვაწეობის მონაწილე. აქედან გამომდინარეობს მისი ქცევა და უსაფრთხოების გარანტიები: „ადამიანი, რომელიც ფლობს საკუთრებას, ასევე ფლობს საკუთარ უფლებებსაც“ [1]. 2. პოლიტიკური ასპექტები. მოქალაქის მონაწილეობა სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში და ქვეყნის მართვაში.

ტრადიციული ტიპის საზოგადოებაში, კერძოდ, ფეოდალურში, შრომის ნაკლები დანაწილებისა და უთანაბრობის პირობებში, პიროვნება განიხილება, როგორც გარკვეული სოციალური ჯგუფის ნაწილი, რომელთანაც ის მიჯაჭვულია მთელი სიცოცხლის მანძილზე. აქედან გამომდინარეობს მცირე ურთიერთობით შემოფარგლული მისი თვითშეგნება. ამგვარი ინდივიდი ხასიათდება მკაცრად რეგლამენტირებული, გარედან კონტროლირებადი ქცევით, ადგილობრივი ვერტიკალური (ბატონი) და ჰორიზონტალური – ნათესავებთან, ახლობლებთან. ასეთი ურთიერთობები აგებულია რიდისა და მორცხვების ფსიქოლოგიურ მექანიზმებზე. ასეთ პირობებში, ადამიანი, ერთი მხრივ,

სოციალურად შეზღუდულია. მეორე მხრივ, მისი სტატუსი სტაბილურია და დაცული სოციალურად. საფრთხის დროს ურთიერთობები იკვება სოციალურ მხარდაჭერაზე და ურთიერთდახმარებაზე. მსგავსი სამყარო შეზღუდული (ლოკალური), მარტოვი და ინერტულია. იგი ინდივიდს გარს აკრავს მთელი ცხოვრების მანძილზე. ნაკლები წინააღმდეგობისა და კონკურენციის არარსებობის გამო, შეზღუდულია პიროვნების სამოქალაქო ცნობიერება. ტრადიციული ეკონომიკის პირობებში წინაპრებისაგან მიღებული ცოდნა საესებოთ საქმარისა სამეურნეო პროცესის უზრუნველსაყოფად.

გვიან შუა საუკუნეებში დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში იწყება ტრადიციული საზოგადოების კრიზისი, რომელიც გამოწვეულია აგრარული ეკონომიკის შეჩერებითა და მეურნეობის ინტენსიურ ტიპზე გადასვლით. ფულად-სასაქონლო ურთიერთობებისა და ეპარობის განვითარება აფართოებს სახლერებს და ძირეულად ცვლის საზოგადოებრივ ურთიერთობებს. პრინციპულად ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემით. — საბაზრო ეკონომიკით, რადიკალურად იცვლება ინდივიდის ცხოვრების სტილი, პირობები და ფასეულობები. ეკონომიკის ინტენსიურ, სასაქონლო ტიპზე გადასვლა, იწყებს ეკონომიკური და სოციალური კავშირების ცვლილებას. პირადი (უშუალო) სოციალური ურთიერთობები იცვლება ფორმალური (ნორმატიულიად დაფიქსირებული) სახელშეკრულებო კავშირებით. აღნიშნული კავშირები საკმაოდ მტკიცე, უფრო თავისუფალი, ფართო და უკავშირდება ბაზარს. სწორედ, ბაზარზე ყალიბდება ოპტიმალური, სოციალური ურთიერთობების ძლიერი გრაფიტაციული ველი. ამგვარი სახით ჩამოყალიბებული სოციალური ორგანიზაცია, იწყებს რთულ, წინააღმდეგობრივ ტრანსფორმაციას სამოქალაქო საზოგადოებად. კონკურენციის ელემენტების დანერგვის კვალბაზე, ტრანსფორმაცია მიმდინარეობს პოლიტიკური და სამოქალაქო თანასწორობის მიმართულებით. აღნიშნული, პიროვნებაში ფართო მასშტაბურობისა და თავისუფლების სიერცის შეგრძნებას წარმოშობს.

სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბებას იწყებს საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენციის ელემენტების დანერგვასთან ერთად. თუ სამოქალაქო საზოგადოების საფუძველი ცალკე აღებული პიროვნებაა, მისი მზიდი კონსტრუქციები — ინსტიტუტები, ჯგუფები და გაერთიანებებია, რომლებიც, თავის მხრივ, მოწოდებულნი არიან ადამიანისეული კაპიტალის, მისი მთხოვნილებებისა და მიზნების, პოზიტიური რვალიზაციისათვის, რაც სახელმწიფოს უსაფრთხო განვითარების გარანტიაა.

თანამედროვე ქართულ სოციალურ ლიტერატურაში სამოქალაქო საზოგადოების თემა არასაკმარისადაა დამუშავებული. ათწლეულების მანძილზე ეს პრობლემა საზოგადოებათმცოდნეობისათვის, პრაქტიკულად, დახურული იყო, რისი უარყოფითი შედეგიც გარდამავალ პერიოდში გამოვლინდა. ხელი ავიღეთ ტოტალიტარიზმის დროინდელ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე, მაგრამ დავჩნით მისი პოლიტიკური კულტურის მქევალი. ამიტომ, წინა რეჟიმის ნერვეის შედეგად, საქართველოში წარმოიშვა არა სამოქალაქო საზოგადოება და სამართლებრივი სახელმწიფო, არამედ „ჩრდილოვანი“ საზოგადოება, სადაც „პრევატიზირებული“ სახელმწიფო ემსახურება ფინანსური ოლიგარქების ინტერესებს, ქვეყნის უსაფრთხოებისა და მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების სახიანოდ.

უპრეცედენტო კრიზისმა მოსახლეობის მასობრივი ატომიზაცია და ლუპინიზაცია გამოიწვია. აღნიშნული უნდა გავიგოთ არა მხოლოდ, როგორც საზოგადოების უმრავლესობის გაღარბება, არამედ თვითორგანიზაციისა და საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობების გამოუქმლანებლობა.

მოუმზადებელმა რეფორმებმა, მათმა ასოციალურმა ხასიათმა გამოიწვია არა სოციალური პროტესტი, არამედ საზოგადოების სოციალური გახელჩქა დაქსაქსეა. ყველა მარტო ზრუნავს გადარჩენისათვის ჩვენი ცხოვრების წესი და ცნობიერება საბაზრო რეფორმების დასაწყისში იმდენად იყო დეფორმირებული, რომ უცბად ვერ გაქრებოდა და არც გამჭრალა.

სამოქალაქო ღირსება შეიძლება პქონდეს მხოლოდ ეკონომიკურად და პოლიტიკურად თავისუფალ ადამიანს. პიროვნების ეკონომიკური თავისუფლების გარანტიაა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და შესაბამისი ოფიციალური შემოსავლები. პოლიტიკური თავისუფლების – სახელმწიფოს პოლიტიკურ მოღვაწეობაში სრულფასოვანი მონაწილეობა.

სამოქალაქო ღირსების მახასიათებლებია: მოქალაქეობრივი აქტიურობა (ჩართულობა), პოლიტიკური თანასწორობა, სოლიდარობა, ნდობა და მოთმენა, ასოციაციების არსებობა [2].

მოქალაქეობრივი აქტიურობა სამოქალაქო ღირსების ცენტრალური მახასიათებელია. იგი გულისხმობს ინდივიდის მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმიანობაში. საზოგადოებრივი პრობლემებისადმი ინტერესი, მათი განხილვა და გადაწყვეტა სამოქალაქო ღირსების ქვაკუთხედიანია. პირადი ინტერესი უნდა იყოს გაცნობიერებული. ესაა განათლებული პიროვნების გრძელვადიანი პოზიტიური ინტერესი, რომელიც შესაბამისობაში მოვა თანამოქალაქეებისა და სახელმწიფოს ინტერესებთან;

პოლიტიკური თანასწორობა: სამოქალაქო საზოგადოების აუცილებელი მახასიათებელია პოლიტიკური უფლებების და მოვალეობების საყოველთაო თანასწორობა. საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობები პორიზონტალურად აიკვება. ეს არ ნიშნავს, რომ არ გაითვალისწინება შრომის დანაწილება და სამსახურებრივი იერარქია, მაგრამ თანამდებობრივად უფროსი ყოველთვის უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას საკუთარი ხელხის წინაშე;

მოქალაქეობრივი სოლიდარობა: საზოგადოების წევრები თანამშრომლობენ, ენდობიან ერთმანეთს, ითმენენ და პატივს სცემენ მოწინააღმდეგის კომპეტენტურ აზრს.

ასოციაციები: მნიშვნელოვანია სავაჭრო და სამრეწველო ასოციაციების, სამეცნიერო, რელიგიური, კულტურული, ხელოვნების, სპორტის გაერთიანებების საზოგადოებრივი წვლილი. ასეთი ინსტიტუტები ავითარებს თავის წევრებში ერთობისა და კოოპერაციის უნარ-ჩვევებს, რათა მათ გააჩნდეთ პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების უნარი.

ამ ეტაპების სრულყოფილად გაგლის შემდეგ ერთიანი მოსახლეობითაა შესაძლებელი დემოკრატიის მოდელის – „უმრავლესობის მმართველობა, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა“. მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელდება და მიიღწევა თავისუფლება, როგორც რეზულტატი ჩვენს საზოგადოებას აღნიშნული საფეხურები ვერ არ გაუვლია, ამას ჯანსაღ კონკურენციაზე დაფუძნებული საბაზრო ურთიერთობები სჭირდება.

ამიტომ, საზოგადოება იმ სახით, რომლითაც ის დღეს ყალიბდება, ვერ უზრუნველყოფს დემოკრატიულ განვითარებას და მოსახლეობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას რეფორმებისადმი. არსებულმა რეალობამ, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია გარდაქმნის არაადეკვატურობით საზოგადოებრივ ცნობიერებაში, დემოკრატიული იდეის დისკრედიტაცია გააძლიერა. მოსახლეობას გაუჩნდა აპათია და გაუცხოება სამოქალაქო აქტიურობისადმი. არ არსებობს ნდობა მთავრობასა და მოსახლეობას შორის. საზოგადოება ვერ ზემოქმედებს ხელისუფლებაზე და ქმნის მხოლოდ ფონს ხელისუფლების „მოღვაწეობისათვის“. მსგავსი საზოგადოება ადვილად იქცევა

მანიპულირების ობიექტად.

ცნობილია, რომ სამოქალაქო საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს საშუალო კლასის ბაზაზე, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას უნდა შეადგენდეს. იგი უნდა გახდეს ის საყრდენი, რომელიც დაამკვიდრებს დემოკრატიულ შეხედულებებს. საშუალო კლასის შეფასების მრავალი პარამეტრი არსებობს, მათგან გამოვყოფთ [3, 3-12]:

- მატერიალურ-ქონებრივი მახასიათებლები: შემოსავლების დონე და მოხმარების სტრუქტურა; ქონების ფლობა, შესაძლებლობა დანაზოგისადმი;
- პროფესიულ-კვალიფიკაციური მახასიათებლები და სოციალური თვითიდენტიფიკაცია: განსწავლულობის (განსაკუთრებით სამოქალაქო განათლების) ხარისხი, მსოფლმხედველობა, ფასეულობების სტრუქტურა, ცხოვრების წესი (სტანდარტი);
- თვითდამკვიდრების (საკუთარი უფლებების დაცვა, სოციალური პროტესტის გამოხატვა) შესაძლებლობები.

სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერ არ შეინიშნება ქმედითუნარიანი საშუალო ფენის ჩამოყალიბების ტენდენცია. აღნიშნულის ძირითადი მიზეზია ის, რომ მოსახლეობის უმრავლესობის შემოსავლები ჩრდილოვანია. ბევრი ამტკიცებს, რომ საშუალო ფენა საქართველოში არ არსებობს. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ აზრს და აღვნიშნავთ, რომ ეს ფენა ჩვენთან არსებობს, რასაც რეალური ცხოვრება ადასტურებს (საქონლებრუნვის მოცულობა ვაჭრობის სხვადასხვა დარგში, მისი ფასები; ავტორტრანსპორტით გადატვირთული გზები და ა. შ.). მთავარია, თუ რა წყაროებიდან იღებს ეს კლასი შემოსავალს. მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის ანალიზი გვაძლევს შემდეგ სურათს:

- **მდიდრები** შეადგენენ მოსახლეობის 4-5 %-ს. ესაა უმაღლესი რანგის პოლიტიკური ელიტა, ბიზნეს-ელიტა და მსხვილი მესაკუთრეები. სწორედ აღნიშნული ფენის მნიშვნელოვანი ნაწილი დგას სისტემური კორუფციის სათავეში;

- **საშუალო ფენა** შეადგენს მოსახლეობის 30-35 %-ს. პირობითად, დღევანდელი საშუალო კლასი ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

პირველი ჯგუფი, ე.წ. „ჩრდილოვანი საშუალო კლასი“, ესაა მოსახლეობის ის ნაწილი (20-25%), რომელსაც საშუალება აქვს, სისტემური კორუფციის პირობებში, მიიღოს ჩრდილოვანი შემოსავალი. სწორედ, აღნიშნული ფენის, პიპერტროფიული განვითარება შეადგენს ჩრდილოვანი ურთიერთობებისა და კორუფციისათვის მნიშვნელოვან ნიადაგს.

მეორე ჯგუფი – ახალი საშუალო კლასი, რომელიც სამწუხაროდ, ნაკლებია „ჩრდილოვან საშუალო კლასზე“ (10%). აღნიშნული ჯგუფი, ძირითადად, დასაქმებულია კერძო სტრუქტურებში. მათი შემოსავალი დამოკიდებულია საკუთარ შრომასა და პროფესიონალიზმზე. სამწუხაროდ, იგი რაოდენობრივად მცირეა და ვერ ქმნის ჯანსაღ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ამინდს ქვეყანაში.

ღარიბები მოსახლეობის დიდ ნაწილს 60 %-ს შეადგენს. მათ რიცხვს განეკუთვნება: პედაგოგები, სამეცნიერო ინტელიგენცია, კვალიფიციური მუშები და სოციალურად დაუცველი ფენა – პენსიონერები, ლტოლვილები, ინვალიდები.

დემოკრატიულ სახელმწიფოში საშუალო ფენა უნდა შეადგენდეს, ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს (70-80%), რომელსაც ექნება გამჭვირვალე ოფიციალური შემოსავლები. ეს უნდა იყოს, ძირითადად, ლეგალურ ბიზნესში დასაქმებული მეწარმეები და ინტელიგენცია.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენთან? ჯერ ერთი, საშუალო ფენა რაოდენობრივად მცირეა და, მეორეც, მათი უმრავლესობის შემოსავლები ჩრდილოვანია. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი რეალურად მხარს არ დაუჭერს დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებას. ამიტომ, დღეს საქართველოში არ არსებობს, სამოქალაქო საზოგადოების შესაბამისი კულტურა, დაბალია კოლექტიური ცნობიერება, არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულებაში იგრძნობა ეჭვი და უნდობლობა. ხელისუფლებაც ნაკლებად უწყვეს ანგარიშს ამგვარ გაერთიანებებს. არსებული კავშირები: პროფკავშირები, გადაამხდელთა, მეწარმეთა და სხვ. ნაკლებად ქმედითუნარიანია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი შეიქმნა (ან შექმნეს) მხოლოდ იმიტომ, რომ მსგავსი რამ ცივილიზებულ ქვეყანაში უნდა არსებობდეს. როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები ფინანსდება „ზემოდან“ და საერთაშორისო გრანტების განაწილება ხდება სუბიექტურად, ჩნდება ეჭვი, რომ მსგავსი არასამთავრობო ინსტიტუტები რეალურად არ შეუწყობენ ხელს ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების განვითარებას [4,5-17]. როგორც აღვნიშნეთ, სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია ვითარდება საბაზრო ინსტიტუტების, უპირველესად კი ჯანსაღი კონკურენციის დანერგვით, რისი პირობებიც ჯერჯერობით ჩვენთან ძალზედ სუსტია.

ოჯახური და ნათესაური კავშირებისაგან განსხვავებით, სადაც ურთიერთობები სტატუსურია, სამოქალაქო საზოგადოებაში, მოქალაქეებს აერთიანებს, საერთო ინტერესები, რომლებიც მათ კონკურენციის პირობებში უნდა დაიცვან. სწორედ კონკურენცია აიძულებს მოსახლეობას, მონახოს აუცილებელი კავშირები. თუ ქვეყანაში არაჯანსაღი სოციალური გარემოა, დაბალია მოსახლეობის სამოქალაქო ცნობიერება, იგი ამყარებს ვერტიკალურ კავშირებს. აღნიშნული კავშირები რაოდენობრივად საკმაოდ შეზღუდულია და მიმდინარეობს არაღვგაღურად, რაც კიდევ უფრო ზრდის ჩრდილოვანი ურთიერთობებისა და კორუფციის ინსტიტუციონალიზაციას. თუ მაღალია მოსახლეობის დემოკრატიული განათლების დონე, იგი ამყარებს პორიზონტალურ კავშირებს და მიმართავს სოციალური პროტესტის დონისძიებებს, რომლის გავლენის შესაძლებლობები ბევრად მაღალია.

სოციალური საპროტესტო მოძრაობა გულისხმობს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად აქტიურ ლეგიტიმურ მოქმედებებს. აღნიშნული მოძრაობა მოიცავს პროტესტის სხვადასხვა ფორმებს: გაფიცვებს, დემონსტრაციებს, მიტინგებს, პიკეტებს, შიმშილობას, მანიფესტაციებს, კოლექტიურ მიმართვებს ხელისუფლებისადმი. ამ დონისძიებების ორგანიზებულად ჩატარებისათვის მოსახლეობას უნდა გააჩნდეს საჭირო სამოქალაქო ცნობიერება. აუცილებელია საკუთარი უფლებების ცოდნა, ისეთი მოქმედება, რომ არ შეიღახოს სხვისი უფლებები. აღნიშნული მოძრაობის ინიციატორი შეიძლება იყოს პროფკავშირი, არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია, ქარიზმატული თვისებების მქონე პიროვნება – ლიდერი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში წერია: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი, და კანონის წინაშე თანასწორია. განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“ [5]. მაგრამ, აღნიშნულ უფლებებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჭირდება დაცვა, რისი საუკეთესო საშუალება, პორიზონტალური კავშირების გზით გაერთიანება და საკუთარი ინტერესების კოლექტიური უზრუნველყოფაა.

საჭიროა, საკუთარი უფლებებისა და საერთოდ ქვეყნის მიმართ პასუხისმგებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბება. საზოგადოების სამოქალაქო ფორმებმა, უნდა შექმნან ორგანიზაციული საფუძვლები მოქალაქეთა მონაწილეობისათვის, სახელმწიფო მშენებლობისა და მისი მოწყობის საქმეში. როგორც ა. ტოკეილი აღნიშნავს, დემოკრატია ყველაზე უკეთესად მაშინ „მუშაობს“, როცა ზემოდან ქვემოთ კი არა, ქვემოდან ზემოთ ვრცელდება. ხოლო ფ. ფუკუიამას მიხედვით, ყველაფერი ბოლოს დაიკვანება თვითმმართველობამდე. და თუ მოქალაქეებს შესწევთ უნარი საწარმოებში, უნივერსიტეტებში და სხვაგან „მიხედონ თავს“, ამის წარმატებით განხორციელებას სახელმწიფო დონეზეც მოახერხებენ.

თანამედროვე დემოკრატიის ნორმატიული მოდელი – რაციონალურად მოაზროვნე, პასუხისმგებლობის მქონე, შეგნებულად და კომპეტენტურად მოქმედი პიროვნებაა. მაგრამ დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების უმრავლესობით და არა ერთი კაცის მიერ, ან პრივილეგიურული უმცირესობის – ელიტის მიერ მიღებაა. მოსახლეობის მყარი უმრავლესობა უნდა მონაწილეობდეს ქვეყნის მართვაში. თითოეულმა პიროვნებამ, უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. დეტერმინაციის პრობლემისადმი ახალი მიდგომის თანახმად, არა ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას (მატერიალიზმი), ან ცნობიერება ყოფიერებას (იდეალიზმი), არამედ თავად ყოფიერების შიგნით მყოფი ადამიანი, კომპეტენციის, პასუხისმგებლობისა და ღირსების მქონე, მოღვაწეობის დროს (შრომითი და ა.შ.) ქმნის ისტორიას. პიროვნება სულ უფრო მეტად აცნობიერებს, განიცდის, გარდაქმნის და ავითარებს რეალურ სინამდვილეს (ბუნებას, საზოგადოებას, საკუთარ თავს). შედეგად ადამიანი რეალურად იკვლევს თავისი ცხოვრების გზას, რომელიც სახელმწიფო ინტერესებთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს. აღნიშნული საჭიროებს ადამიანური კაპიტალის შესაბამის მონაცემებს, რაც დემოკრატიული განათლებით მიიღწევა.

ამ გზით უნდა შეიქმნას რეალური არჩევითი, არასამთავრობო ინსტიტუტები, რომლებიც ეკონომიკური და სოციალური პროცესების რეგულირების აქტიური მონაწილენი გახდებიან. მსგავსმა ინსტიტუტებმა, მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა გახადონ საზოგადოებრივი ურთიერთობები. გავლენიანი აზრით და ჯანსაღი კონფორტაციით საზოგადოებრივი კონტროლი უნდა დაამყარონ ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო განსტოებებზე. სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლებასთან დიალოგის აქტიური წევრი უნდა გახდეს და მონაწილეობა მიიღოს, როგორც წარმომადგენლობით დემოკრატიაში (რეგულარული არჩევნების გზით, ხელისუფლების ჩამოყალიბება), ისე დემოკრატიის განხორციელებაშიც ხელისუფლებასთან მუდმივი დიალოგით.

სამოქალაქო საზოგადოება არსებობს იქ, სადაც ეკონომიკურად და პოლიტიკურად თავისუფალი ინდივიდები მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში და თვითორგანიზაციის გზით უზრუნველყოფენ გაცნობიერებულ ინტერესების დაცვას.

ლიტერატურა

1. Пейнс Р., Собственность и свобода. М., 2000, с. 305.
2. Putman R.D . Making Democracy Work Civic Tradition in modern Italy. NewYork, 1994.

3. Исправников В.О., Теневые параметры реформируемой экономики и антикризисный потенциал среднего класса. Российский экономический журнал, 2001, №1.
4. Улюкаев А., Демократия, либерализм и экономический рост, ж. Вопросы экономики, 1997.
5. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი 1995.

R. Otinashvili

Гражданское общество - гарантия экономической безопасности

История развития гражданского общества обсуждена с точки зрения экономической безопасности. Это означает, что гражданское общество сформировалось вместе с внедрением конкуренции и рыночной экономики. Человек – основа гражданского общества, а учреждения, группы и союзы, формирующие его конструкцию, направлены на реализацию потребностей и целей человеческого капитала, который составляет гарантию безопасного экономического развития государства.

Отмечается, что неподготовленные реформы и их антиобщественный характер ведет не к социальному протесту, а к социальным расколам. Делается вывод, что согласно новому подходу к проблеме детерминации: не бытие определяет сознание (материализм), ни наоборот (идеализм), человек с должной компетентностью, ответственностью и достоинством создает историю в ходе своей деятельности. Человек испытывает, преобразовывает и развивает действительность (природу, общество, себя). В результате он фактически исследует свою жизнь, которая должна протекать в соответствии с государственными интересами. Это требует соответствующих данных относительно человеческого капитала и может быть понято через демократическое образование.

R. Otinashvili

Civil Society - Guarantee of Economic Security

The article discusses the history of development of civil society from the economic security point of view. It is mentioned that civil society has shaped together with implementation of market economy and competition elements. An individual is the basis of civil society, institutions, groups and associations form its constructions designated for realization of needs and goals of human capital, which constitutes the guarantee for secure economic development of a state.

It is noted that unprepared reforms and their anti-social character led not to social protest, but to social cleavages. It is concluded that according to the new approach towards determination problem neither does the existence determine consciousness (materialism) nor vice versa (idealism), but a man with due competence, responsibility and merits creates history in the course of his activities within the existence. A person experiences, transforms and develops reality (nature, society, himself). As a result, he actually investigates his life, which must be in conformity with state interests. This goal requires availability of data on human capital and can be achieved through democratic education.

მარკატივა

დ. ნაბაძე

სამართმევლო მინერალური წყლების ბაზრის მარკატივაშული კვლევის საკითხი

საქართველო უმდიდრესი ქვეყანაა პიდრომინერალური რესურსების სოხეით, ანუ ფართობის ერთეულზე მოსული რესურსის მაჩვენებლით. საბჭოთა კავშირში საქართველო მინერალური წყლების რაოდენობითა და ნაირსახეობით ქველაზე მდიდარ ქვეყნად ითვლებოდა. ეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის რთული გეოლოგიური აღნაგობით აიხსნება, რაც თავის მხრივ, სათანადო პირობებს უქმნის მინერალური წყლების ფორმირებას. საქართველოს მინერალურ სიმდიდრეთა შორის ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიწისქვეშა წყლებს, რომლებიც ხასიათდებიან დიდი მრავალფეროვნებით. მრავალფეროვანია ამ წყლების სამკურნალო თვისებებიც.

წყალი შეიძლება მივიჩნიოთ „ბუნებრივ მინერალურ წყლად“ მხოლოდ მაშინ, თუ იგი ბუნებრივად სუფთაა, არ შეიცავს საზიანო მიკროორგანიზმებს, გააჩნია სტაბილური მინერალური შემადგენლობა, დებიტი და ტემპერატურა[1].

მინერალური წყლები, თავისი ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობით, გამოირჩევა განსაკუთრებული თვისებებით, რომლებიც დადებით ზეგავლენას ახდენს ორგანიზმში ფიზიოლოგიური პროცესების წარმართვაზე, სწორედ ამის გამო ისინი ფართოდ გამოიყენება სამკურნალო მიზნებისათვის.

უძველესი დროიდან მინერალური წყლების გამოყენება სამკურნალო მიზნით ხდებოდა ემპირიულად, თანამედროვე პირობებში კი მათი გამოყენება ემყარება ექსპერიმენტული და თეორიული ანალიზის მეცნიერულ საფუძველებს. შინაგანი მოხმარებისათვის მინერალური წყლების დანიშნისას გამოდიან, ერთი მხრივ, საყვალავი მილის ღორწოვანი გარსის ცვლილებიდან და, მეორე მხრივ, ორგანიზმში სისხლსა და ლიმფასთან შეხების შედეგად აქტიური პროცესების განვითარებიდან. მინერალური წყლების მოქმედებით მიმდინარეობს მეავატუტოვანი წონასწორობის გადანაცვლება, კოლოიდური თვისებების ცვლილება, ცილების დისპერგირება და უჯრედის წყალთან დაკავშირების უნარი. ნახშირმჟავა და გოგირდწყალბადიანი წყალი გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა დაავადების სამკურნალოდ. თერმული წყლები კი – გამოიყენება რევმატიული, ნერვული და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში თერმული წყლები სახალხო მეურნეობაში ენერჯის წყაროდ გამოიყენება [2,34]. ვფიქრობთ, რომ მინერალური წყლების ინდუსტრიული წარმოება მკვეთრად უნდა გაიზარდოს.

დღეს, როდესაც ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებისაკენ, სათანადო სამსახურებში თვითნაირი ძალები უნდა მიმართონ მინერალური წყლების წარმოებისაკენ. როდესაც ვფიქრობთ ქვეყნის გაძლიერებაზე, ბუნებრივია, უნდა ვიფიქროსთ იმ მინერალურ წყლებზეც, რომლებიც ასე უხვადაა ჩვენს ქვეყანაში. სამწუხაროა, რომ მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისა და დამსვენებლების დონეზეა დაბა შოვის და უწერის მინდორსა და ხევებში გაფანტული უნიკალური წყლები. არადა, ეს ყველაფერი მილიონებს მისცემდა ჩვენს ქვეყანას. ბოლომდეა შესასწავლი ის უნიკალური სამკურნალო თვისებებიც, რაც ჩვენს მინერალურ წყლებს გააჩნია. საქართველოს ტერიტორიაზე 4 ძირითადი და რამდენიმე სპეციალური შედგენილობის მინერალური წყლის საბადოა აღრიცხული. მოქმედი წყაროს და ჭაბურღილის რაოდენობა კი 23330-ს აღემატება. აღრიცხული საბადოების ნახევარზე მეტი დღეისათვის გამოუყენებელია, ვინაიდან ისინი მაღალმთიან ზონებშია განლაგებული, არ არსებობს მისასვლელი გზები და გართულებულია ტარა-მასალის ადგილზე მიტანა, არსებული რესურსებიდან (ნედლეულიდან) მზა პროდუქციამდე დაყვანა [5].

თუ გადავხედავთ მინერალური წყლების ჩამოსხმას, იგი შემდეგნაირად გამოიყურება: 1984 წ. - 376 მლნ (0,5 ლ), 1990 წ. - 224 მლნ; 1995 წ. - 9,4 მლნ; 1999 წ. - 49,7 მლნ; 2000 წ. - 72, 3 მლნ; 2001 - 80 მლნ ბოთლი. 1993 წელს ჩამოსხმა 24 მლნ ბოთლი „ბორჯომი“ და 3,5 მლნ ბოთლი „ნაბეღლავი“. რაც შეეხება სხვა მინერალურ წყლებს - „საირმე“, „ზეარე“, „ღუგუკა“ და „სქური“, ისინი არ ჩამოსხმულა, რამდენადაც ქარხნები დანგრეული და გაძარცვულია. მინერალური წყლების ჩამოსხმის შემცირების ძირითადი მიზეზია ტარის უკმარისობა, ენერჯია შემცველობის უქონლობა. ქარხნების მუშაობა ფაქტობრივად 1995 წლის მაისში განახლდა.

ბორჯომის №1 და №2 ქარხნების პრივატიზაციის შემდეგომ შემცირდა ჩამოსხმის მოცულობა. ქარხნებს აქვთ სიმძლავრეები, რომელთა სრული გამოყენებით (სრული დატვირთვის შემთხვევაში) ქვეყანას შეუძლია ჩამოსხმას 400-500 მლნ (0,5 ლ მოცულობის) ბოთლი მინერალური წყალი, რითაც სახელმწიფო დაახლოებით 120 მლნ აშშ \$-ის შემოსავალს მიიღებს. არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის გარემოება, რომ მინერალური წყლების წარმოების შემცირებით ვკარგავთ არა მარტო საკუთარ, არამედ საგარეო ბაზარსაც, თუმცა, როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ბოლო სამი წლის განმავლობაში მინერალური წყლების ჩამოსხმის მოცულობა იზრდება. მინერალური წყლების უმეტესობა არ ჩამოსხმება რიგი მიზეზების გამო. დღეისათვის, როგორც უროვნულ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე ძირითადად მოიხმარება „ბორჯომისა“ და „ნაბეღლავის“ წყლები. რა შეიძლება ითქვას ადამიანისთვის მათი სარგებლობის შესახებ? „ნაბეღლავი“ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნატურალური მინერალური წყალია. კლინიკურმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ „ნაბეღლავი“ წარმატებით გამოიყენება, როგორც კუჭისა და ღვიძლის ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ, ისე საბაზანო პროცედურებისათვის. სამედიცინო ექსპერიმენტებისა და ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ „ნაბეღლავი“ სასარგებლოა ისეთი დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, როგორიცაა: გასტრიტი, კუჭის წყლული, თორმეტკოფა ნაწლავის, კოლიტის, ღვიძლის და ნაღველის ბუშტის, თირკმელებისა და შარდსაღვნი გზების, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, ცხიმების დაგროვებისა და შაქრიანი დიაბეტისათვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ორგანიზმიდან შლაკების გამოდევნას.

თავესი უნივერსალური თვისებებიდან გამომდინარე, „ნაბეღლავის“ გამოყენება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშეა შესაძლებელი.

ბორჯომის, მინერალური წყალი მთელ მსოფლიოშია პოპულარული, „თავესი“ შედგენილობით ძალიან ჰგავს ფრანგული წარმოების „ვიში-გრანდ-გრანდეს“. „ბორჯომი“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სასმელად, ისე ბადნეოლოგიური პროცედურებისათვის (აბაზანები, ინგალაცია) და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროსაც. სამედიცინო დასკვნების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ „ბორჯომი“ დადებით ზემოქმედებას ახდენს ისეთი დაავადებების მიმართ, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, ღვიძლისა და ნაღველის ბუშტისაგან, თირკმელებისაგან, აგრეთვე გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის, სასუნთქო ორგანოების მკურნალობისათვის. „ბორჯომის“ მოხმარების 100 წელზე მეტმა გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ „ბორჯომი“ წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ჩვეულებრივი სუფრის წყალი.

მინერალური წყლების ბაზარი არაა გამოკვლეული მარკეტინგული თვალსაზრისით, ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ მინერალური წყლების ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, მისი მოხმარებისა და რეალიზაციის ძირითადი საკითხები. ამისათვის შევარჩიეთ ასაკობრივი თვალსაზრისით ბაზრის ყველაზე მნიშვნელოვანი სეგმენტი - თბილისის ახალგაზრდა მომხმარებელთა ჯგუფი (20-40 წლამდე ასაკის). რამდენად მნიშვნელოვანია მინერალური წყლის როლი ქართველი კაცის ყოფით და რეალურ ცხოვრებაში? 84%-მა დადებითი პასუხი დააფიქსირა, მაგრამ გამოკითხულთა 8% საერთოდ ვერ ყიდულობს წყალს, 37%-ზე მეტი კვირაში 2 ბოთლზე მეტს ვერ ყიდულობს, თუმცა 77% თვლის, რომ მინერალური წყლის მოხმარება ყოველდღიურად საუკეთესოა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ არა მძიმე ყოფითი პირობები, უფრო მეტი მომხმარებელი ყვოლება წყალს. თავისთავად სწორედ სოციალური პირობების მდგომარეობით აიხსნება მომხმარებელთა 78%, რომელთა აზრით, მინერალური წყალი კარგ ყოფით პირობებთან ასოცირდება.

გამოკითხულთა აზრით, მინერალურ წყლებს სამკურნალო დანიშნულებისათვის 41% ყიდულობს, თუმცა ინტენსიური მომხმარებელი არის 48%, სუფრასთან მინერალურ წყალს სვამს 49%, ხოლო მომხმარებელთა 3% საერთოდ არ სვამს მინერალურ წყალს. აქ შეიძლება გამოითქვას შემდეგი მოსაზრება: 48%-ში, რომელიც წყალს სვამს ინტენსიურად, ბევრია ისეთი, რომელიც კვირაში მხოლოდ 1 ბოთლს ყიდულობს, ხოლო 40% უნდა ჩაითვალოს პასიურ მომხმარებლად. მინერალურ წყლებში რესპოდენტთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს (75%) ბორჯომს და ამჯობინებს CC ან NCO კომპანიის ნაწარმს, 14% - „იგ“-ს, 19% - ნაბეღლავს, 6% - საირმეს. სხვა მინერალური წყლები თითქმის უცნობია მომხმარებლისათვის. ეს ყველაფერი იმითაა გამოწვეული, რომ დღეს საქართველოში ყველაფერი და, მათ შორის, მინერალური წყლების მოხმარების საკითხი ისევ და ისევ ყოფით პირობებთან არის დაკავშირებული. რესპოდენტთა 70%-ისათვის ფასის ცვლილება საქონელზე ძალზე მნიშვნელოვანია.

მიუხედავად საქართველოს ცალკეული ეკონომიკური დარგების განვითარებისა, მას არ გააჩნია სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება საკუთარი ბუნებრივი რესურსების გამოყენების გზით საშინაო ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარი ექნება.

მინერალური წყლები, რომლებიც ეფექტურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებას წარმოადგენს, უფრო ღრმა მიდგომასა და



შესწავლას მოითხოვს, საჭიროა უფრო ფართოდ მათი გამოყვლინება, მისი სწორი ტექნოლოგიური დამუშავება, რათა მაქსიმალურად შევინარუნოთ წყლის ქიმიური შედგენილობა და თვისებები. მტკიცედ იქნეს დაცული სანიტარიული ნორმები, აშკარაა იმის პერსპექტივა, რომ ქართული მინერალური წყლების წარმოება კვლავ აღორძინდება და ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართულ და მსოფლიო ბაზარზე. ვფიქრობთ, რომ ეს პროცესი გარდაუვალია. მინერალური წყლები ჩვენი სიამაყეა. ამ მამულიშვილური დარგის განვითარებამ, ქართულ ფლორასა და ფაუნასთან ერთად, ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში ტურიზმის განვითარებასაც, რამეთუ ძვირფასი და უნიკალური წყლებითაა გაჯერებული ქართული მიწა.

ლიტერატურა

1. გ. მიქელაძე. გემოვანი პროდუქტები, თსუ გამომცემლობა, თბ., 1989
2. Бельский С. М., Лаврешкина Г. П., Дульнева Т. Н. Минеральные воды. М., 1982
3. Кулидшев Г. В., Жевлаков А. В., Бондаренко С. С. Минеральные лечебные воды СССР, М., «Недра» 1991
4. Приняковский В. М., Помозова В. А. и др. «Экспертиза напитков», Новосибирск, 2001
5. Природные ресурсы Грузинской ССР, т 3. Изд. Академии наук СССР, М., 1961

Д. Нергадзе

Вопрос маркетингового исследования рынка минеральных вод Грузии

Грузинские минеральные воды имеют специфический характер вследствие их физического и химического состава. Они считаются богатством Грузии. Главная цель маркетингового рынка минеральных вод состоит в определении возможностей увеличения производства минеральных вод, т. к. данный рынок имеет большое будущее.

В работе представлены данные опроса о значении минеральных вод в реальной жизни населения Грузии в зависимости от возрастных групп.

D. Nergadze

The Question of Marketing Research of Georgian Mineral Waters Market

Georgian mineral waters have particular characters. Owing to their physical and chemical consistence, they can be considered the richness of Georgia.

The major goal of marketing research is to investigate the production of mineral waters properly and promote its restoration and development.



ბ. მიქელაძე, ძ. ლომიჯაშვილი

**საპარტეზელოს ლუდის ბაზრის სეგმენტაციის დემოგრაფიული
მოხსენების მიხედვით**

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მკაცრი კონკურენციის დროს, სულ უფრო აქტუალური ხდება მარკეტინგული კვლევა.

მარკეტინგის მრავალ ფუნქციას შორის დიდი ადგილი უკავია ბაზრის სეგმენტაციას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, რადგან ცნობილია, რომ წარმატებას აღწევს ის ფირმა, რომელიც ორიენტირებულია ერთ ან რამდენიმე მიზნობრივ სეგმენტზე და არ ედება მთლიან ბაზარს.

ბაზრის სეგმენტაციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სეგმენტაციას მომხმარებლის დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით. იგი ბაზრის სეგმენტაციის ყველაზე უფრო გაფრცვლელად და პოპულარული ფორმაა. ამის უმთავრესი მიზეზია ის, რომ დემოგრაფიული პარამეტრები ადვილად ექვემდებარება გაზომვებს, ხოლო მომხმარებელთა მოთხოვნა ხშირად განპირობებულია დემოგრაფიული თავისებურებებით.

დემოგრაფიული პრინციპით სეგმენტაცია გულისხმობს ბაზრის დაყოფას მომხმარებელთა სქესის, ასაკის, შემოსავლების დონის, რელიგიის, ეროვნების, რასისა და სხვათა გათვალისწინებით.

მომხმარებლის დემოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით, ფირმას ეძლევა შესაძლებლობა, განსაზღვროს ბაზრის პოტენციალი და ბაზრის მოცულობა, თუმცა ეს მონაცემები იქნება თეორიული.

თუ ფირმას არ ექნება მონაცემები ბაზრის მოცულობასა და წილზე, მას ექმნება პრობლემები, ან საერთოდ შეუძლებელი გახდება რეაგირება ბაზრის სიტუაციის ცვლილებაზე.

ბაზრის პოტენციული მაქსიმალურად რეალიზებადი პროდუქციის რაოდენობაა, როცა არსებობს შესაბამისი მოთხოვნილება და მოთხოვნილების მქონე ყველა პირს გააჩნია შესაბამისი მატერიალური შემოსავალი ანუ, მარტივად რომ ითქვას, პროდუქციის რა რაოდენობის რეალიზაცია არის თეორიულად შესაძლებელი, რომ არ არსებობდეს სხვადასხვა შეზღუდვები. მაგ.: შემოსავლის არქონა ან რელიგიური აკრძალვები.

პოტენციურ მომხმარებელთა რიცხვის დასადგენად უნდა მოვიშველიოთ სტატისტიკური მარჯვენაღებები საქართველოს მოსახლეობის შესახებ.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობა 2002 წლისათვის შეადგენდა (სახეზე მყოფი) 4 355 673 ადამიანს, მათ შორის კაცების რაოდენობა აღწევს

2 049 786-ს, ქალების – 2 305 887. აქედან, ქალაქში მცხოვრებ მამაკაცთა რიცხვი აღწევს 1 045 888, სოფლად – 1 003 898, ანალოგიურად ქალაქში მცხოვრები ქალების რაოდენობაა 1 236 362, სოფლად – 1 069525.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები

საქართველო					
ქალაქი			სოფელი		
წლოვანება	ქალი	კაცი	წლოვანება	ქალი	კაცი
17	18963	18683	17	16821	17385
18	18499	19252	18	15786	15039
19	18527	19212	19	15704	15062
20-24	91656	86289	20-24	73905	75480
25-29	89746	78799	25-29	69398	71574
30-34	88167	73349	30-34	67250	69866
35-39	98119	77633	35-39	72809	72805
40-44	103072	63826	40-44	73920	72068
45-49	89223	72287	45-49	63741	60439
50-54	76922	63397	50-54	55345	50210
55-59	45328	35290	55-59	36289	31233
60-64	74655	52926	60-64	71493	57573
65-69	54055	37536	65-69	60554	49523
70-74	47947	29493	70-74	55059	42743

ლუდის რეალურ მომხმარებელთა გამოთვლის შემდეგი ეტაპია ლუდის მოყვარულთაგან მყიდველობითუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა: ამ შემთხვევაში საჭიროა პირობითი დაშვებები. საერთოდ, სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა განსხვავებულია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, ვიღებთ საშუალო, პირობით მჩვენებლებს.

თუ ჩავთვლით, რომ ქალაქში მცხოვრებ 17 წელზე ზევით ასაკის მამაკაცების 40%-ს არ აქვს ლუდის შეძენის საშუალება, მაშინ გამოდის:

$$746977 - (746977 \times 0,4) = 448\ 186$$

თუ სოფლად მცხოვრები 17 წელზე მეტი ასაკის ქალების 40 %-ს არ გააჩნია ლუდის შეძენის საშუალება, მივიღებთ:

$$665\ 950 - (665\ 950 \times 0,8) = 133\ 190$$

ლუდის მიზნობრივ ბაზრად შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის ასაკიც აღემატება 17 წელს, თუმცა ეს საკითხი მეტად პირობითი და საკამათოა.

17 წლის ზევით ქალაქში მცხოვრებ მამაკაცთა რაოდენობა შეადგენს: 829 974-ს; სოფლად მცხოვრებთა რაოდენობა – 748 074-ს.

ამ კრიტერიუმის მიხედვით, საქართველოში ლუდის პოტენციური მომხმარებლის რაოდენობა შეადგენს: 3 193 925 ადამიანს.

გამოკითხვების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში ლუდის მოხმარების ინტენსივობის საშუალო მაჩვენებელი ყოველდღიურად ერთ ადამიანზე არის: ზაფხულში – 0,5 ლიტრი, ზამთარში – 0,17 ლიტრი, გაზაფხულზე – 0,28 ლიტრი, შემოდგომით – 0,28 ლიტრი.

აქედან გამოვდინარე, ერთ პოტენციურ მომხმარებელზე ლუდის საშუალო წლიური მოხმარება გამოდის :

$$0,5(\text{ლიტრი}) \times 90(\text{დღე}) + 0,28 \times 90 + 0,17 \times 90 = 110,7(\text{ლიტრი})$$

იმისათვის, რომ გამოთვალეთ ნამდვილ მომხმარებელთა საერთო რაოდენობა, საჭიროა დავეყრდნეთ პირობით და არაზუსტ მოსაზრებებს, რომლებიც წარმოშობილია სხვადასხვა დემოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით.

თუ ჩავთვლით, რომ ქალაქში მცხოვრებ 17 წელზე ზევით მამაკაცებიდან 10 %-ს არ უყვარს ლუდი, პოტენციურ მომხმარებელთა რაოდენობა შემცირდება 10 %-ით.

$$829\ 974 - (829974 \times 0,1) = 746\ 976,6 \approx 746\ 977.$$

თუ ჩავთვლით, რომ სოფლად მცხოვრებ მამაკაცთაგან 5 %-ს არ უყვარს ლუდი (17 წელს ზევით) მივიღებთ: $701\ 000 - (701\ 000 \times 0,05) = 665\ 950$.

თუ სოფლად მცხოვრებ ქალთა 60 %-ს არ უყვარს ლუდი, მივიღებთ: $914\ 877 - (914\ 877 \times 0,6) = 299\ 299,6 \approx 299\ 230$.

ე. ი. ლუდის მომხმარებელთა რიცხვი არის:

$$746\ 977 + 665\ 950 + 365\ 951 + 299\ 230 = 2\ 078\ 108$$

ლუდის რეალურ მომხმარებელთა გამოთვლის შემდეგი ეტაპია ლუდის მოყვარულთაგან მყოფველბითუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა:

ამ შემთხვევაში შემოგვაქვს პირობითი დაშვებები. საერთოდ, სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა განსხვავებულია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, ვიღებთ საშუალო, პირობით მანევრებლებს.

თუ ჩავთვლით, რომ ქალაქში მცხოვრებ 17 წელზე ზევით ასაკის მამაკაცების 40 %-ს არ აქვს ლუდის შეძენის საშუალება, მაშინ გამოდის:

$$746\ 977 - (746\ 977 \times 0,4) = 448\ 186.$$

თუ სოფლად მცხოვრები 17 წელზე ზევით ასაკის მამაკაცების 80 %-ს არა აქვს ლუდის შეძენის საშუალება, მივიღებთ:

$$665\ 950 - (665\ 950 \times 0,8) = 133\ 190$$

თუ სოფლად მცხოვრები 17 წელზე მეტი ასაკის ქალების 40 %-ს არ გააჩნია ლუდის შეძენის საშუალება, მივიღებთ:

$$299\ 230 - (299\ 230 \times 0,4) = 179\ 538.$$

ხოლო თუ ჩავთვლით, რომ ქალაქში მცხოვრები ქალების 80 %-ს არ გააჩნია ლუდის შეძენის საშუალება, გამოდის:

$$365\ 951 - (365\ 951 \times 0,8) = 73\ 190.$$

აღნიშნული კორექტირების შედეგად ლუდის რეალურ მომხმარებელთა საერთო რიცხვი გამოდის :

$$448\ 186 + 133\ 190 + 179\ 538 + 73\ 190 = 834\ 104.$$

თუ ერთ მომხმარებელზე ლუდის მოხმარების წლიურ მანქვენებლად ავიღებთ 110,7 ლიტრი ლუდი, საქართველოს ბაზრის მოცულობა ასე შეფასდება:

$$834\ 104(\text{ადამიანი}) \times 110,7(\text{ლიტრი ლუდი}) = 92\ 335\ 312(\text{ლიტრი})$$

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეს მოცულობა აბსოლუტურად პირობითია, დაფუძნებული გამოკითხვებსა და სუბიექტურ მოსაზრებებზე.

ბაზრის მოცულობის განსაზღვრის უფრო ზუსტ შესაძლებლობას იძლევა რეალიზებული ლუდის ციფრობრივი მონაცემები: ერთი წლის განმავლობაში რეალიზებული ლუდის საერთო რაოდენობა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ასეთი კვლევები აუცილებელია მწარმოებელი ფირმებისათვის, რადგან ფირმის წარმატებული მუშაობა დამოკიდებულია რეალიზაციის დონეზე, ხოლო გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მოთხოვნილებას.

ლიტერატურა

1. ბოლოკაძე ე., მარკეტინგი. თბილისი, თსუ, 1995.
2. ნადირაშვილი გ., ჯაში ნ., სამრეწველო წარმოების და საქონლის მარკეტინგი. თბილისი, თსუ, 2000.

Г. Микеладзе, К. Голджашвили

Сегментация грузинского рынка пива по демографическим признакам

В статье обсуждено значение сегментации рынка, показан потенциал и размеры рынка. Потенциальное потребление пива рассчитано на основе данных Государственного департамента статистики. Население старше 17 лет расценивается как потребитель пива. Рассчитаны ежедневные и ежегодные средние количества потребления пива на одного человека. Число потребителей пива рассчитано на основе теоретической концепции запросов. Предполагается, что 10 процентов мужчин и 60 процентов женщин, живущих в городе, не любят пиво. В деревнях 5 процентов мужчин и 60 процентов женщин соответственно. Исходя из этого 40 % мужчин и женщин в городах и 80% – в селах не в состоянии купить пиво. В конце статьи еще раз отмечается, что полученные данные являются теоретическими.

G. Mikeladze, K. Golljashvili

Segmentation of Georgian Beer Market by Demographic Indicators

The article discusses the meaning of market segmentation, the potential and the extent of beer market. Potential consumption of beer is calculated on the basis of the data of the State Department of Statistics. The population above 17 is regarded to be beer consumer.

The average daily and annual amounts of beer consumption per person and the number of beer consumers are calculated.

It is supposed that 10 per cent of men and 60 per cent of women living in town and 5 per cent of men and 60 per cent of women in villages do not like beer. The number of people with purchasing power is calculated and it is supposed that 40% of men and women in towns and 80 % in villages can not afford beer.

At the end of the article it is once again mentioned, that these numbers are theoretical.



**სამართლებრივი საკითხები
 მენეჯმენტი**

თ. ხომარიძე

სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირება

სახელმწიფო საჭიროებებისთვის შესყიდვების ორგანიზაციის უცხოური გამოცდილება მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო შემოსავლების მოზილიზაციასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება ხარჯების გაწვევის რაციონალიზაცია საბაზრო გარემოში. მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების უმეტესობამ სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი მართვისთვის შეიმუშავა პროკურმენტის საკუთარი პრინციპები, სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკის განზოგადებით ამ სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები საერთაშორისო მასშტაბით სულ უფრო პარმონიული ხდება, რამაც სათანადო ასახვა პოვა საერთაშორისო შეთანხმებებსა და აქტებში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ მიღებული ჩარჩო კანონი „საქონლის (სამუშაოების) და მომსახურების შესყიდვების შესახებ“, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამთავრობო შესყიდვების თაობაზე შეთანხმება, ამ საკითხზე ევროდირექტივები და მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო წესები. ზემოაღნიშნული ემსახურება განსაზღვრულ გეოეკონომიკურ სივრცეში სახელმწიფო დაკვეთების ერთიანი ბაზრის ფორმირებას.

სახელმწიფო შესყიდვების პროცესისა და პროკურმენტის სისტემის დახასიათებისას სარგებლობენ განსხვავებული ტერმინოლოგიით - სახელმწიფო შესყიდვებთან (State Procurement) ერთად ხშირად გამოიყენებენ საზოგადოებრივი შესყიდვებისა (Public Purchasing) და სამთავრობო შესყიდვების (Government Procurement) ცნებებს, თუმცა ყველა შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვებს მიაკუთვნებენ ნებისმიერი დონის ხელისუფლების ორგანოების და სახელმწიფო დაწესებულებების დანახარჯების ერთობლიობას, რომელიც გაიწევა საზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შექმნილი საქონლისა და მომსახურების ანაზღაურებისთვის [1].

გაეროს UNCITRAL-ის ჩარჩო კანონის მე-2 პუნქტის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვად მიიჩნეულია სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ნებისმიერი წესით განხორციელებული საქონლის (სამუშაოს) და მომსახურების შესყიდვა. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ძირითადად სწორედ გაეროს მოდელური კანონის საფუძველზეა



შექმნილი და სახელმწიფო შესყიდვა განმარტებულია, როგორც სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ნებისმიერი სახის საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვა, რომელთა დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული თანხებით; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით; საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სპეცსახსრებით; უცხოეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დახმარებისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს კანონი კოლიზიაში შედის შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ან საკრედიტო და საგრანტო ხელშეკრულებებით განსაზღვრულია შესყიდვების განხორციელების საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებული ამ კანონისაგან განსხვავებული წესები); სახელმწიფო გარანტიით მიღებული კრედიტებით; სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (საქართველოს ეროვნული ბანკის გარდა) სახსრებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს მიუხედავად. ამ სახსრებით შესყიდვებს ახორციელებენ შემსყიდველი ორგანიზაციები, რომელთაც მიეკუთვნებიან: საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მმართველობითი ორგანოები, საბიუჯეტო ორგანიზაცია-დაწესებულებები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, აგრეთვე სხვა დაწესებულებები და საწარმოები. ევროინტეგრაციის პირობებში საქართველოსთვის განსაკუთრებულია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის, ევროკავშირის, საზოგადოებრივი შესყიდვების ზოგად წესებთან და ევროდირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული დირექტივები მოითხოვენ წვერი სახელმწიფოების დონეზე განხორციელებას და მათი დანიშნულებაა იმ პროცედურების კოორდინაცია, რომლებიც უნდა დაიცვას ევროგაერთიანების წევრმა, რომელსაც სურს დირექტივებით დადგინდ მონეტარულ ზღვრულ მანევრებლებზე მაღალი ღირებულების შესყიდვის განხორციელება. დადგენილი ნორმები მოიცავს სამშენებლო სამუშაოების, პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებებს, რომლებსაც განათავსებენ როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები, ასევე წყლის, ენერჯის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი, ნახევრადსაზოგადოებრივი და კერძო საწარმოები. ის ფაქტი, რომ ამ ხელშეკრულებების ერთ-ერთი მხარე მიჩნეულია საზოგადოებრივი ინტერესების წარმომადგენლად, განსაზღვრავს საზოგადოებრივ შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების სპეციფიკურობას კერძო გარიგებებთან შედარებით. საზოგადოებრივი შესყიდვების თაობაზე სახელმწიფო დაკვეთის ჩამოყალიბების პროცესი, სახელშეკრულებო ურთიერთობების შეზღუდული საბიუჯეტო და პოლიტიკური ფაქტორები, საზოგადოებრივი ინტერესი და საზოგადოებრივი მონიტორინგის საჭიროება წარმოადგენს სპეციფიკური მარვეულირებელი წესებისა და პრინციპების დანერგვის საფუძველს. აღსანიშნავია, რომ ევროდირექტივების მიზანს წარმოადგენს არა საზოგადოებრივი შესყიდვების სფეროში არსებული ყველა ეროვნული წესის ჰარმონიზაცია, არამედ კონტრაქტების განთავსების ეროვნული პროცედურების კოორდინაცია გარკვეულ ზღვარს ზემოთ დადებული ხელშეკრულებების განთავსებისთვის მინიმალური



საერთო მოთხოვნების დაწესების გზით, რაც გულისხმობს საზოგადოებრივ შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურების წარმართვას არადისკრიმინაციულ საფუძველზე, საზოგადოებრივი სახსრების რაციონალურ განაწილებას საუკეთესო შემთავაზების ტენდერის გზით შერჩევის მეშვეობით და ევროპულ საწარმოებს შორის ჯანსაღი კონკურენციის გაძლიერებას, რათა დაიზოგოს გადასახადების გადამხდელთა ფული. ყველა ფირმას უნდა გააჩნდეს სახელმწიფო დაკვეთის მოპოვების თანაბარი შანსი. ზემოაღნიშნული ხელსაყრელია როგორც მთავრობებისთვის, ასევე სამწარმოო სუბიექტებისა და მისახლეობისათვის, რომელთაც განუმტკიცებს იმის რწმენას, რომ სახელმწიფო სახსრების ხარჯვა განხორციელდება ეფექტიანად და გაწეული მომსახურება იქნება მაღალი ხარისხის. ამდენად, საზოგადოებრივი შესყიდვებისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია ამ პროცესის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები.

საქართველოსთვის, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნისთვის, მეტად მნიშვნელოვანია სამთავრობო შესყიდვების შეთანხმებაზე (GPA) დროულად მიერთება, რომელზედაც საქართველოს 2000 წლიდან მინიჭებული აქვს დამკვირვებლის სტატუსი. აღებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს მხარემ დაიწყო მოლაპარაკებები მონაწილე ქვეყნებთან და ემოს სამიჯნოს წარედგინა შეთანხმებაზე საქართველოს მხარის დოკუმენტური დანართების პროექტი. ემოს სამთავრობო შესყიდვების შეთანხმება, უპირველესად, ხელს უწყობს ვაჭრობის თავისუფალი რეჟიმის განვითარებას, მათ შორის სამთავრობო შესყიდვების სფეროში და მონაწილე ქვეყნებისთვის ითვალისწინებს საბაზრო ეკონომიკის ხელშეწყობი რეჟიმის დამკვიდრებას. გამომდინარე იმ მაღალი მონეტარული ზღვრებიდან, რომლებზედაც ვრცელდება სამთავრობო შესყიდვებთან დაკავშირებული ნორმატივები და პროცედურები, შეიძლება ითქვას, რომ მასთან შეერთება ვერ შეხლუდავს ადგილობრივ მიმწოდებელს, ხოლო წარმატებული ეროვნული მიწარმისთვის გახსნის გზას სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო დაკვეთებისკენ. ხელშეკრულება ითვალისწინებს კიდევ ეროვნული ხელშეწყობის რეჟიმებს, განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის, თუმცა იმავედროულად გამორიცხავს უცხოელ მიმწოდებელთა მიმართ დისკრიმინაციას. იგი ასევე ითვალისწინებს განვითარებული ქვეყნების მიერ ტექნიკური დახმარებების გაწევას და გამჭვირვალობის რეჟიმის დამკვიდრებისთვის მონაწილე მხარეებში საინფორმაციო-მეთოდური ცენტრების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, აგრეთვე გამოუცდელი მიმწოდებლებისთვის საკონსულტაციო და დოკუმენტების შედგენა-თარგმნაში დახმარებას. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა ძირითადად პარამონულია საერთაშორისო ნორმებთან, თუმცა დახვეწას საჭიროებს მასთან არაპირდაპირ დაკავშირებული სამართლებრივი აქტები. ხშირ შემთხვევაში ცალკეული კანონები ეხებიან სახელმწიფო შესყიდვების სისტემას და იმავედროულად არ ითვალისწინებენ ამ სფეროს სპეციფიკას ან მოკლებული არიან ქმედუნარიანობას. მაგალითად, საქართველოს კანონის „მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ 22-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ მცირე და საშუალო საწარმოები სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას სარგებლობენ კანონით გათვალისწინებული შეღავათებით, თუმცა კანონში ამგვარი შეღავათები საერთოდ არ განიხილება, ასევე თითქმის იგნორირებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის განსაზღვრული გრანტების რეგისტრაციისა და გამოყენების წესის შესახებ, რომელშიაც ცალსახადაა დაფიქსირებული, რომ

საგრანტო სახსრები უნდა დაიხარჯოს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად. ცალკეული სამთავრობო უწყებები ვერ კიდევ გამოსცემენ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც რბილად რომ ვთქვათ, წინააღმდეგობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ამ პირობებში, ცხადია, ახალი საერთაშორისო ვალდებულებების აღება მიზანშეუწონელია, სანამ ქვეყანაში არ იქნება სათანადო პოლიტიკური ნება და არ დამყარდება კანონის უზენაესობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები გადაფარავს ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებასთან შეერთების მთელ ეფექტს.

სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა საქართველოში, ისევე როგორც ეროვნული ეკონომიკის რესტრუქტურისაც, მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, რომლის დახმარება საქართველოსადმი საქმაოდ სოლიდური თანხებით განისაზღვრება. მსოფლიო ბანკის როგორც შედეგათიანი კრედიტები, ასევე გრანტები დეტალურადაა გაწერილი გადაუდებელ ღონისძიებებზე და მთავრობასთან შეთანხმებული პროგრამების შესაბამისად წარმოებს მათი ხარჯვა. ამ სახის შესყიდვების მიმართ მსოფლიო ბანკის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: შესყიდვების განხორციელება ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ტრანსპარენტულობის პირობებში; სახსრების მიღები სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; პოტენციური მიმწოდებლისთვის შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა ე.წ. „შესყიდვების სახელმძღვანელო“ შემუშავებული იქნა სტანდარტული სატენდერი დოკუმენტაცია ბანკის მიერ ჩატარებული საკონკურსო ვაჭრობისთვის. მართალია, მსოფლიო ბანკი დამკვეთებისგან მოითხოვს საქონელი და მომსახურება შესყიდულ იქნას საერთაშორისო ტენდერების საფუძველზე, მაგრამ განსაკუთრებულ გარემოებებში არაა გამორიცხული ფასთა კოტირების, პირდაპირი შესყიდვების ან შეზღუდული ტენდერების საშუალებით კონტრაქტების გაფორმება. შესყიდვის გამარტივებული მეთოდები, როგორც წესი, გამოიყენება მცირე შესყიდვებისთვის. საერთაშორისო პროკურმენტის გამოცდილება მოწმობს, რომ თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფო შესყიდვის სწორად დაგეგმვა, ასევე შესყიდვის პროცედურების ზუსტად ორგანიზება და სამართლიანი კონტრაქტების გაფორმება. ასევე აუცილებელია კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულებების მხარეების მიერ ზედმიწევნით აღსრულება, ხოლო საზოგადოებრივი მონიტორინგი საჭიროებს ანგარიშგების მკაცრად განსაზღვრული სისტემის მოწყობას. ამ საკითხს გააჩნია მენტალური მხარეც, რადგან თუ საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო შესყიდვები წარმოებდა მკაცრად შედგენილი გეგმების შესაბამისი სახელმწიფო შეკვეთების გზით, პოსტსაბჭოთა პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებმა ინერციით შეინარჩუნა იგივე სახე და აუცილებლობით წარმოიშვა ამ სფეროს მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობა. პარალელურად განვითარებულ ქვეყნებში განუწყვეტლივ იზრდება სახელმწიფო სექტორის როლი (აშშ-ში სახელმწიფო შესყიდვები ყოველწლიურად შეადგენს შიდა ეროვნული პროდუქტის თითქმის მესამედს და ეროვნული ბიუჯეტის 20%-ს; ევროკავშირში საზოგადოებრივ შესყიდვებზე ყოველწლიურად იხარჯება 1 ტრილიონ აშშ დოლარამდე; აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ბიუჯეტის თითქმის ნახევარი განკუთვნილია სახელმწიფო შესყიდვისათვის) [2]. ქვეყნების უმეტესობაში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით საწყის ეტაპზე ძირითადად დაცული იყო ეროვნული მეწარმეობა, ხოლო შემდგომ ეტაპზე ხელშეწყობის რეჟიმი დაყვანილ იქნა კანონით განსაზღვრულ

პრეფერენციებამდე. XX საუკუნის მეორე ნახევარში რაც უფრო იზრდებოდა სახელმწიფო ხარჯები, შეინიშნებოდა ეროვნული შესყიდვების სისტემაზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გავლენის ტენდენცია. სწორედ ამ პერიოდში შემუშავდა ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, ხოლო 1979 წელს ამ შეთანხმების ფარგლებში ძირითად მონაწილეებს შორის გაფორმდა სპეციალური ხელშეკრულება სამთავრობო შესყიდვებთან დაკავშირებით, რომლის მოქმედების სფერო თავდაპირველად მეტად შეზღუდული იყო. 1994 წელს ურუგვაის რაუნდზე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში განხორციელდა სამთავრობო შესყიდვების შეთანხმების შემდგომი სრულყოფა და იგი ძალაში შევიდა 1996 წლის 1 იანვრიდან. პარალელურად ევროპაში სულ უფრო ვითარდებოდა რეგიონული ინტეგრაციის სქემები, რომლის ლოგიკურ შედეგსაც წარმოადგენდა 1957 წელს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ნამოყალიბება რომის შეთანხმების საფუძველზე, რომელიც, მართალია, ცალკე არ მოიცავდა საზოგადოებრივი შესყიდვების თაობაზე დებულებას, მაგრამ წევრ-ქვეყნებს უკმადავდა მიმწოდებელთა დისკრიმინაციას და თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვას. სპეციალური დირექტივები საზოგადოებრივ შესყიდვებთან დაკავშირებით დამკვერდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან: თავდაპირველად 1971 წელს მიღებულ იქნა ევროდირექტივა სამუშაოების შესყიდვებთან დაკავშირებით, ხოლო 1976 წელს დაემატა ანალოგიური მოთხოვნები საქონლის მიმართ. ძირითადად იგი ეფუძნებოდა შესყიდვების თაობაზე თანამეგობრობაში გაცხადების რეჟიმს, ტექნიკური სპეციფიკაციების გამოცხადების ნეიტრალიტეტის პრინციპს და კონტრაქტის მინიჭების შერჩევის პროცედურებში ობიექტური კრიტერიუმების გამოყენების აუცილებლობას. 80-იან წლებში ევროპის სახელმწიფოებში მიმდინარეობდა საზოგადოებრივი შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის განვითარება და წარმოებდა განუწყვეტელი მონიტორინგი მონაწილე მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების რეალიზაციასთან დაკავშირებით. ევროკავშირის ფარგლებში კიდევ უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა ტრანსპარენტულობის დონის ამაღლებას, ევროდირექტივებით განსაზღვრული მოთხოვნების განხორციელებაზე მკაცრი კონტროლის დაწესებას, სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმებული წესების მოქმედების არეალის გაფართოებას, მათ შორის აქცენტი გაკეთდა მომსახურების შესყიდვაზეც.

საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უდიდესი როლი შეასრულა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების თანამედროვე სისტემის ფორმირების საქმეში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ვაჭრობის კანონმდებლობის კომისიამ 1986 წელს დაიწყო სამუშაოები სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით. იგი დასრულდა 1994 წელს UNCITRAL-ის მოდალური კანონის მიღებით, რომელშიაც ზოგად დებულებებთან ერთად მოცემულია შესყიდვების მეთოდებისა და პროცედურების დეტალური აღწერა. აღნიშნულ დოკუმენტს მათ ერთვის სახელმძღვანელო რეკომენდაციები, რომელშიც მნიშვნელოვნად გაამარტივა საქართველოში შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავების პროცესი. საერთაშორისო ნორმებთან ეროვნულ კანონმდებლობათა პარამონიზაციის კვალობაზე მსოფლიო ბანკი სულ უფრო მეტ შესყიდვებს ახორციელებს დახმარების მიმღებ სახელმწიფოთა კანონმდებლობათა შესაბამისად, თუკი ისინი კოლიზიაში არ მოდიან მსოფლიო ბანკის წესებთან, ხოლო მეორე მხრივ, სულ უფრო მეტი საერთაშორისო ტენდერი იმართება ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების

შესაბამისად. უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებულ შესყიდვებში სულ უფრო მცირდება ბიუროკრატიული ბარიერები და ქვეყნების მთავრობები ოპერატიულად იღებენ სათანადო ტექნიკურ დახმარებას. რაც შეეხება საერთაშორისო პროკურმენტს, იგი წარმოადგენს პრაქტიკული მეთოდებისა და პროცედურების ერთობლიობას, რომელიც სატენდერო შერჩევის გზით უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაციისა და საზოგადოების ინტერესების მაქსიმალურ დაცვას. იგი ეფუძნება საჯაროობის, თანასწორობის, ეკონომიურობის, ეფექტიანობის და პასუხისმგებლობის პრინციპს, ამასთან, ვაერთოდ იყენებს საერთაშორისო სტანდარტებსა და წესებს. საერთაშორისო პრაქტიკაში სახელმწიფო შესყიდვების სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, თუმცა მათ გააჩნიათ საერთო ნიშნები, რაც უმეტესად ეხება ზოგად პრინციპებსა და გამოყენებულ მეთოდებს. ასევე განსხვავდება თითოეულ ქვეყანაში შესყიდვების ცენტრალიზაციის დონე და ადმინისტრირების ხარისხი. ამასთან, ყველა ქვეყანაში არსებობს ერთი სამთავრობო უწყება მაინც (სააგენტოს, დეპარტამენტის, სამსახურის ან სხვა სახით), რომელიც ქვეყნის მასშტაბით არგულირებს და საერთო კოორდინაციას უწევს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკას. უმეტესად ამავე ორგანოს მოვალეობას შეადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაზე მონიტორინგი და დადებული ხელშეკრულებების ადმინისტრირება, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული მაკონტროლებელი ორგანოების და/ან აუდიტორების უფლებამოსილებაა. რიგ ქვეყნებში დამატებით შექმნილია სპეციალური სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურები, რომლებიც სახელმწიფო მართვის ორგანოებიდან და ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან მიღებული დაკვეთების საფუძველზე ცენტრალიზებულად ახორციელებენ სტანდარტული საქონლისა და მომსახურების ტენდერების გზით შესყიდვას და შემდგომ ამარაგებენ შესაბამის ორგანიზაციებს. ცხადია, ერთი მხრივ, ეს ხსნის პროკურმენტის პროფესიული კადრების დასპეციალების პრობლემას შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის და მსხვილი შესყიდვების ტენდერების მეშვეობით განხორციელებით აიაფებს ერთეულ პროდუქტზე დანახარჯებს, მაგრამ იმავედროულად მოითხოვს მაღალ ორგანიზებულობასა და დიდ მმართველობით ხარჯებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ყველა სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციაში ფუნქციონირებს სახელმწიფო შესყიდვების სამსახურები (სამინისტროებში - დეპარტამენტების სახით), რომლებიც ამ სახელმწიფო უწყებებისთვის აწარმოებენ სპეციფიკური საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების შესყიდვას. ქვეყანათა უმეტესობაში ფუნქციონირებს პროკურმენტის კადრების მომზადებისა და გადამზადების ცენტრები, აგრეთვე საკონსულტაციო ბიუროები, ზოგან საკონსულტაციო-მეთოდური ცენტრები. ასევე რეგულარულად ხდება ერთი სპეციალიზებული ყოველკვირეული გაზეთის გამოცემა მაინც, სადაც ქვეყნდება განცხადებები მოსალოდნელ შესყიდვებთან დაკავშირებით, ხოლო პერიოდულ ბიულეტენებში წარმოებს შესყიდვების გარემოს შესახებ მიმოხილვების, ანგარიშების და სხვა ინფორმაციული მასალების განთავსება. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შემდგომი განვითარებისთვის უდიდეს ტექნიკურ რესურსს წარმოადგენს გლობალური ქსელების (ინტერნეტი) მეშვეობით ინფორმაციის ურთერთგაცვლა, აგრეთვე ელექტრონული ვაჭრობის წარმოებაც. თუმცა კომერციული ფირმებისაგან განსხვავებით, სახელმწიფო კონტრაქტების დადება ხასიათდება მნიშვნელოვანი პროცედურული შეზღუდვებით და ფორმალური წესებით. სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საქართველოში დეცენტრალიზებულია და მის განხორციელებაზე უფლებამოსილია სახელმწიფო შემსყიდველი

ორგანიზაცია, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მართლზომიერებაზე. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია: რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით; შესყიდვები განახორციელოს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის მიხედვით, ასევე კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და შესაბამისი ფორმით წარუდგინოს სააგენტოს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშები; სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების დამტკიცების არაუგვიანეს 20 დღის ვადისა და ამტკიცოს სახელმწიფო შესყიდვების დასუსტებული გეგმა და წარუდგინოს იგი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 5 000 ლარს, სახელმწიფო შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოების დასრულებისთანავე აცნობოს შესყიდვის პროცედურების დაწყების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს; ყოველი საფინანსო წლის დამთავრების შემდეგ შეადგინოს გასულ წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წლიური ანგარიში სათანადო ფორმით და წარუდგინოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არაუგვიანეს მომდევნო წლის 1 თებერვლისა; ყოველთვიურად მიაწოდოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სტატისტიკური ანგარიში. ამჟამად ქვეყანაში ფუნქციონირებს 3000-მდე შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთა მიერ განხორციელებული შესყიდვები ყოველწლიურად შეადგენს კონსოლიდირებული ბიუჯეტის მესამედს და მოლიანი შიდა პროდუქტის 3-5%-მდე მშპ-ში სახელმწიფო შესყიდვების მცირე ხვედრითი წონა განპირობებულია იმით, რომ მოქმედი კანონმდებლობა სრულად არ მოიცავს სახელმწიფო სექტორის სავარმოების ხარჯებს და საზოგადოების სხვადასხვა მოთხოვნილებათა რესურსებითა და მომსახურებით უზრუნველყოფით დაკავებულ სტრუქტურებს, მათ შორის ე.წ. ბუნებრივ მონოპოლიებს, რომელთა წარმომადგენელი ორგანიზაციები კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან. მოქმედი კანონმდებლობა, აგრეთვე, არ ვრცელდება ძალიან უწყვეტებისთვის განხორციელებულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ შესყიდვებზე. ასევე გაურკვეველი სქემით მიმდინარეობს ცალკეული სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ ბარტერული ოპერაციები და არატრადიციული შესყიდვები.

ქვეყანაში განხორციელებული რადიკალური ცვლილებების ეკონომიკური უზრუნველყოფისკენა მოწოდებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის საქართველოში მიმდინარე რეფორმა. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეფორმის საწყის ეტაპზე (1998-2000 წწ.) მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ბაზის ფორმირება საქართველოში, რისთვისაც მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში ჩამოყალიბდა სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი და გამოიცა შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები შემუშავებული იქნა საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, რეფორმის საწყის ეტაპზე შემსყიდველი ორგანიზაციების უმეტესობა ახდენდა სახელმწიფო შესყიდვების მარგულდობრებელი კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების იგნორირებას, რასაც ხელს უწყობდა ისიც, რომ არ განესებოდა შესყიდვების პროცედურების განხორციელების დადგენილი სტანდარტები და ხშირად

შემსყიდველები ახდენდნენ კანონმდებლობის მრავალგვარ ინტერპრეტაციას. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვები მოიცავდა მხოლოდ ცენტრალური ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებულ შესყიდვებს, ხოლო ე.წ. სპეც. სახსრები, სპეც. ფონდები, უცხოური გრანტები და კრედიტები და სხვ. რჩებოდა კანონის მოქმედების სფეროს მიღმა. ამ პერიოდში ბიუჯეტური შესწავლად გამო, ხშირად ხდებოდა სეკვესტრირება, რის გამოც პრაქტიკულად ორგანიზაციები „სხვა საქონლისა და მომსახურების“, აგრეთვე „კაპიტალური ხარჯების“ მუხლებით არ ფინანსდებოდა (ძირითადად გაიცემოდა ხელფასები). ამის შედეგად სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი ფაქტობრივ ვერ დაინერგა სამეურნეო ცხოვრებაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ფარგლებში დაისახა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები. იმავედროულად მსოფლიო ბანკთან შეთანხმდა შესყიდვების სისტემის ინსტიტუციური განვითარების პროგრამა 2001 წლისათვის და განისაზღვრა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა. მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტის – SAC III პირობებით, საქართველოს მხარემ საწყის ეტაპზე აიღო ვალდებულება სახელმწიფო შესყიდვების მარვეჯულირებული კანონმდებლობის სრულყოფის კუთხით, რათა იგი გამხდარიყო საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმებთან პარმონიული და რეალურად განხორციელებადი. 2000 წლის ბოლოს მომზადდა და საქართველოს პარლამენტს გადაეცა საქართველოს კანონში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე“ კანონპროექტი, რომელიც ხანგრძლივი განხილვების შემდგომ 2001 წლის მარტში დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა. აღსანიშნავია, რომ მითითებული ცვლილებებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა კანონის მოქმედების სფერო. კერძოდ, მასში მოექცა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სპეც. სახსრები, უცხოეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დახმარებისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრები, სახელმწიფო გარანტიით მიღებული კრედიტები და სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (საქართველოს ეროვნული ბანკის გარდა) სახსრები. ამასთან, ამ სახსრებით სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები შეიძლება განხორციელდეს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, ფასთა კოტირების მეთოდით, დახურული და ღია ტენდერით, მათ შორის ორეტაპიანი ტენდერით, რომელიც ძირითადად გამოიყენება ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვისას. მსოფლიო ბანკის ექსპერტთა რეკომენდაციებით, კანონში ჩაიდო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ფასთა კოტირების მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, შესყიდვების პროცედურების გამარტივებას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფო სახსრების რაციონალური და ეფექტიანი ხარჯვის პრინციპების რეალიზებას და კონკურენტული გარემოს შექმნას. საგულისხმოა, რომ კანონით დადგენილ იქნა აგრეთვე ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები, დაზუსტდა სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის წესი და პროცედურები, სახელმწიფო შესყიდვებზე მონიტორინგის გაძლიერების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს დაეკისრა სააგენტოსათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის სახსრების ფაქტობრივი

გამოყოფის შესახებ, შემოდებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავის ადმინისტრაციული განხილვისა და გასაჩივრების წესი.

საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციას, მონიტორინგსა და კონტროლს. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის საჯაროობისა და საზოგადოებრივი მონიტორინგისათვის სააგენტოსთან შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლების მონაწილეობით. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კომპეტენცია და რეალურად გაჩნდა ახალი შესაძლებლობები მისი მაკორდინირებელი როლის სრულად რეალიზაციისათვის კანონში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, როგორებიცაა: სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, სამუშაოების შესრულების და მომსახურების გაწევის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა, სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბება. ამავე პერიოდში მოეწყო ტრენინგ-სემინარები სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტთათვის, გამოიცა და გავრცელდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული მეთოდური მასალები და საკანონმდებლო ნორმატიული დოკუმენტები, მოწინავე უცხოური გამოცდილების გაზიარების მიზნით მოეწყო საქმიანი ვიზიტები და სასწავლო ტურები ლიტვაში, აშშ-ში, იტალიასა და ყირგიზეთში, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა სახელმწიფო შესყიდვების ოფისი, საერთაშორისო ექსპერტ-კონსულტანტების მონაწილეობით შემუშავდა დებულება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“, დამტკიცდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და მასთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს დებულებები. 2001 წლის ოქტომბერში დამტკიცდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულება და მისი დოკუმენტური დანართები“, სადაც ზოგად დებულებებთან ერთად განისაზღვრა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა და შესყიდვების შესახებ ანგარიშგების სტანდარტული ფორმები, მანვე მოიცვა შესყიდვებთან დაკავშირებული ინსტრუქციები, მეთოდოლოგიები და წესები.

მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ 2001 წელს საქართველოს შესყიდვების გარემოს შესწავლის საფუძველზე შედგა შეფასების ანგარიში, რომლის მიხედვითაც რეკომენდაციები საბოლოოდ დაზუსტდა 2002 წლის 4-6 ივნისს საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივ სემინარზე „სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფა საქართველოში“ და აისახა სააგენტოს სამოქმედო გეგმაში. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მუშაობა ამ პერიოდში გამოირჩეოდა შედეგებით, რაც გამოიხატა როგორც ტენდერების რაოდენობის მნიშვნელოვანი გაზრდით, ასევე საკონკურსო შერჩევის მეშვეობით საბიუჯეტო სახსრების ეკონომიით. საგრძნობლად დაბალანსდა სახელმწიფო შესყიდვების სტრუქტურა (საქონელს კვლავაც უკავია უდიდესი წილი - 41%, მომსახურებას - 32%, ხოლო სამუშაოს - 27%). სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების

საშუალებებიდან კვლავაც ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდი (ცენტრალური ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებული შესყიდვებისთვის - 41%, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის - 79%). შესყიდვების პრაქტიკაში რეალურად დაინერგა ფასთა კოტირების მეთოდი (ცენტრალური ბიუჯეტისთვის შეადგინა 15%, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის - 7%). ასევე მნიშვნელოვანი გახდა ტენდერების წილი - ცენტრალური ბიუჯეტისათვის ღია ტენდერით განხორციელდა შესყიდვების 40%, დახურული ტენდერით - 3%, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის ღია ტენდერით განხორციელდა გაწეული დანახარჯების 11%, ხოლო დახურული ტენდერით - 3%.

მსოფლიო ბანკის SRS კრედიტის სახსრებით დაქირავებული საერთაშორისო კონსულტანტის მონაწილეობით მომზადდა ტრენინგების ეროვნული სტრატეგია როგორც შესყიდვების კორდინატორებისათვის, ასევე საზოგადოებრივი შესყიდვების სპეციალისტებისათვის. შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდი ინტერნეტში (<http://spa.iatp.ge>), სადაც განთავსებულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი სხვადასხვა ნორმატიული და მეთოდური ხასიათის მასალები, სატენდერო განცხადებები, მომწოდებელთა სია, ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო შესყიდვების ყოველკვარტალური ანალიზი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში და ა.შ.

სახელმწიფო შესყიდვების რეფორმის მიმდინარე ეტაპის ძირითადი პრობლემებია: შემსყიდველი ორგანიზაციების მხრივ ადგილი აქვს ინფორმაციის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა განხორციელებულია ჩვეულებრივი პროცედურებით; არ არის მითითებული კონტრაქტის საჯარო ღირებულება; საკვალიფიკაციო მონაცემებს ზოგჯერ არ ახლავს აუცილებელი ცნობები; სატენდერო კომისიის აპარატის მიერ განხორციელებული ჩანაწერები ქრონოლოგიურად არ ემთხვევა საოქმო ჩანაწერებს, ხოლო ტენდერის განხორციელების საორგანიზაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია არ მიუთითება წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები ხშირად არარეალისტურია, მაგრამ, ვინაიდან არ არსებობს დემონსტრირებადი ფასისა და მონოპოლიურად მაღალი ფასის განსაზღვრის მეთოდიკა, იურიდიულად შეუძლებელი ხდება კონკურსიდან მათი მოხსნა. ამის შედეგად კონკურენტები არაჯანსაღ საფუძველზე ინაწილებენ სახელმწიფო შესყიდვების ბაზარს.

ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება: საქართველოს რეგიონებში უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო შესყიდვების საინფორმაციო-მეთოდური ცენტრები; საჭიროა სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტთა მომზადებისა და სერტიფიკაციის სისტემის დანერგვა და ამოქმედება საერთაშორისო ექსპერტების მიერ მომზადებული ტრენინგების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად; საჭიროა ბიუჯეტური ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაცია და რაციონალიზაცია, პროგრამული დაფინანსების განვითარების მიზნით საბიუჯეტო ასიგნებათა მრავალწლიანი გეგმის შექმნა; სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებისა და წესების შემდგომი დეტალიზაცია (აშშ-ის შესყიდვების ფედერალური სამსახურის მიერ გამოცემული დირექტივები და წესები 1600 გვერდიანია, ხოლო საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ბაზა სააგენტოს მიერ გამოცემულ ბიულეტენში ასახულია 200 გვერდზე); შესამუშავებელია წინადადებები ძალოვანი სტრუქტურების შესყიდვათა ოპტიმიზაციისათვის, ასევე სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ

შესყიდვებთან მიმართებაში დასადგენია შესაბამისი ნუსხა (საჭიროა კონფიდენციალური შესყიდვების ჩამონათვალისა და ამ შესყიდვების განხორციელების წესების დამტკიცება); სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობისა და საჯაროობის დონის ამაღლებისთვის გლობალური საინფორმაციო ქსელის, ტელევიზიისა და მასმედიის საშუალებათა შესაძლებლობების სრულად გამოყენება; აუცილებელია შეიქმნას სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ეთიკური კოდექსი, რათა გამოირიცხოს ამ სფეროს მოხელეთა ინტერესთა კონფლიქტი და უკანონო გარიგებებში მათი მონაწილეობა.

ამრიგად, პროკურმენტ-მენეჯმენტის საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული პოზიტიური გამოცდილების საქართველოში წარმატებული დანერგვისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის კანონის არსებობა, სათანადო ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის შექმნა, ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერა, საზოგადოებრივი მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შესყიდვებში მონაწილე მხარეების (შემსყიდველი-მიწოდებელი) კეთილი ნება, რადგან ღიბერალური კანონმდებლობის პირობებში შესყიდვების პროცედურათა გამჭვირვალობა და მასში მონაწილეთათვის მინიჭებული უფლებების დაცვა თანაბრად აქტუალურია.

ლიტერატურა

1. Менкью Н. Г. Принципы экономики. СПб., „Питер“, 1999. с. 485
2. Нестерович Н. В., Смирнов В. И. Конкурсные торги на закупку продукции для государственных нужд. М., 2000

Т. Хомерики

Международное регулирование государственных закупок

Практически во всех странах государство является на рынке важнейшим закупщиком продукции. Международный опыт организации закупок для государственных нужд (прокьюрмент-менеджмент) представляет значительный интерес для нашей страны в переходный период, когда внедряется соответствующая рыночной экономике система государственных закупок. Прокьюрмент обозначает процесс осуществления государственных закупок (приобретение любыми способами товаров (работ) и услуг для государственных нужд, начиная с составления плана закупок до оформления контракта с поставщиком: планирование, извещение о тендере, проведение квалификационного отбора участников, подготовка тендерной документации, получение конкурсных предложений и их оценка, определение победителя, присуждение контракта и контроль за его исполнением). Он охватывает процесс проведения тендеров (или осуществления закупки другим методом), рассматриваемый как последовательность процедур, каждая из которых имеет своё значение и временные рамки. Таким образом, прокьюрмент – это совокупность практических методов и приемов, позволяющих максимально обеспечить интересы покупателя при проведении закупочного процесса на принципах транспарентности,

равноправия, экономичности, конкурентности, эффективности и ответственности. В международной практике для его обозначения употребляют различные термины: государственные закупки (State Procurement), общественные закупки (Public Purchasing) и правительственные закупки (Government Procurement). В труде рассмотрены международные соглашения и акты, регулирующие на межгосударственном уровне государственные закупки.

Особое внимание автор уделяет вопросам унификации законодательств стран с различным уровнем развития и гармонизации с международными нормами действующего законодательства. Подробно рассмотрены основные положения типового закона комиссии Организации объединенных наций по праву международной торговли (UNCITRAL) „О закупках товаров (работ) и услуг, по которому составлен закон Грузии „О государственных закупках“. Кроме того, автор рассматривает основные принципы договора о правительственных закупках ВТО, в которой Грузия имеет статус наблюдателя и ведутся переговоры для присоединения. Здесь же даётся описание основных рекомендаций евродиректив (т.н. „координационные директивы,“ в сфере общественных закупок). Международные финансовые институты так же сыграли важную роль в разработке общественных принципов по государственным закупкам. Особо отмечается роль Всемирного Банка в развитии международных правил и процедур по прокьюрмент-менеджменту, анализируются правила, регламентирующие проведение закупок средствами Всемирного Банка для финансируемых им проектов.

В статье даётся краткий обзор реформы системы государственных закупок Грузии, основных достижений и проблем, также предложены рекомендации по усовершенствованию институциональной системы государственных закупок.

T. Khomeriki

International Regulation of State Procurement


Government in every country realizes significant amount of purchases. The international experience on organization of purchases for governmental needing is very interesting for Georgia, because in transient period it is important formation of the State Procurement system appropriate to the market economics. Procurement-management is a process of purchasing of goods (works) and services by any rule for public needing beginning from the planning to the signature of contract with provider. In this process every procedure has its meaning, succession and period. The whole process is characterized by principles of transparency, parity, competition, economy and efficiency. The terms: State Procurement, Public Purchasing and Government Procurement are equally used in international practice, but this does not change its meaning.

საბაზრო ეკონომიკაზე კურსის აღებით ქვეყანაში აუცილებელი გახდა ბულალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში სათანადო ცვლილებების განხორციელება. აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემა შესაბამისობაში უნდა იყოს საბაზრო ეკონომიკის ინსტრუმენტებთან და რეალურად უნდა ასახავდეს საწარმოებში განხორციელებულ სამეურნეო მოვლენებსა და ფაქტებს, ამ ინფორმაციის ნებისმიერი მომხმარებლის ინტერესების მეტ-ნაკლები გათვალისწინებით. ეს პრობლემა საქართველოში გადაიჭრა ბულალტრული აღრიცხვის უკვე გარკვეულწილად აპრობირებული საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) გამოყენებით. ამას ცხადია, ქონდა თავისი ობიექტური მიზეზები, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია: ინვესტორთა – განსაკუთრებით უცხოელი პარტნიორების – მოზიდვისათვის ხელშეწყობა, მათთვის საინვესტიციო გარემოს შესახებ მეტ-ნაკლებად ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, აგრეთვე, ბულალტრული აღრიცხვის სფეროში რეფორმის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური შესაძლებლობების არქონით. ასე რომ, ბასს-ის შემოღება, რომელიც გათვლილია ფინანსური ანგარიშგების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების მიხედვით მომზადებაზე, იმთავითვე უქმნის გარკვეულ უხერხულობას საქართველოში მოქმედ საწარმოთა უმეტეს ნაწილს, კერძოდ, მცირე და საშუალო საწარმოებს. ეს ბასს-ის დანერგვის პროცესის (კონვერსია, კადრების მომზადება) განხორციელებასთან და შემდგომ ფუნქციონირებასთან იყო დაკავშირებული. ბასს-ის გამოყენება მაღალეფექტიანია მსხვილი ბიზნესის მქონე საწარმოებში, რომლებიც არიან რა დასაქმებულნი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში, მრავალმხრივი ურთიერთობანი გააჩნიათ სხვა ქვეყნების იურიდიულ პირებთან და საჭირო ხდება მათთვის ინფორმაციის მიწოდება.

საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით შედარებით პატარა ქვეყანაა, მაგრამ ამის მიუხედავად, აქაც ფუნქციონირებს მრავალი მსხვილი საწარმო, რომელთა ინტერესები ხშირად სცილდება არა მხოლოდ ამა თუ იმ დარგის ფარგლებს, არამედ ქვეყნის საზღვრებსაც; მათ დასაქმებული ჰყავთ მომუშავეთა სოლიდური რაოდენობა, გააჩნიათ დიდი სარეალური ზაციო ბრუნვა, დაკავებული აქვთ საშინაო თუ საგარეო ბაზრის გარკვეული სეგმენტი, ახორციელებენ ისეთ სამომავლო ქმედებებს, რომლებიც კაპიტალის მოზიდვასთანაა დაკავშირებული და ამდენად მათ საზოგადოებას უნდა მისცენ

ობიექტური ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის შედეგების მიხედვით. ეს ინფორმაცია, რომელიც გვევლინება ფინანსური ანგარიშგების სახით, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მომზადებული უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ეს მსხვილ ბიზნესში დაკავებულ საწარმოებს არა თუ ევალდებათ, არამედ თეთიონაც არიან (უნდა იყვნენ) დაინტერესებულნი. ამასთან ერთად ფაქტია, რომ საქართველოში მრავლად არიან საწარმოები, რომლებიც დაკავებულნი არიან მცირე და საშუალო ბიზნესით და მათი აღრიცხვა-ანგარიშგების იმავე რეჟიმში მოქცევა, როგორც მსხვილი ბიზნესისა არ იქნებოდა მართებული, მით უმეტეს, რომ ასეთი მიდგომა მცირე და საშუალო ბიზნესით დაკავებული საწარმოებისათვის არც არის სავალდებულო; უფრო მეტიც, ეს გარკვეულ ტერიტორიაზე (ხარჯების თვალსაზრისით, რაც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვისაა საჭირო) კი დააწევება მათ ეკონომიკურ მახვენებლებს; მცირე და საშუალო საწარმოები კონკურენციულ ბრძოლაში დარჩებიან დაუცველნი, რასაც შედეგად შეიძლება მოყვეს როგორც მეწარმეთათვის, ისე ზოგადად საზოგადოებისათვის არასასურველი შედეგი - მათი ამოვარდნა ბაზრის იმ სექტორებიდან, სადაც მოღვაწეობდნენ და საქმიანობის ამ სფეროს მონოპოლიზება. ამ მომენტს ითვალისწინებს კანონი [№ 1, მუხ.10.1], რომლითაც ბასს იქნა სამოქმედოდ შემოღებული. ამ კანონში დაფიქსირებულია: კერძო სამართლის ყველა იურიდიული პირი (მცირე საწარმოებისა და არაკომერციული იურიდიული პირების გარდა) ვალდებულია, ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შესაბამისად. ამ კანონის მომდევნო მუხლი მცირე საწარმოებს უფლებას აძლევს (არ უკრძალებს, არც ავალდებულებს) ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ საერთაშორისო ან დროებითი სტანდარტების მიხედვით. საშუალო საწარმოებზე ამ კანონში არაფერია თქმული. აქ აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონით [№ 2, მუხ. 23] „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“ აღნიშნულია, რომ მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ გამოიყენება ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების გამარტივებული სისტემა. ამავე კანონით დახსენებულია ამ ტიპის საწარმოთა საზღვრები საქართველოში (სხვა ქვეყნებში იგი შეიძლება განსხვავებული იყოს). ამ კანონში პირდაპირ მითითებულია გამარტივებული სისტემის შესახებ და არავითარ უფლებაზე მცირე და საშუალო საწარმოების მხრივ აღრიცხვის საერთაშორისო ან დროებითი სტანდარტების გამოყენების თაობაზე მითითებული არ არის. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ არ გვაქვს რაიმე კონკრეტული სახელმძღვანელო მითითება აღრიცხვა-ანგარიშგების გამარტივებული სისტემით წარმოების შესახებ, ესება იგი მხოლოდ აღრიცხვა-ანგარიშგებას თუ საგადასახადო საკითხებსაც, ან რა ნორმებითა და მიდგომებით უნდა განხორციელდეს სამეურნეო მოვლენებისა და ფაქტების განზოგადება და ა. შ.

ჩვენი აზრით, ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სისტემა გულისხმობს ბასს-ის უმთავრესი დაშვებების გათვალისწინებით საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებასა და ანგარიშგების მომზადებას. ეს დაშვებებია [№ 3, მუხ. 22-23]:

ა. დარიცხვის მეთოდი, რომლის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამ მეთოდით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომხმარებელს

გააცნობს არა მხოლოდ წარსულ სამეურნეო ოპერაციებს, რომლებიც მოიცავს ფულადი თანხების გადახდასა და მიღებას, არამედ მომავალში გასანადგებელ ვალდებულებებსა და მომავალი პერიოდის მოთხოვნებსაც (დებიტორულ დავალიანებებს);

ბ. საწარმოს ფუნქციონირებადობა (უწყვეტობა), რომლის მიხედვითაც საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას გააგრძელებს უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც. ე.ი. იგულისხმება, რომ საწარმო არ აპირებს ან მას არ მოუწევს თავისი საქმიანობის შეწყვეტა, ან მასშტაბის საგრძნობი შემცირება. საწინააღმდეგო შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს სხვა საფუძველზე, რომელიც აღწერილი უნდა იყოს ამავე ანგარიშგების ახსნა-განმარტებით ნაწილში.

მცირე და საშუალო საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სისტემის გამოყენების პირობებში ფინანსურ ანგარიშგებას მოეთხოვება ისეთი ხარისხობრივი მახასიათებლები, როგორებიცაა: აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედოობა და შესაღარიბობა.

ბასს-ის მთლიანი კომპლექტი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების სრული ინსტრუმენტარია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი ფორმით მისი გამოყენება მცირე და საშუალო ბიზნესით დაკავებულ საწარმოებში გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ამას გარდა, ასეთ საწარმოებს ბასს-ის გამოყენებას კანონიც არ ავალდებულებს. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული ფესით წარმოების სტანდარტის სტრუქტურული სქემა შესაბამისობაში იყოს ფინანსური ანგარიშგების ელემენტებთან და შესაძლებელია მოიცავდეს ხუთ განაყოფს:

1. აქტივების აღრიცხვა;
2. ვალდებულებების აღრიცხვა;
3. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა;
4. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა;
5. ანგარიშგების მომზადება და მისი ანალიზი.

ეს არ არის ბასს-ის უბრალო გამსხვილება, არამედ იგი გულისხმობს, მაგალითად, აქტივების აღრიცხვისათვის განკუთვნილი სტანდარტების ყველა ძირითადი მუხლის, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოსათვის არსებითია, იმგვარად წარმოდგენას, რომ მცირე და საშუალო საწარმოებმა ნაკლები დანახარჯებით, გამარტივებული სახით წარმოადგინონ შესაბამისი ინფორმაცია საგადასახადო სამსახურში ან სხვაგან; ამასთან ერთად, ჩვენი აზრით, მცირე და საშუალო საწარმოები, ალბათ, არ უნდა ექვემდებარებოდნენ სავალდებულო აუდიტს (ეს სხვა თემაა და მისი დაწვრილებით განხილვა აქ, ამჯერად ჩვენი მიზანი არაა), თუმცა საჭიროებისას, თუ ეს მეწარმის ინტერესებშია, მან შეიძლება განახორციელოს ე.წ. საინციტივო აუდიტი, რათა დაინტერესებული პირებისათვის უფრო დამაჯერებელი გახადოს მისი საქმიანობის ამსახველი ანგარიშგებითი ინფორმაცია.

ახლა შევეცდებით, ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სისტემით წარმოების სტანდარტის ჩვენს მიერ შემოთავაზებული სტრუქტურის (ძირითადი მომენტების) დახასიათებას.

1. აქტივების აღრიცხვა. აქტივი არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენის შედეგია, რის საფუძველზეც საწარმო მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას. აქ შედის ძირითადი საშუალებები,

არამატერიალური აქტივები, სასაქონლო მარაგები, ინვესტიციები, მოთხოვნები, ფულადი საშუალებები და სხვა აქტივები.

აქტივები (გარდა მოთხოვნებისა და ფულადი საშუალებებისა) თავდაპირველად აღრიცხვაში აღსახებიან შექმნის დანახარჯების თანხით – თვითღირებულებით. შექმნილი აქტივის თვითღირებულების დადგენისას აქტივების ცალკეული სახეების მიხედვით შეიძლება შეინიშნებოდეს უმნიშვნელო განსხვავებულობანი. ისევე როგორც ბასს-ში, ეს სტანდარტიც გულისხმობს აქტივების საწარმოს ბალანსში რეალური ღირებულებით ასახვას ანგარიშების მომზადების მომენტისათვის. გადაფასებით მიღებული შედეგის ასახვისათვის გამოყენებულ იქნეს საბაზისო მიდგომა, ე.ი. იგი აღიარებულ იქნეს შემოსავლად ან ხარჯად.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების მოხმარება აღრიცხვაში მათი ცვეთისა და ამორტიზაციის სახით ფიქსირდება. ცვეთისა და ამორტიზაციის წლიური თანხის დასდგენად გამოყენებულ უნდა იქნეს წრფივი მეთოდი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგის მოხმარებაში იგულისხმება მისი ხარჯვა საწარმოო ან სხვა დანიშნულებით. მოხმარებული სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება უნდა განისაზღვროს იდენტიფიცირებადი ფასების ან საშუალოშეწონილი ფასების მიხედვით.

ინვესტიციების მოხმარებაში იგულისხმება მათი გაყიდვა, რომლის თვითღირებულება განისაზღვრება ინვესტიციის მთლიანი პაკეტის საბალანსო ღირებულების მიხედვით პროპორციული წესით.

მოთხოვნების მიხედვით გათვალისწინებულია საეკვო მოთხოვნების კორექტირება შესაბამისი ბუღალტრული ანგარიშების გამოყენებითა და საკორექტირებელი მოთხოვნის ხარჯებისათვის მიკუთვნება.

2. ვალდებულებების აღრიცხვა. ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო მოვლენების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განიეთებული რესურსების გასვლას საწარმოდან. აქ შეიძლება განხილულ იქნეს ვალდებულებანი: მომწოდებლებთან, მიღებული ავანსები, გადასახდელი ხელფასები, სესხები, გადასახდელი გადასახადები სახეების მიხედვით, გადავადებული გადასახადები, დარიცხული ვალდებულებანი და სხვა ვალდებულებანი.

ვალდებულების შეფასება ხდება მისი წარმოქმნის თარიღისათვის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თანხით; თუკი ვალდებულების წარმოქმნა დაკავშირებულია უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებთან, მისი აღრიცხვაში ასახვა წარმოებს ეროვნული ვალუტით (მოქმედი კურსით) ვალდებულების წარმოშობისა და ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

ვალდებულების დაფარვა გულისხმობს იმ პირობების შესრულებას, რომელმაც ეს ვალდებულება წარმოქმნა. ვალდებულების დაფარვა სახეების მიხედვით აღსახება შესაბამისი ვალდებულებების ანგარიშებში სადეპეტო ჩანაწერით.

3. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა. საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ. მცირე და საშუალო საწარმოებში საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში შესაძლებელია მხოლოდ საწესდებო კაპიტალისა და საწარმოს მოგების გათვალისწინება. საწარმოს საწესდებო კაპიტალი აღრიცხვაში

აისახება სადამფუძნებლო დოკუმენტების თანახმად და იგი მუდმივია, ვიდრე მეპატრონე ან მეპატრონეები არ მიიღებენ მისი შეცვლის გადაწყვეტილებას.

საწესდებო კაპიტალი არის დამფუძნებელთა მიერ საწარმოს დაარსებისას შეტანილი ფულადი ან სხვა სახის ქონების ღირებულებითი გამოხატულება. ეს თანხა ფიქსირებულია საწარმოს წესდებაში მის სადამფუძნებლო დოკუმენტებში და იძლევა საშუალებას თითოეულმა დამფუძნებელმა საბოლოო ფინანსური შედეგიდან მიიღოს მის მიერ განხორციელებული შენატანების პროპორციული შემოსავალი.

საველდებულო გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ბიზნესის გასაფართოებლად ან სხვა დანიშნულებით მეპატრონეთა შეხედულებისამებრ.

4. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა. ბუღალტრულმა აღრიცხვამ უნდა უზრუნველყოს საწარმოს საქმიანობის შედეგის – მოგების – განსაზღვრა. მოგება არის საერთო შემოსავლებსა და საერთო ხარჯებს შორის სხვაობა.

შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც არაა დაკავშირებული საკუთარი კაპიტალის შესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან.

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული შესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

მცირე და საშუალო საწარმოებში შემოსავალი არის პროდუქციის, მომსახურების ან შესრულებული სამუშაოს რეალიზაციიდან მიღებული ამონაკები და დანარჩენი შემოსავალი დღგ-ის გარეშე. ხარჯებში კი იგულისხმება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში წარმოშობილი გასავლები. კერძოდ, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მისი შემადგენელი ელემენტების მიხედვით.

შემოსავლები და ხარჯები მზარდი ჯამების მიხედვით გროვდება „შემოსავლების“ და „ხარჯების“ დროებით ანგარიშებზე, რომლებიც ბალანსის შედგენის თარიღისათვის იხურება „საანგარიშგებო პერიოდის მოგების (ზარალის)“ ანგარიშის მეშვეობით.

შემოსავლების აღიარება საწარმოს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება იმ შემთხვევაში, თუ საწარმოში მომავალი ეკონომიკური სარგებლის ზრდა გამოწვეულია აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირებით და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება. ამის შესაბამისად ხარჯების აღიარება იმავე ანგარიშგებაში ხდება მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მათი საიმედო შეფასება.

ბასს შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებისას უპირატესობას ანიჭებს დარიცხვის მეთოდს.

5. ანგარიშგების მომზადება და მისი ანალიზი. სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად არჩეული მეთოდით მცირე და საშუალო საწარმოები ადგენენ ბალანსს და მოგება-ზარალის უწყისს. ეკონომიკური ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდის მონაცემებთან ერთად საწარმოს ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს გასული პერიოდის ინფორმაციაც.

1. კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ, 1999
2. კანონი მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ, 1999 წ. 2002 წლის ცვლილებებით
3. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები, 2000

Е. Купреишвили

О необходимости стандарта ведения бухгалтерского учета по упрощенной системе

С переходом на рыночную экономику возникла необходимость осуществления соответствующих изменений в бухгалтерском учете и отчетности с тем, чтобы привести последнее в соответствие с инструментами рыночной экономики и реально отразить осуществленные на предприятии хозяйственные действия и факты, по возможности учитывая при этом интересы любого потребителя такой информации. Главным путем разрешения этой проблемы в Грузии признано принятие к руководству международных стандартов бухгалтерского учета (МСБУ). Применение МСБУ весьма эффективно на крупных предприятиях, что вряд ли можно сказать о малых и средних предприятиях, где внедрение указанной системы связано с серьезными затратами. Ввиду этого, в соответствии с законодательством страны, малым и средним предприятиям поручено вести бухгалтерский учет и отчетность по упрощенной системе. Несмотря на это, инструментарий ведения бухгалтерского учета и отчетности по упрощенной системе до сих пор не разработан. Попытку устранения этого пробела и представляет наша статья, в которой преследуется мысль о том, что с учетом основных требований МСБУ стандарт ведения бухгалтерского учета по упрощенной системе может иметь следующую структуру: учет активов; учет обязательств; учет собственного капитала; учет доходов и расходов; подготовка отчетности и ее анализ.

E. Kupreishvili

On the Need for Standard of Simplified Accounting System

Transition to the market economy makes it necessary to change the accounting and reporting system so that it will be in compliance with the instruments of the market economy and adequately reflect firm's operations taking into account the interests of any consumer of such information. In Georgia adoption of International Standards of Accounting is regarded as the means of resolving the above-mentioned task, but it can be effective for large enterprises and not for small and medium ones, where implementation of the mentioned system is related to large costs. Due to this the country's legislation allows small and medium enterprises to rely on the simplified system of accounting and reporting. However, the simplified system has not been worked out and this article is one of the efforts to solve this problem. It is pointed out that the standard of the simplified accounting system should have the following structure: asset accounting, liability accounting, revenue and cost accounting, reporting and analysis.

**ეკონომიკის ისტორია.
მსოფლიო ეკონომიკა**

რ. ასათიანი
**გლობალიზაცია და საძარბოველოს სოციალურ-ეკონომიკური
განვითარების ზოგიერთი ასპექტი**

გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიო განვითარების მნიშვნელოვანი ტენდენციაა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინტეგრაციის გაღრმავების საფუძველზე კანონზომიერი ხასიათი მიიღო. იგი, თავისი არსით, უნივერსალურია და, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიოს ახალი წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას გულისხმობს. გლობალიზაცია არა მხოლოდ აახლოებს ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ურთიერთდამოკიდებულსაც ხდის. აქედან გამომდინარე, იგი ხელს უწყობს და აჩქარებს ცალკეულ ქვეყნებში ღია საზოგადოების ჩამოყალიბებას, მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, საქონლისა და მომსახურების თავისუფალ გაცვლას, პარტნიორული ურთიერთობების წინა პლანზე წამოწევას, ჩამორჩენილი ქვეყნების გასვლას მსოფლიოს კულტურულ გზაზე, ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებას, ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრებას, მეცნიერების მიღწევების, წინა პერიოდთან შედარებით მოკლე ვადებში დანერგვას, რესურსდამზოგველი და უნარჩუნო ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას, ინტელექტუალური კაპიტალის წარმოჩენას, ინტერნეტული ქსელისა და, საერთოდ, საინფორმაციო ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობასა და, განსაკუთრებით, ფინანსური კაპიტალის მობილურობის არნახულ ზრდას და ა.შ. გლობალიზაციას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საერთაშორისო სამართლისა და ინსტიტუტების განმტკიცებაში. ჯ. სოროსი გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, თუმცა დღეს მსოფლიოში არ არის დემოკრატიის ტრიუმფი, გლობალური ეკონომიკის დიდი დამსახურებაა მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა მსოფლიო დემოკრატიის დამკვიდრებაში [1, 11-12]. ამიტომ თავის მასშტაბებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენად მართული იქნება ეს ყოვლისმომცველი, მრავალწახნაგოვანი და წინააღმდეგობებით სავსე ფენომენი. წინააღმდეგ შემთხვევაში გლობალიზაციას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია კაცობრიობისათვის.

გლობალიზაცია, XX საუკუნის 50-იან წლებში დეკოლონიზაციის ფართოდ გაშლის შედეგად, ნათლად გამოიკვეთა 60-იანი წლებიდან. იგი უკავშირდება შრომის საერთაშორისო დანაწილების, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე ეკონომიკის პოზიტიურ სტრუქტურულ გარდაქმნებს

და, მათ შორის, სხვა დარგებთან შედარებით, მომსახურების მწარმოებელი დარგების უპირატეს განვითარებას.

სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ამ პროცესს წინ უძღოდა „კეინზიანური რევოლუცია“, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები აღიარებენ როგორც შემობრუნების ეტაპს დღეს განვითარებული, მაგრამ 30-იან წლებში მიმდებარე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ეკონომიკაში. „კეინზიანურმა რევოლუციამ“ ბიძგი მისცა არსებითი ძვრების დაწყებას ამ ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში, რაც დადებითად აისახა ეკონომიკურ ზრდაზე და ხელი შეუწყო კაპიტალიზმის გადაზრდას ახალ თვისებრიობაში: კერძო კაპიტალისტური საკუთრების პრიორიტეტზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა შეიცვალა საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემით, რომელიც საბაზრო ეკონომიკის სახელწოდებითაა ცნობილი.

აღნიშნულ გარემოებათა გამო, თვისებრივად ახალი ეტაპი გამოიკვეთა კაცობრიობის განვითარებაში, რაც 70-იანი წლების დასაწყისში ცივილიზებულ ქვეყნებში ინდუსტრიულიდან პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში გადასვლით დაგვირგვინდა. ამით ახალი ერა დაიწყო საზოგადოების განვითარებაში. გლობალიზაციამ ახალი იმპულსი შეიძინა და ბიძგი მისცა მსოფლიო განვითარების კანონზომიერ პროცესს. სავსებით ობიექტურად წინა პლანზე დადგა მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარების საკითხი, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება სოციალური წესრიგის დამკვიდრებაზე გაამახვილა. ამ მიზნით შემუშავდა სხვადასხვა სახის სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამები, რომელთა დაფინანსებაში სახელმწიფოსთან ერთად, კერძო სტრუქტურებმაც ფართო მონაწილეობა მიიღეს. ამ პროგრამებმა, რომლებსაც საზღვარგარეთ კეთილდღეობის მაკონტროლებელ პროგრამებს უწოდებენ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა განვითარებულ ქვეყნებში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებაში. ფართოდ გაიშალა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მსოფლიო პროცესი, რომელმაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო გლობალიზაციის მასშტაბების გაფართოებას. გლობალიზაცია გაცდა განვითარებული ქვეყნების ფარგლებს და სხვა ქვეყნებში, მათ შორის, განვითარებად ქვეყნებშიც შეაღწია.

მსოფლიოს ახალი წესრიგის პრიორიტეტებად ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობა, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა (რაც გულისხმობს სიღარიბის არა აბსოლუტურ დაძლევას, არამედ იმას, რომ იგი სოციალურად იყოს ასატანი) გამოცხადდა, რამდენიც ეკონომიკურად და სოციალურად სამართლიანი მსოფლიოს შექმნის შემადგენელ ნაწილებად იქნა აღიარებული. ამიტომაცაა, რომ დღეს საერთაშორისო ორგანიზაციები და არა მხოლოდ ისინი, არამედ მოწინავე ქვეყნების მთავრობებიც, ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ რეგიონული კონფლიქტების მოგვარებაში.

გლობალიზაციის მსოფლიო პროცესის გამოძახილი იყო 90-იან წლებში პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ელვისებურად განვითარებული კატაკლიზმები, რომლებიც სწრაფად დაგვირგვინდა კვაზისოციალისტური სისტემის ნგრევითა და ისეთი მონსტრის დაშლით, როგორსაც საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა. ეს დროის მოთხოვნა იყო. ამით საქართველო, სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან ერთად, გლობალიზაციის მსოფლიო პროცესის თანამონაწილე გახდა და, სრულიად ლოგიკურად, ახალი ამოცანები დაისახა თავის სოციალურ-ეკონომიკურ და, თუ გნებავთ, პოლიტიკურ განვითარებაში.

უპირველეს ყოვლისა, დავიწყეთ იმით, რომ საქართველომ მიზნად დაისახა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ანუ ისეთი ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელიც არსებითად განსხვავდება იმ ველურ კაპიტალისტურ ურთიერთობებზე აგებული ეკონომიკური სისტემისაგან, რომელიც ძალზე მტკივნეულად განვლო ცივილიზებულიმა სამყარომ და დღეს განვითარებულ ქვეყნებში ისტორიის კუთვნილებაა.

მაგრამ, რა მოხდა საქართველოში ამ 12 წლის მანძილზე? რა მოგიტანა ქვეყნის სისტემური რეფორმების 12 წელმა? რამდენად უპასუხებს საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გლობალიზაციის გამოწვევას?

ჩვენ ისე ავაშენეთ საბაზრო ეკონომიკა, როგორც ავაშენეთ სოციალიზმი (თანაც განვითარებული), ან კიდევ, ისე ვაშენებთ საბაზრო ეკონომიკას, როგორც ვაშენებდით კომუნისტს. თუ მთლიანად შევაფასებთ ამ პერიოდს, მისი ზოგადი ფორმულირება ასეთია: საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და საბაზრო პრინციპების დამკვიდრება პროპაგანდის დონეზე დარჩა.

რა გეაძლევს ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს?

უპირველესად, საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა საკუთრების პლურალიზმი, როგორც საბაზრო ეკონომიკის ფორმირების საფუძველი. მართალია, შეიქმნა საკუთრების მრავალფორმიანობა, მაგრამ მისი თითოეული ფორმის თანაბარი უფლების დამკვიდრების გარეშე (რასაც ხელი შეუშალა საკანონმდებლო ბაზრის სისუსტემ, მიღებული კანონების არასრულყოფილებამ და, პირველ რიგში, მოუქნელმა საგადასახადო კოდექსმა, აგრეთვე, ქვეყნისთვის აუცილებელი რიგი კანონების მოუღებლობამ და ა.შ.) იგი შორსაა საკუთრების პლურალიზმისაგან. საქართველოში მოხდა სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრივება, მაგრამ ამ პროცესს, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, წარმატება არ მოჰყოლია. საქართველო ჩამორჩა მსოფლიოს განვითარებას. ქვეყანაში, ჯერ კიდევ, ლაპარაკია არა ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე, არამედ ადამიანის ბიოლოგიურ არსებობასა და ეკის გადარჩენაზე. საქართველო ისევ ახალი ექსპერიმენტის მსხვერპლი ვახდა. ქვეყნის არასწორმა მართვამ და არსებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ეკონომიკის მოშლა. არ გაამართლა იმ დებულების გაუცნობიერებელმა გამოყენებამ, რომ ერთ ქვეყანაში წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკა, მეორეშიც ასევე წარმატებული იქნებოდა, ან კიდევ, ეკონომიკის რეფორმების ერთი და იგივე მოდელი მისაღებია რეფორმების გამტარებელი ყველა ქვეყნისათვის.

საქართველოში ასევე ვერ განხორციელდა საბაზრო ეკონომიკის მეორე პრინციპი – მეწარმეობის თავისუფლება. მკაცრმა ფისკალურმა პოლიტიკამ, რაც გადასახადების გადიდებასა და სახელმწიფო ხარჯების შემცირებაში გამოიხატა (თითქმის ყოველწლიურად ხდებოდა ბიუჯეტის სეკვესტრირება), ინფლაციური სპირალის წინააღმდეგ მიმართულმა „ძვირი ფულის“ პოლიტიკამ განაპირობა მოსახლეობის უკიდურესად დაბალი საქმიანი აქტიურობა და, ბუნებრივია, ძირს დასცა ერთობლური მოთხოვნა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ბანკების ფაქტობრივი მოწყვეტა საინვესტიციო საქმიანობისგან და საგადასახადო ბაზის შეკვეცა.

საქართველოში გაჩნდა ლაგი, იმის გამო, რომ მიზნობრივად არ იქნა გამოყენებული ის შეღავათიანი კრედიტები და გრანტები, რომლებიც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ქვეყანაში. ამას დაემატა საბიუჯეტო სახსრების არამინობრივი ხარჯვა და კორუფცია, აღრიცხვის მოუწესრიგებლობა, საკადრო

საკითხების გადაჭრა კლანური ინტერესებით და ა.შ. იგნორირებული იქნა საკმაოდ აპრობირებული ჯ. კეინზის მულტიპლიკატორის თეორია, რომლის საწინააღმდეგოდ სამომხმარებლო მოთხოვნის დაცემაში, უკუგავედნა მოახდინა ბაზრის ტრედადობაზე, გამოიწვია წარმოების, დასაქმებისა და შემოსავლების შემცირება, საინვესტიციო აქტიურობის მკვეთრი დაცემა. ამას მოჰყვა უნაღლო ანგარიშსწორების პარალიზება, გადაუხდელობის კრიზისის გაღრმავება, კაპიტალისა და „ტენიების“ საზღვარგარეთ გაღიწება და ა.შ.

ამის პარალელურად არნახულ მასშტაბებს მიაღწია ფარულმა ეკონომიკამ, რომელმაც ზოგიერთ დარგში 70%-საც კი გადაჭარბა (მაგალითად, ჯანდაცვაში (75%), სასტუმროებსა და რესტორნებში (78%) და ა.შ.). განათლების სისტემაში, რომელიც ასეთ უმწეო მდგომარეობაშია საქართველოში, აღნიშნულმა მანქანებელმა 50%-ს გადაჭარბა. ამასთან, მკვეთრად იმპლავრა კონტრაბანდამ, რომელმაც მძიმე დარტყმა მიაყენა ისევე „შეზოგილ“ ეროვნულ წარმოებას.

საქართველო აღმოჩნდა თავისებურ რეპრესიულ რეჟიმში. ცნობილია, რომ ბიზნესი თავის ამოცანად არ ისახავს ისეთი ზოგადსაკაცობრიო, უნივერსალური ფასეულობების დაცვას, როგორებიცაა: თავისუფლება, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ა.შ. ამით დასაცავად თანამედროვე პირობებში იქმნება ახალი ინსტიტუტები, რაც უსათუოდ გლობალიზაციისაგან მიღებული სიკეთეა. საქართველოშიც შეიქმნა ასეთი ინსტიტუტები. დახმარების თვალსაზრისით დიდი იყო ძალისხმევა რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო საქმიანი წრებიდან, მაგრამ, იმის გამო, რომ ქვეყანაში არ იყო პოლიტიკური ნება, საქმე ვერ წავიდა წინ და დემოკრატია ვერ განვითარდა. ამიტომ იმ ერთ დიდ ნაბიჯს, რომელიც საქართველომ გადადგა წინ 90-იანი წლების დასაწყისში, მოჰყვა ორი ნაბიჯი უკან, რის შედეგადაც სოციალურ სამართლიანობის ღოზუნგზე აგებული საბჭოური მონოპოლია შეიცვალა კლანურ ინტერესებზე აგებული კაპიტალისტური მონოპოლიით. ქვეყანაში შეიქმნა უდიდესი საშიშროება იმ თვალსაზრისით, რომ მოხდა პოლიტიკისა და ბიზნესის შერწყმა.

აქედან გამომდინარე, კატასტროფულად დაეცა სახელისუფლებო სტრუქტურების პასუხისმგებლობა. დემოკრატიული პროცესების ეროვნული ატრიბუტების შენარჩუნებით სახელმწიფო ინტერესები დაექვემდებარა ერთეულთა ინტერესებს.

ქართული ეკონომიკური პოლიტიკის (და არა მხოლოდ მისი) წყალობით ვერ მოხერხდა საბიუჯეტო „შიმშილისაგან“ თავის დაღწევა. ქვეყანაში ფეხი მოიკიდა ფსევდოინოვაციებმა, მოძველებული რესურს – და ენერგოტევადი ტექნოლოგიების იმპორტმა, მაშინ როდესაც ჩვენი დონის ქვეყნები ცდილობენ ორიენტაცია შუალედურ ტექნოლოგიებზე აიღონ. სიტუაციას ამძიმებს დემპინგურ ფასებში ჯანმრთელობისთვის საშიში კვების პროდუქტებისა და ფალსიფიცირებული მედიკამენტების მასობრივი იმპორტი.

საქართველოში დარღვეულია საბიუჯეტო-საგადასახადო ფედერალიზმის პრინციპები. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ყველა დონის ბიუჯეტმა, შეიძლება ითქვას, დაკარგა საინვესტიციო ფუნქცია და გადაიქცა სამომხმარებლო ბიუჯეტად. არსებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიმართულია მხოლოდ ლარის სტაბილიზაციისკენ და ქვეყანას აცლის სამამულო წარმოების განვითარების პერსპექტივას. ამის შედეგია, რომ საქართველოში ოფიციალური მონეტიზაციის დონე 6-7%-ის ფარგლებშია, მაშინ როდესაც არ უნდა იყოს 30%-ზე ნაკლები. შედარებისათვის, რუსეთში ეს მაჩვენებელი 15%-ია, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში 80%-ს აღწევს, აშშ-ში კი 100%-ს

აჭარბებს. ინფლაციის შიშით ფულის დეფიციტის ხელოვნურად შექმნამ და პარალელურად, დელარიზაციის სწრაფმა ზრდამ (დელარიზაციის დონემ 36%-ს გადააჭარბა) ჩამოაყალიბა ნევატიური ტენდენციები როგორც ფულად-საკრედიტო, ისე ფისკალურ სფეროში და უარყოფითად აისახა საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების მთელ სისტემაზე.

აღნიშნულმა და სხვა ნევატიურმა შიგა პროცესებმა მწვავე პრობლემად აქცია იმპორტის მკვეთრად გამოხატული წინგამსწრები ზრდა ექსპორტთან შედარებით. სავაჭრო ბალანსის უარყოფითმა სადღომ პერმანენტული ხასიათი მიიღო. ძალზე დამაფიქრებელია ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაც, რომელშიც ჭარბობს ბუნებრივი რესურსები, სამაგიეროდ დისბალანსი მოხმარებასა და წარმოებას შორის სამომხმარებლო იმპორტით კომპენსირდება. სავაჭრო ბალანსის მდგრადმა დეფიციტმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ ზრდაზე გააუარესა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა და სწრაფად გაზარდა საგარეო დავალიანება. დასავლურმა საკრედიტო „ინექციებმა“ გადაჭრა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტით გამოწვეული მწვავე მოკლევადიანი პრობლემები. სამაგიეროდ უდიდესი დილემის წინაშე აღმოჩნდა ქვეყანა საგარეო ვალის მომსახურების თვალსაზრისით. ამიტომაცაა, რომ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე, 2004 წლის ბიუჯეტი ძირითადად გასული წლის ვალების გასტუმრებაზე იქნება აგებული. იგი შემოიფარგლება მხოლოდ საგარეო ვალის მომსახურებით, აგრეთვე ხელფასებისა და პენსიების მიმდინარე და ძველი ვალების გასტუმრებით.

ასეთია ზოგადი სურათი მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა საქართველოში 12-წლიანი სისტემური რეფორმების შემდეგ. სამწუხაროდ, ქვეყანაში ნაკლებად იქნა გათვალისწინებული მსოფლიოს ახალი წესრიგის პირობები, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მოთხოვნები. ამიტომ „წარდების რევილუცია“ შეფასდა როგორც ხალხის კონსტიტუციური უფლების დაცვის გამოხატულება და, ჩვენი აზრით, იგი გლობალიზაციის თავისებური გამოძახილიცაა.

ლიტერატურა

1. Джордж Сорос. Открытое общество реформируя глобальный капитализм. Пер. с англ., М., Некоммерческий фонд „Поддержки Культуры, Образования и Новых Информационных Технологий“, 2001.
2. Lindsay A. The philosophy of Bergson. Wash. – N.Y., 1968.
3. Корнфорт М. Открытая философия и открытое общество. Пер. с англ., М., 1972.
4. Даниел Белл. Грядущее постиндустриальное общество. Пер. с англ., М., „Academia“, 1999.
5. Ричард Р. Нельсон, Сидней Дж. Уинтер. Эволюционная теория экономических изменений. Перевод с англ., М., „Дело“, 2002.

Р. Асатиани

**Глобализация и некоторые аспекты социально-экономического
развития Грузии**

В статье рассмотрена роль глобализации как закономерного процесса развития современного мира в формировании нового мирового порядка и гражданского общества. Обоснована необходимость придания управляемости этому всеобщему, многогранному и противоречивому феномену. События 90-х годов прошлого века в посткоммунистических странах освещены как отголосок мирового процесса глобализации. Необходимость перехода Грузии к рыночной экономике рассмотрена в ограниченной связи с этим процессом. Проанализированы причины неудачи и катастрофических итогов 12-летней системной реформы страны. "Революция роз" оценивается как выражение защиты народом своего конституционного права и как своеобразный отголосок глобализации.

R. Assatiani

**Globalization and some aspects of social and economic development of
Georgia**

The article reviews the role of globalization, as a natural process of modern world development, in formation of new world order and civil society. The author tries to prove the necessity of manageability of this ubiquitous, complex and contradictory phenomenon. The well-known development in 90-ies of previous century in postcommunist countries is discussed as a part of globalization process. The necessity of transformation of Georgia towards the market economy is discussed in connection with this process. Also the reasons of failure and catastrophic results of 12-year long systemic reform are analyzed. The "revolution of roses" is estimated as an expression of people's will to defend its constitutional rights and as a kind of echo of globalization in Georgia.



ლ. შორაანაშვილი

ოფშორული ბიზნესის ისტორიულ-ობიექტური ანალიზი

„ოფშორი“ (off-shore) ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „სანაპიროდან დაშორებით“, „ღია ზღვაში“, „იზოლირებული“. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ ტერმინში იგულისხმება სპეციალური ეკონომიკური ზონების ერთ-ერთი ნაირსახეობა, კომერციული საქმიანობის ორგანიზაციის სპეციფიკური ფორმა. შესაბამისად, ოფშორული ბიზნესი არის გადასახადების თავიდან აცილებისა (ან მათი შემცირებისა) და მოგების გადიდების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ოფშორული ოპერაცია ანუ ესაა ბიზნესი, რომელიც ხორციელდება მოცემული იურისდიქციის საზღვრებს გარეთ, აქვს შემოსავლების უცხოური წყარო და, შესაბამისად, შედეგათიანი დაბეგვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ოფშორული ბიზნესის არსი გამოიხატება კომერციული საქმიანობიდან მიღებული მოგების გადიდებაში საგადასახადო და სხვა სავალდებულო გადასახდელების თავიდან აცილების ან მათი შემცირების გზით.

ტერმინი „ოფშორი“ პირველად გამოიყენეს აშშ-ის ერთ-ერთ გაზეთში, XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, მაგრამ ამა თუ იმ ელემენტების სახით ოფშორები მუდამ არსებობდნენ. ეს, უპირველესად, აიხსნება ადამიანების მიერ გადასახადების თავიდან აცილების სურვილით, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყანაში საერთაშორისო ვაჭრობის აქტივიზაციისა და უცხოური კაპიტალის მიზიდვის მცდელობით, რომელიც ეფუძნებოდა სხვადასხვა სახის შედეგათის დაწესებას. სხვადასხვა სახის შედეგათიანი პირობები იქმნებოდა ჯერ კიდევ ფინიკელების აფეკების პერიოდში, შემდგომ თავისუფალი ვაჭრობის ცენტრად იქცა ათენის პირველი საზღვაო კავშირის (დელოსის კავშირის, რომელიც ძვ.წ. 478-477 წწ. აერთიანებდა ეგეოსის ზღვისპირა ქალაქებსა და კუნძულებს) დედაქალაქი – კუნძული დელოსი.

რომის იმპერიაში (გვიანდელი ხანა) ათასობით რომაელი გარბოდა ბარბაროსებთან, რათა იმპერატორისთვის გადასახადები არ გადაეხადათ. VI-VII საუკუნეებში მრავალი ქრისტიანული სამეფოს მცხოვრები დასახლდა მუსულმანების კონტროლირებად ტერიტორიებზე, რადგან იქ უცხოელებისათვის შედეგათიანი საგადასახადო რეჟიმი არსებობდა. XVII საუკუნეში მთელი ევროპისათვის ოფშორების როლს ასრულებდნენ ამერიკის კოლონიები, სადაც ევროპულ გადასახადებს არ ახდევინებდნენ. ითვლება, რომ სწორედ ამიტომ გადააკეთეს კოლონისტებმა ატლანტიკის ოკეანე და არა რელიგიური ან პოლიტიკური თავისუფლების მიზნით [1, 23].

შუა საუკუნეების თავისუფალი ვაჭრობის ისტორიაში მოხსენიებულია იტალიური ქალაქები ლივორნო და ტრიესტი, აგრეთვე იუგოსლავიური შიბენიკი, ხოლო რწმუნების საკუთრების ინსტიტუტის – ტრასტის ისტორია ჯვაროსნული ომებიდან მომდინარეობს. XVIII საუკუნეში თავისუფალი ვაჭრობის ზონები (თეზ) გაჩნდნენ პიბრალტარსა და ბანკოკში [2, 15-20]. XIX საუკუნეში თავისუფალი პორტების სტატუსი მიიღეს ოდესამ (1817), ვლადივოსტოკმა (1862), ბათუმმა (1878). ამჟამად ასეთი სტატუსით სარგებლობენ: შვეიცარიაში – ბუქსი, ვენევიპორტი, ბრაზილიაში – მანაუსი, რუმინეთში – სულინი და ზოგიერთი სხვა პორტი. კოლონიური ბატონობის პერიოდში ფართოდ იყო გავრცელებული კაპიტულაციის რეჟიმი, რომლის დროსაც მეტროპოლიების ქვეყნების კერძო კომპანიები და მათი მოსამსახურეები გამოირიცხებოდნენ მათი საქმიანობის ადგილის კოლონიების იურისდიქციიდან. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ასეთ კომპანიებში შესვლა ეკრძალებოდათ. კომპანიებს ჰქონდათ საბაზო პრივილეგიები. კოლონიური სისტემის ნგრევის შემდეგ კაპიტულაციის რეჟიმი გაქრა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ იგი აღმოცენდა ოფშორული ცენტრებისა და ზონების ფორმით. XX საუკუნის 30-იან წლებში ოფშორული იურისდიქციების ფორმირება დაიწყო ლუქსემბურგში, პანამასა და ნიდერლანდის ანტილიურ კუნძულებზე [3].

ოფშორული ბიზნესის ჩამოყალიბება-განვითარებაში აქტიური როლი შეასრულა დიდმა ბრიტანეთმა, რომლის კოლონიურ სახელმწიფოებსა და მასზე დამოკიდებულ ტერიტორიებზე ექმნებოდა ოფშორული ცენტრები. 1894 წლის 17 მაისს, დიდ ბრიტანეთში დაბეჯერის პროგრესული განაკვეთების შემოღების დღეს, *The Time* წერდა: „თუ თქვენ საგადასახადო სისტემის მსხვერპლად ირჩევთ შეძლებულ ადამიანებს, ისინი ძალიან მალე, რაღაც ჯადოსნობით, ხელიდან გისხლტებიან იმიტომ, რომ გონების კარნახით მსოფლიოში ყველა ასე მოქმედებს, როდესაც გრძნობს, რომ იგი მსხვერპლად და შერჩეული. ნახევრად მკვდარი ყვავიცი კი, თუ მას ესვრიან, მორჩილად არ დაელოდება შემდეგ გასროლას“.

ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მოქალაქენი, სამშობლოში ძალიან დიდი საგადასახადო განაკვეთების გამო ძირითადად ფულს უცხოეთში მალავენ. ფრ. რუზეველტის დროს, როდესაც გადასახადებმა აშშ-ში არნახულ ზომებს მიაღწია (მაგალითად, ნებისმიერი მდიდარი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფო იტოვებდა მისი ქონების 77%-ს), დაიწყო ფულის გადაჯაჭვნი ოფშორულ ზონებში [1]. XX საუკუნის 60-იან წლებში დიდ ბრიტანეთში გადასახადები 80-90%-ს შეადგენდნენ [3]. ამის გამო მდიდარი ბრიტანელები „საგადასახადო ნახსაყუდლებად“ ბრიტანულ ოფშორულ ცენტრებს ირჩევდნენ, რომლებიც განსაკუთრებით სწრაფად ამ პერიოდში განვითარდნენ. თანამედროვე ოფშორული ცენტრების ჩამოყალიბების წინამძღვრები შეიქმნა მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის ისტორიული პროცესებით. გარდა ამისა, სამეწიფელო და საფინანსო კაპიტალის ინტეგრაციამ ახალი ეკონომიკური შინაარსი შეიძინა, სწრაფი ტემპით დაიწყო ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) განვითარება. ტნკ-ები, თავიანთი დინამიკური განვითარების შედეგად, გადაიქცნენ მსოფლიო სამეურნეო სისტემის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად და სუბიექტად, რომლებიც იღებენ დამატებით ეკონომიკურ უპირატესობებს უცხო ბაზრების რესურსული თავისებურებებისა და ტევადობის, უცხო ქვეყნების სამართლებრივი თავისებურებების, ქვეყანათაშორისი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირთიერთობების სპეციფიკის შედეგად. ტნკ-ის ექსპანსიამ წარმოშვა დიდი მოთხოვნა ფინანსურ რესურსებზე, საშუაშელო ფინანსურ ოპერაციებზე, მსოფლიოს სხვადასხვა

ქვეყანაში კომპანიების საქმიანობის რეგულირებასა და შემოსავლების დაბეგრასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე. ამან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ოფ შორულ ზონებზე მოთხოვნის ზრდას.

ოფ შორული ზონების ზრდაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XX საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ განხორციელებულმა ანტიინფლაციურმა ზომებმა, რომელთა შორის იყო ბანკებისთვის სარეზერვო მოთხოვნების გამკაცრება. ამ მოთხოვნის გამო ამერიკულმა ტნკებმა თავიანთი ოპერაციების დასაფინანსებლად დაიწყეს საბანკო ფილიალების გახსნა სხვა ქვეყნებში. საბანკო ფილიალების გახსნამ ხელი შეუწყო ტნკების ეკონომიკური ფუნქციანობის ზრდასა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში (დაზღვევა, მშენებლობა, ვაჭრობა და ა. შ.) მათ შეღწევას.

ოფ შორული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა ფაქტორთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. მათი გამოყენებით ამაღლდა ოფ შორული სტრუქტურების ფუნქციონირების ფუნქციანობა, რადგან ინტერნეტის მეშვეობით ერთ ქვეყანაში რეგისტრირებული, მხოლოდ (ან რამდენიმე) ქვეყანაში მოქმედი, მესამე ქვეყანაში საბანკო ანგარიშის მქონე და მეოთხე ქვეყანაში მცხოვრები მესაკუთრის კავშირურთიერთობა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

თანამედროვე პირობებში გაიზარდა ოფ შორული ზონებით დაინტერესების მიზეზები. მაგალითად, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან კაპიტალის გატანა ხშირად სავალუტო კონტროლის არსებობითაა განპირობებული. მაგრამ კაპიტალის გატანა ხდება არა მარტო ოფ შორულ ზონებში. სოკიერთ შემთხვევაში კაპიტალი მიემართება უფრო მაღალი გადასახადების მქონე ქვეყნებში (მაგალითად, შვეიცარიასა და დიდ ბრიტანეთში). ამ შემთხვევაში კაპიტალის გატანის მთავარი მიზეზია სავალუტო კონტროლის და არა გადასახადების თავიდან აცილება.

გარდა ამისა, არსებობს კაპიტალის გატანის სხვა მიზეზებიც. მაგალითად, აშშ-ში ფული შეაქვთ იმიტომ, რომ იქ, შვეიცარიისგან განსხვავებით, საბანკო ანბრებზე დარიცხულ პროცენტებზე უცხოელებისათვის საშემოსავლო გადასახადი არაა გათვალისწინებული. შვეიცარიაში ფულს ინახავენ იმიტომ, რომ იქ, აშშ-სგან განსხვავებით, არსებობს საბანკო საიდუმლოს შენახვის პრაქტიკა. აღნიშნულის გამო, ფული „დასეირნობს“ მთელ მსოფლიოში და ეს მომგებიანი ინვესტიციები კი არა, უცხოეთში დანაზოგის შენახვის მცდელობაა, რომლის გაკეთება სამშობლოში შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით თანამედროვე მსოფლიო გარკვეული თვალსაზრისით ოფ შორია [1, 23].

თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში (თეზ) განსაკუთრებული ადგილი უკავია ოფ შორულ ზონებს, რომელთაც ხახსიათებს სხვადასხვა სპეციალიზაცია და იურისდიქციის სხვადასხვა ტიპი. ოფ შორულ ზონებს სხვადასხვა განმარტება აქვს. მაგალითად, ოფ შორული ზონა არის: - „განსაკუთრებული კლასი თეზებში“ [4, 18], „თეზ-ების მსოფლიო ოჯახის წევრი“ [5, 37], „თეზ-ის სახეობა [6, გვ.30], „სავადასახადო ნაესაყუდელის ნაირსახეობა“ [7, 342], „თეზ-ების განსაკუთრებული სახე, რომელშიც, როგორც წესი, კონცენტრირებულია საბანკო და სადაზღვევო ბიზნესი, მათი მეშვეობით ხორციელდება საინვესტიციო საქმიანობა, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები, აგრეთვე ოპერაციები, უძრავი ქონებით, სატრასტო (რწმუნების) და კონსალტინგური საქმიანობა“ [8, 27].

ოფ შორულ ზონაში ან ოფ შორულ იურისდიქციაში იგულისხმება იურისდიქცია, რომელშიც კანონმდებლობით განსაზღვრულია ოფ შორული ფორმების სტატუსი და ნორმები, რომელთა შესაბამისად ხორციელდება ოფ შორული ტიპის საფინანსო-ეკონომიკური ოპერაციები. სხვა სიტყვებით,

ოფშორულ იურისდიქციაში კანონმდებლობით განისაზღვრება ოფშორული ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები და პირობები, რომელთა დაცვის შემთხვევაში ბიზნესი ჩაითვლება ოფშორულად [3, 50]. ოფშორულ ზონად ითვლება ქვეყანა ან ტერიტორია, რომლის კანონმდებლობაში ნებადართულია რეგისტრაციის ქვეყნის ან ტერიტორიის გარეთ მოქმედი წყაროებიდან მოგების მიმღები კომპანიის (ოფშორული კომპანიის) რეგისტრაცია [8, 13]. ოფშორული ზონები, ჩვეულებრივ, მცირე სახელმწიფოები და ტერიტორიებია. ისინი ძირითადად განლაგებულია ზღვის სანაპიროებსა და განვითარებული საერთაშორისო ტურიზმის ადგილებში და ახორციელებენ უცხოური კაპიტალის მიზიდვის პოლიტიკას. ამ პოლიტიკის გასატარებლად გამოიყენება საგადასახადო და სხვა სახის შეღავათები.

თანამედროვე მსოფლიოში არსებული ოფშორული ზონების რაოდენობა ზუსტად არაა დადგენილი. სხვადასხვა ლიტერატურაში სხვადასხვა ციფრია დასახელებული. სამეურნეო საქმიანობის ხელსაყრელი პირობები, მათ შორის საგადასახადო შეღავათები მრავალ სახელმწიფოს აქვს დაწესებული. მხოლოდ „წმინდა“ ოფშორული ზონები, ანუ ქვეყნები, რომლებიც თავიანთ ტერიტორიაზე საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობისათვის მიზანმიმართულად ქმნიან შეღავათიან პირობებს დაახლოებით 80-ია [8, 29]. ამჟამად მსოფლიოში დაახლოებით 40 ოფშორული ზონაა [9, 7]. აშშ-ის ფედერალური ხაზინის შიდა შემოსავლების სამსახურის ექსპერტები ოფშორულ ზონად განიხილავენ დაახლოებით 50 არსებულ ფინანსურ ცენტრს [3, 53]. ჩვეულებრივ, მსოფლიო კლასის ცნობილი კომპანიები მიუთითებენ 200-ზე მეტი ოფშორული იურისდიქციის არსებობაზე. ცალკეული სექტორული ფირმები აღნიშნავენ მათ განკარგულებაში არსებული და დღეისათვის ხელმისაწვდომი 1000-ზე მეტი ოფშორული ზონიდან ნებისმიერის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ [3, 53]. ოფშორული ზონების რაოდენობის ასეთი განსხვავება აიხსნება ოფშორულ ბიზნესთან დაკავშირებული რიგი პრობლემებით და, უპირველესად, განპირობებულია მისი კონფიდენციალური ხასიათით.

ოფშორული ზონების საფუძველი სხვადასხვა იურისდიქციაა, რის გამოც მათ გარკვეული სპეციალიზაცია აქვთ. მაგალითად, საბანკო, სადაზღვევო და ა. შ. თავის მხრივ, ოფშორული იურისდიქცია შეიძლება განხილულ იქნეს ოფშორულ სტატუსთან შესაბამისობის მიხედვით. ოფშორულ სტატუსში იგულისხმება ოფშორულ ზონაში წარმოებული ოფშორული ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის შინაარსი, რომელიც განსაზღვრავს მის მიერ მიწოდებული შესაძლებლობების მოცულობას: დაბეგერის დონეს, სახელმწიფოს კონტროლის დონეს, კონფიდენციალობის უზრუნველყოფას, კომუნიკაციებისა და ბანკების განვითარების დონეს და სხვა.

ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის შინაარსით ოფშორული იურისდიქციები დაყოფილია 4 ჯგუფად:

პირველი ჯგუფი 100%-იანი ოფშორებია. ისინი ცნობილია „საგადასახადო ნავსაყუდლების“, „საგადასახადო თავშესაფრების“, „საგადასახადო ოაზისების“ ან „tax haven“-ის სახელწოდებით. ეს ჯგუფი წარმოდგენილია მცირე კუნძულოვანი სახელმწიფოებით ან თვითმართვადი ტერიტორიებით, რომლებიც უცხოური საკრედიტო კაპიტალის მიზიდვის პოლიტიკას ახორციელებენ საგადასახადო და სხვა შეღავათებით, კანონმდებლობით დადგენილი ოფშორული ფირმის სტატუსითა და პირობებით, რომელთა დაცვის შემთხვევაში მათი საქმიანობა ოფშორული იქნება. პირველ ჯგუფში, უპირველესად, შედიან კარიბის რეგიონის ოფშორული ზონები, რომელთა უმეტესობა დიდი ბრიტანეთის ყოფილი კოლონიები და მასზე

დამოკიდებული ტერიტორიებია (მაგალითად, კაიშანის, ბრიტანული ვირჯინიის, ბერმუდის და სხვა კუნძულები). აგრეთვე ევროპული საგადასახადო ნავსაყუდლები (მენის, ჯეოსის, გერსინის კუნძულები).

მეორე ჯგუფში შედის საქმიანობის ცალკეულ სახეებზე შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე ოფშორული იურისდიქციები. ამ ჯგუფის იურისდიქციებში ოფშორული ფირმები გადასახადებს არ იხდიან ან იხდიან მინიმალური განაკვეთებით, მათი საქმიანობა კი ამა თუ იმ დონით კონტროლს ექვემდებარება. მეორე ჯგუფში შედიან ნიდერლანდები (აქ საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ პოლდინგური, საშუამავლო, საფინანსო და სალიცენზიო კომპანიები), ლუქსემბურგი (პოლდინგური კომპანიები და საინვესტიციო ფონდები), შვეიცარია (პოლდინგური, სავაჭრო და სერვისული ფირმები), ლიხტენშტეინი და ნიდერლანდული ანტილიის კუნძულები.

მესამე ჯგუფში წარმოდგენილია ჩვეულებრივი სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი, მაგრამ ოფშორული რეჟიმის მქონე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნებით. ამ ჯგუფის ოფშორები ძირითადად დამახასიათებელია ფედერალური წყობის მქონე ქვეყნებისათვის. მესამე ჯგუფში შედიან აშშ-ის შტატები - დელავერი, ვაიომინგი და ნევადა, შვეიცარიის ზოგიერთი კანტონი.

მეოთხე ჯგუფი არატრადიციული ოფშორული ზონებია. მათთვის დამახასიათებელია „უნივერსალური“ ოფშორული იურისდიქცია (მაგალითად, ირლანდია) ან დაბალი დონის გადასახადები (მაგალითად, კუიპროსი).

ოფშორული ზონების შერჩევისას ბიზნესმენთა უმეტესობა ითვალისწინებს შემდეგ მომენტებს: გადასახადების დონე, ანგარიშგების აუცილებლობა, შეთანხმების არსებობას ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, კონფიდენციალობა.

ამ მომენტების გათვალისწინებით ოფშორული ზონები დაყოფილია სამ ჯგუფად:

პირველი ჯგუფის ოფშორული ზონები ხასიათდებიან დაბეგვრის დაბალი დონით, კონფიდენციალობის მაღალი დონითა და აღრიცხვის არარსებობით. ამ ჯგუფში, ჩვეულებრივ, შედიან პატარა, განვითარებადი „მესამე საყაროს“ ქვეყნები. ეს ოფშორები ცნობილია „ქოქოსის ოფშორების“ სახელწოდებით. ესენი არიან: ბაჰამის, ბრიტანული ვირჯინიის, კაიშანის, პანამის კუნძულები, მენი, ტერკსი, კაიკოსი და სხვა. ამ ზონებში, როგორც წესი, კომპანიები გადასახადებს არ იხდიან, მაგრამ გათვალისწინებულია ყოველწლიური ფიქსირებული მოსაკრებელი.

მეორე ჯგუფის ოფშორებში დაწესებულია არსებითი საგადასახადო შეღავათები და ფინანსური ანგარიშგების აუცილებლობა. ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ კუიპროსი, აშშ-ის შტატები - დელავერი, ვაიომინგი. აგრეთვე ამ ჯგუფში გადადის ზოგიერთი ის სახელმწიფო, რომელიც არარეზიდენტებს ავალდებულებს ფინანსური ანგარიშების წარდგენას.

მესამე ჯგუფში შედიან ის სახელმწიფოები, რომლებიც ფორმალურად არ მიეკუთვნებიან ოფშორულ ზონებს, მაგრამ მათი საგადასახადო კანონები ზოგიერთი ოპერაციისა და ინვესტორთა ჯგუფისთვის ითვალისწინებენ დაბალ (მასტიმულირებელ) დაბეგვრას, ან კომპანიების შემოსავლების დაბეგვრის შემცირება ხდება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების საერთაშორისო შეთანხმებებით. მესამე ჯგუფის ოფშორული ზონების წარმომადგენლები არიან: აესტრია, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, ლიხტენშტეინი, ნიდერლანდები, შვეიცარია და სხვა.



„ოფ შორული კომპანია“ არაა იურიდიული ტერმინი. ოფ შორული კომპანიები ოფ შორულ ცენტრებში შექმნილი კომერციული საწარმოებია, მაგრამ მათი ცნება და სტატუსი სპეციალური კანონით ან სხვა ანალოგიური ნორმატიული აქტებით განისაზღვრება. გავრცელებული აზრით, ოფ შორული კომპანია მხოლოდ ქალაქდღუე არსებული საწარმოა და იგი წარმოადგენს ანგარიშს ბანკში. ამ ანგარიშს ელექტრონული საშუალებებით მართავს ცრუმაგიერი პირი, რომლის სახელზე რეგისტრირებული ამ კომპანიის დოკუმენტები ინახება სეკრეტარულ კომპანიაში რეგისტრაციის ადგილზე. აღნიშნულ აზრს აქვს გარკვეული საფუძველი, რადგან ზოგიერთი ოფ შორული კომპანია მხოლოდ ქალაქდღუე არსებობს. მიუხედავად ამისა, ხშირ შემთხვევაში ოფ შორული კომპანიები ჩვეულებრივი წესით მუშაობენ და სხვა კომპანიებისაგან მხოლოდ თავიანთი საქმიანობის დაბეგვრის პრინციპებით განსხვავდებიან. ამასთან, ოფ შორულ კომპანიას შეიძლება ჰქონდეს ფილიალი სხვა ქვეყანაში, რომელშიც იგი განახორციელებს რეალურ საქმიანობას. მაგალითად, მშენებლობას, საზღვაო გადაზიდვებს, სხვადასხვა სახის მომსახურებას, სამეცნიერო კვლევებს, უძრავი ქონების მართვას და სხვა.

